პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის — 1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დ ღ ი უ რ ი

- — ამხ. სტარკმა რწმუნების სიგელი ჩააბარა ნადირ-ხანს
- — მზადდება მონარქიული გადატრიალება საბერძნეთში
- — პოლონეთის მთავრობის შედგენა მიენდო ბარტელს
- — ინგლისის მეფის ნაცვალს ინდოეთში ყუმბარა ესროლეს
- — სამრეწველო, კრიზისი ჩრდილო - ამერიკის შეერთებულ შტატებში გრძელდება
- — დაბრუნდა „საბჭოთა ქვეყანა"-ს ეკიპაჟი
- — საბჭოთა მთავრობამ გააუქმა კონცესია შირაქის ნავთზე

სამშაბათი, 24 დეკემბერი 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 296 (2642)

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა იანვრისათვის
კანტორა — რუსთაველის პრ. № 34. ტელეფონი 8—81

მიღწეულია ჩინეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმება

აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე აღდგენილია კონფლიქტამდე არსებული მდგომარეობა

ამხ. სოკოლნიკოვის განცხადება ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

გადადგა გერმანიის ფინანსთა მინისტრი სოციალ-ფაშისტი რუდოლფ ჰილფერდინგი

კონფლიქტი აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მოგვარებულია

ის ფაქტი, რომ ხაბაროვსკში ხელი მოაწერეს ოქმს, რომელიც დეტალურად აწესრიგებს ჩინეთის მთავრობის მიერ სავსებით მიღებულ საბჭოთა პირობების შესრულებას და ცხოვრებაში გატარებას, უდიდესი გამარჯვებაა თანამიმდევრობითი ურყევი და მტკიცე სამშვიდობო პოლიტიკისა, რომელსაც საბჭოთა კავშირი ატარებს კაპიტალისტურ მსოფლიოს მიმართ, მაშინ, როცა უკანასკნელი განზრახ სთხზავს თავის სამხედრო გართულებებს და ემზადება ახალ სისხლისმღვრელ შეტაკებებისათვის.

ხუთ თვეზე მეტია გრძელდება კონფლიქტი, რომელმაც მრისხანე ხასიათი მიიღო ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენლების განუწყვეტელ პროვოკაციულ გამოსვლების გამო და ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა მთავრობა ყოველივე ღონისძიებას მიმართავდა, რათა კონფლიქტი მშვიდობიანად მოეგვარებია და გამოემჟღავნებია ბნელი ზრახვები იმპერიალისტურ სახელმწიფოებისა, რომელთაც წააქეზეს ჩინელი გენერლები აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ხელში ჩაგდებისაკენ და რომლებიც ცდილობდენ ომის ხანძარი გამოეწვიათ შორეულ აღმოსავლეთში.

საბჭოთა მთავრობა უარს ამბობდა აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის ძალდატანებით ხელში ჩაგდების დადასტურებაზე, სასტიკ და გადამჭრელ წინააღმდეგობას უწევდა ჩინეთის გენერლების ჯარებს და თეთრგვარდიელთა რაზმების ყოველგვარ ცდებს თავს დასხმოდენ ჩვენს ტერიტორიას და ამავე დროს ყოველთვის გამოსთქვამდა სურვილს, რომ მზად არის მოაწესრიგოს კონფლიქტი ჩინეთის მთავრობასთან უშუალო მოლაპარაკების გზით იმ შემთხვევაში, თუ უკანასკნელი დაამტკიცებდა, რომ მართლაც სწადია შეთანხმება.

მაგრამ ეს არ სურდათ იმპერიალისტური „მშვიდობის მოციქულებს", რომელთაც უნდოდათ მოესპოთ რკინის გზაზე 1924 წლის შეთანხმებით შექმნილი მათთვის საძაგელი მდგომარეობა და განეხორციელებიათ თავიანთი დიდი ხნის გეგმები აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ინტერნაციონალიზაციის შესახებ.

პეკინის და მუკდენის შეთანხმებებმა, რომელნიც წარმოადგენენ პირველ და ერთად-ერთ თანასწორუფლებიან ხელშეკრულებებს ჩინეთთან, რკინის გზაზე დაამყარეს ისეთი მდგომარეობა, რომლითაც ჯვარი დაესვა უცხოელ მტაცებლების გაზვიადებულ პრეტენზიებს. უცხოელ მტაცებლებს არა ერთხელ უცდიათ სხვადასხვა გზით მიეთვისებიათ ეს ძვირფასი საწარმო, აეგლიჯათ საბჭოთა კავშირის ხალხის ფულით და გადაექციათ ის თავიანთ იმპერიალისტურ ექსპანსიის იარაღად მანჯურიაში.

ამ მდგომარეობის მოსპობას აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე ყოველივე ძალ-ღონით ცდილობდენ უცხოეთის დაინტერესებული სახელმწიფოები, რომელთაც ამ მიზნისათვის გამოიყენეს, როგორც თავიანთი გავლენა ჩინეთის გენერალთა ხროვაზე და ერთა ლიგაზე, ისე კელოგის პაქტი. მაგრამ სწორედ ამიტომ საბჭოთა მთავრობამ კონფლიქტის პირველ დღიდანვე აუცილებელ პირობად ყოველგვარ მოლაპარაკებისათვის წამოაყენა ის, რომ ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს მათთვის სავალდებულოდ ეცნოთ პეკინის და ნანკინის შეთანხმებები და ამ შეთანხმებებით გათვალისწინებული მდგომარეობა აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე, ეს პირობა კი ჩარევის ყოველგვარ შესაძლებლობას უსპობდა უცხოეთის სახელმწიფოებს. უნდა მოვიგონოთ, რომ სწორედ ამ შეთანხმებებით ერთხელ და სამუდამოდ აღიარებული იყო, რომ საკითხს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის შესახებ სწყვეტენ მხოლოდ საბჭოთა კავშირი, როგორც გზის პატრონი და ჩინეთი, რომლის ტერიტორიაზე გაყვანილია გზა და რომელიც ნებაყოფლობით მოვიწვიეთ ჩვენ, რათა თანასწორ უფლებით მონაწილეობა მიიღოს ჩვენთან ერთად გზის მართვა-გამგეობაში.

გამოდიოდა რა ამ დებულებებიდან, რომელიც ერთად - ერთი უზრუნველჰყოფდა აღმოს.-ჩინეთის რკინის გზის საქმეში უცხოელ მტაცებლების ჩაურევლობას, საბჭოთა მთავრობამ თავიდანვე წამოაყენა შემდეგი მოთხოვნები: აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე კონფლიქტამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა; საბჭოთა მმართველისა და მისი თანაშემწის დაუყოვნებლივ დანიშვნა; განთავისუფლება მრავალ ათას უკანონოდ დაპატიმრებული საბჭოთა მოქალაქისა, რომელნიც უსასტიკეს დევნას განიცდიდენ.

ეს მოთხოვნები არ შეიცვალა მას შემდეგ, რაც ჩვენი ჯარი იძულებული გახდა თეთრგვარდიელ და ჩინელ თავდამსხმელთა საპასუხოდ გადამწყვეტი მოქმედება დაეწყო, რამაც გამოიწვია ჩინელ გენერლების ჯარის პანიკური უკუქცევა ჩვენი საზღვრებიდან და ამ ჯარის სრული დემორალიზაცია.

ჩვენ გავანადგურეთ თეთრგვარდიელთა და ჩინელთა რაზმები, რომლებმაც სცადეს ხიშტით შეემოწმებიათ ჩვენი თავდაცვის უნარი, სასიკვდილო ლახვარი ჩავეცით და საბოლოოდ გავფანტეთ უაზრო ილიუზიები საბჭოთა კავშირის სისუსტის შესახებ, მაგრამ ამავე დროს განვაგრძობდით იმ ჩვენი მინიმალური მოთხოვნების ნიადაგზე დგომას, რომელთა შესრულებაც წარმოადგენდა წინასწარ პირობას კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებისათვის და ახალ გართულებათა თავიდან აცილებისათვის.

ამ თანამიმდევარმა, თავისი ძალისა და ღირსების შეგნებით აღსავსე პოლიტიკამ, ბოლოს, სრული გამარჯვება მოიპოვა ჩინელ გენერლების ავანტიურისტულ, ჩინელი ხალხისათვის დამღუპველ პოლიტიკაზე და იმ პროვოკაციულ ზრახვებზე, რომელნიც მშვიდობიანობის თვალთმაქცური ნიღაბით სცდილობდენ გამოეწვიათ ომი ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის და თავიანთი კონტროლი დაეწესებიათ აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე.

ჩინეთის მთავრობის წარმომადგენლების მიერ 22 დეკემბერს ხაბაროვსკში დადებულ ოქმზე ხელისმოწერის ფაქტი მოწმობს იმას, რომ სახელმწიფოების ამ ინტერვენციონისტურმა გამოსვლამ სრული და საბოლოო მარცხი განიცადა. ეს ფაქტი მოწმობს აგრეთვე იმას, რომ ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა, როგორც იქნა, გაიგეს, რომ საბჭოთა პირობების მიღების გარეშე არ არის და არც შეიძლება იყოს სხვა გამოსავალი იმ ჩიხიდან, რომელშიაც ისინი მათმა მოქმედებამ მოაქცია.

ისინი იძულებულნი გახდნენ გადაედგათ ეს ნაბიჯი არა მარტო იმ უდიდესი ეკონომიური დეპრესიის გავლენით, რომელიც მანჯურიაში მოხდა, არა მარტო იმის გამო, რომ კატასტროფიულად დაიშალა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზა, რომელიც სულ უფრო და უფრო ჰკარგავდა თავის დამოუკიდებლობასა და შემოსავალს, არა მარტო იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ინტერვენციონისტური ზრახვების ჩაშლის შედეგად, არამედ იმის ზეგავლენით, რომ ჩინეთის უფართოესი მშრომელი მასები თანდათან უფრო დიდ ზეგავლენას ახდენდენ მათზე და ემზადებოდნენ იმისათვის, რომ გადამჭრელი წინააღმდეგობა გაეწიათ საბჭოთა კავშირთან — ჩინეთის ამ ერთად-ერთ მეგობარსა და დამცველთან — ომის პოლიტიკისათვის.

ხაბაროვსკის ოქმი დაწვრილებით ეხება იმ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს იმ მიზნით, რომ აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე აღდგენილ იქნას კონფლიქტამდე არსებული მდგომარეობა. ბუნებრივია, რომ ამ ოქმში, რომელშიაც ფორმალურად ჩამოყალიბებულია ჩინეთის მთავრობის მიერ საბჭოთა მთავრობის პირობების მიღება, არ არის და არც შეიძლება იყოს ისეთი ვალდებულება ჩინეთისათვის, რომელიც 1924 წლის შეთანხმებებით გათვალისწინებულ ვალდებულებებზე, უფრო შორს მიდიოდეს, და არც ერთი პუნქტი, რომელიც თუნდაც ოდნავ აზიანებდეს ჩინეთის ხალხის ინტერესებს და შეუთავსებელი იყოს მის ღირსებასა და ავტორიტეტთან.

ოქმი, რომელიც ძალაში შედის ხელის მოწერის მომენტიდან, აწესებს საზღვარზე მშვიდობიან მდგომარეობას, რაც, იმედი უნდა ვიქონიოთ, კიდევ აღარ დაირღვევა, რამდენადაც ჩინეთის ხელისუფლება კისრულობს დაუყოვნებლივ განიარაღოს თეთრგვარდიელთა ყველა ბრბოები და გადაასახლოს მათი სულის ჩამდგმელი და ორგანიზატორები. ჩინეთის თანხმობა, — დაუყოვნებლივ განდევნოს სამსახურიდან ყველა რუსი თეთრგვარდიელები, რომლებიც კონფლიქტის დროს იყვნენ მიღებული სამსახურში, სპობს ერთ მთავარ დაბრკოლებათაგანს მეგობრობის დამყარებისა და მჭიდრო შეთანხმებული მუშაობის გზაზე.

ხაბაროვსკის ოქმი ნიშნავს კონფლიქტის გადაწყვეტას ისეთ პირობებში, რომელთა ლოიალური შესრულება ჩინეთის ხელისუფლების მიერ, უზრუნველჰყოფს ნორმალური მდგომარეობის აღდგენას ჩვენს საზღვარზე, აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე და მანჯურიაში. ამავე დროს იგი სწმენდს ნიადაგს ჩინეთ-საბჭოთა იმ კონფერენციის წარმატებითი მუშაობისათვის, რომელიც მოსკოვში უნდა შეიკრიბოს და რომელმაც უნდა მოაგვაროს ჩვენი ურთიერთობა ჩინეთთან.

ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ, რომ საბჭოთა სამშვიდობო პოლიტიკის ახალ გამარჯვებას მტრობითა და კბილთა ღრჭენით შეეგებებიან ჩვენი მტრები, დაირაზმება მთელი ძალები იმისათვის, რომ არ დაუშვან ოქმის გატარება ცხოვრებაში. საბჭოთა მთავრობის თანამიმდევრობითი პოლიტიკა, რომელსაც ერთსულოვნად მხარს უჭერენ ყველა ქვეყნის მშრომელები, იძლევა იმის იმედს, რომ ჩვენი მტრების ახალი ოინები ისევე სამარცხვინოდ დამთავრდება, როგორც მათი ყველა წინანდელი ცდები.

„პრავდა", 23 დეკემბერი.

კონფლიქტი ჩინეთთან მოგვარებულია

აღდგენილია კონფლიქტამდე არსებული მდგომარეობა

მოლაპარაკება ხაბაროვსკში დამთავრდა

მოსკოვი, 23 დეკემბერი. 22 დეკემბერს ხაბაროვსკში გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის აგენტმა ამხ. სიმანოვსკიმ საბჭოთა კავშირის სახელით და დიპლომატიურმა კომისარმა ცაი იუნ-შენმა ჩინეთის რესპუბლიკის სახელით ხელი მოაწერეს ოქმს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე იმ მდგომარეობის აღდგენის შესახებ, რომელიც კონფლიქტამდე არსებობდა და რომელიც ემყარებოდა მუკდენის და პეკინის შეთანხმებებს. ყველა სადაო საკითხები, რომლებიც წამოიჭრენ გზის შეერთებული (ჩინეთ-საბჭოთა) მმართველობის პერიოდში, გადაწყვეტილ უნდა იქნან ჩინეთ-საბჭოთა მომავალ კონფერენციაზე. ამ შეთანხმების თანახმად, დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს ქვემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებანი:

წინანდელ ხელშეკრულებათა საფუძველზე აღდგენილ უნდა იქნეს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის გამგეობის მოქმედება და თავიანთ მოვალეობის შესრულებას უნდა შეუდგნენ გზის გამგეობის საბჭოთა მოსამსახურენი. მომავალში გზის გამგეობის ჩინელი თავმჯდომარე და გამგეობის თავმჯდომარის საბჭოთა ამხანაგი უნდა მოქმედობდნენ მხოლოდ შეერთებულად, მუკდენ-საბჭოთა შეთანხმების თანახმად.

აღდგენილ უნდა იქნას წინანდელი მშენებლობა და იმ განყოფილებების ურთიერთ დამოკიდებულება, რომლებსაც მეთაურობენ საბჭოთა კავშირის და ჩინეთის მოქალაქენი; **აღდგენილ უნდა იქნან უფლებებში** (ან და დაუყოვნებლივ დანიშნულ იქნან ახალი კანდიდატები, თუ ისინი წამოყენებული იქნებიან საბჭოთა კავშირის მხრით) **საბჭოთა მოქალაქეები—განყოფილებების უფროსები და უფროსების თანაშემწენი. ბრძანებები და განკარგულებები,** რომლებიც გაიცა გზაზე 1929 წლის 10 ივლისიდან აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის გამგეობისა და მმართველობის სახელით, **გაუქმებულად ითვლება,** ვინაიდან მათ არ დაადასტურებს გზის კანონიერი გამგეობა და მმართველობა.

გამოუკლებლად ყველა საბჭოთა მოქალაქენი, რომელნიც კონფლიქტთან დაკავშირებით დაპატიმრებულ იქნენ ჩინეთის ხელისუფლების მიერ 1929 წლის 1-ლ მაისის შემდეგ, **დაუყოვნებლივ განთავისუფლებულ უნდა იქნან** მათი რაიმე კატეგორიებად დაყოფის გარეშე; მათ შორის განთავისუფლებულ უნდა იქნან როგორც საბჭოთა სავაჭრო მოსამსახურენი, ისე ის მოქალაქენი, რომელნიც დაპატიმრებულ იქნენ ხარბინის საკონსულოს ჩხრეკის დროს 1929 წლის 27 მაისს.

საბჭოთა მთავრობაც დაუყოვნებლივ ანთავისუფლებს გამოუკლებლივ ყველა ჩინეთის მოქალაქეებს, რომლებიც დაპატიმრებულ იქნენ კონფლიქტთან დაკავშირებით; ანთავისუფლებს აგრეთვე საკონცენტრაციო ბანაკში მოთავსებულ ჩინელ ჯარისკაცებს და ოფიცრებს.

აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ყველა მუშებს და მოსამსახურეებს, საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს, რომლებიც დათხოვნილ იქნენ ან თვითონ დაანებეს თავი სამსახურს 1929 წლის 10 ივლისიდან, **უფლება და საშუალება ეძლევათ დაუყოვნებლივ დაბრუნდნენ იმ თანამდებობაზე, რომლებიც მათ ეჭირათ დათხოვნამდე და მიიღონ გზისაგან კუთვნილი ფული.**

იმ დათხოვნილებს ან სამსახურიდან თავის ნებით წასულთ, რომლებიც არ ისარგებლებენ ამ უფლებით, დაუყოვნებლივ უნდა გაუსწორონ სრული ანგარიში ჯამაგირის, საპენსიო ანარიცხების და სხვ. მხრივ. განთავისუფლებული ვაკანსიების შევსება შეიძლება მხოლოდ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის კანონიერ გამგეობის და მმართველობის განკარგულებით, ამასთან აუცილებლად და დაუყოვნებლივ დათხოვნილ უნდა იქნან ყველა ის ყოფილი რუსეთის ქვეშევრდომნი, არა საბჭოთა კავშირის მოქალაქენი, რომელნიც მიღებულ იქნენ გზაზე კონფლიქტის დროს.

ჩინეთის ხელისუფლება დაუყოვნებლივ ანიარაღებს რუს თეთრგვარდიელთა რაზმებს და ასახლებს მათ აღმოსავლეთის სამი პროვინციის ფარგლებიდან.

ჩინეთ-საბჭოთა კონფერენციამდე, რომელზედაც განხილული იქნება საკითხი სრული დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობების აღდგენის შესახებ საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის, **ორივე მხარე შესაძლებლად და აუცილებლად სთვლის საბჭოთა საკონსულოების დაუყოვნებლივ აღდგენას აღმოსავლეთის სამი პროვინციის ტერიტორიაზე და ჩინეთის საკონსულოების აღდგენას საბჭოთა შორეული აღმოსავლეთის სათანადო პუნქტებში.**

მუკდენის მთავრობა აცხადებს, რომ იგი კისრულობს ვალდებულებას—უზრუნველჰყოს აღმოსავლეთის სამი პროვინციის ტერიტორიაზე საბჭოთა საკონსულოების სრული ხელშეუხებლობა და ყველა ის პრივილეგიები, რომლებიც ეკუთვნით მათ საერთაშორისო უფლების და ჩვეულების ძალით. ამასთან, თავისთავად ცხადია, რომ იგი თავს შეიკავებს ყოველგვარ ძალადობისაგან, რაც დაარღვევს ამ ხელშეუხებლობას და ამ პრივილეგიებს.

თავის მხრივ საბჭოთა მთავრობა უარს ამბობს სპეციალურ რეჟიმზე, რომელიც მან დააწესა 1929 წლის 31 მაისიდან ურთიერთობის გაწყვეტის დრომდე ჩინეთის საკონსულოებისათვის, და ანიჭებს ამ აღსადგენ საკონსულოებს ყველა პრივილეგიებს და სრულ ხელშეუხებლობას, რასაც მათ აკუთვნებენ საერთაშორისო უფლება და ჩვეულება.

საკონსულოების აღდგენით **შესაძლებელი ხდება დაუყოვნებლივ აღდგენილ იქნას იმ საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ნორმალური მუშაობა, რომლებიც არსებობდნენ კონფლიქტამდე აღმოსავლეთის სამი პროვინციის რაიონში.**

ასევე შესაძლებელი ხდება აღდგენილ იქნას ჩინელთა კომერციული საწარმონი, რომლებიც საბჭოთა კავშირის ფარგლებში არსებობდნენ და რომელთა მოქმედებაც შეჩერებულ იქნა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე ჩამოვარდნილ კონფლიქტთან დაკავშირებამდე.

ორივე ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობის საკითხი, აგრეთვე საკითხი შეთანხმებათა შესრულების და ორივე მხარის ინტერესების დაცვის რეალური გარანტიების შესახებ გადაწყვეტილ უნდა იქნას ჩინეთ-საბჭოთა კონფერენციაზე, რომელიც მოწვეული იქნება ყველა სადაო საკითხების მოსაგვარებლად 1930 წლის 25 იანვარს მოსკოვში.

დაუყოვნებლივ აღდგენილ იქნება მშვიდობიანი მდგომარეობა ჩინეთის და საბჭოთა კავშირის საზღვრებზე, რასაც შედეგად მოჰყვება ჯარების გაწვევა ორივე მხრიდან.

აღნიშნული ოქმი ძალაში შედის მისი ხელის მოწერის მომენტიდან.

ოქმის თანახმად, აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ახალი მმართველი ამხ. რუდი და მისი თანაშემწე ამხ. დენისოვი ხარბინში მიემგზავრებიან, რათა შეუდგნენ თავიანთი მოვალეობის ასრულებას. ორივე მხარე აძლევს განკარგულებას თავიანთი ჯარების გაწვევის შესახებ. (ადს).

ფინანსიური კაპიტალის დიქტატურა გერმანიაში

„ფრანკფურტერ ცაიტუნგ"-ი ჰილფერდინგის გადადგომის შესახებ

ბერლინი, 22 დეკემბერი. გერმანიის ფინანსთა მინისტრის ჰილფერდინგის გადადგომასთან დაკავშირებით, „ფრანკფურტერ ცაიტუნგ"-ი აცხადებს, რომ ძნელი იქნება გამოინახოს ს.-დ. მინისტრი, რომელმაც ჰილფერდინგზე უფრო შესძლოს ბურჟუაზიულ-კოალიციონური პარტიების სურვილებთან შეგუება. ბურჟუაზიული პრესა უსაყვედურებს ჰილფერდინგს, რომ მას აქტივობა აკლდა და ყოველთვის სცდილობდა გადაედვა სასწრაფოდ მოსაგვარებელი საკითხები. დამახასიათებელია, რომ „ფორვერტს"-იც კი ჰკიცხავს ჰილფერდინგს და სცდილობს დააკისროს მას, ხოლო კიდევ უფრო მეტად მის სტატს-მდივანს პოპიცს, პასუხისმგებლობა მასების გაძარცვისათვის. ამ ხასიათის ზომებს კი მხარს უჭერდა არა მარტო სოციალ-დემოკრატი ფინანსთა მინისტრი, არამედ მთელი სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია. გერმანიის კომპარტიის წრეებში აღნიშნავენ, რომ გერმანიის მთავრობაში ჰილფერდინგი საბჭოთა კავშირის ყველაზე დაუძინებელი მტერი იყო. (ადს).

კონტროლი ბერლინის თვითმართველობაზე

ბერლინი, 21 დეკემბერი. ბრანდენბურგის პროვინციის ობერ-პრეზიდენტმა ბერლინის ქალაქის თვითმმართველობას აუკრძალა ახალი ხარჯების გაწევა იმ დრომდე, სანამ არ მოწესრიგდება მოკლევადიანი სესხების (400 მილ. მარკა) საკითხი. მანვე განკარგულება გასცა, რომ ის ზედმეტი შემოსავალი, რომელიც, ტარიფებსა და გადასახადების გადიდებით იქნება მიღებული, შეტანილ იქნას პრუსიის სახელმწიფო ბანკის განსაკუთრებულ ფონდში.

ბერლინის ბურგომისტრს შოლცს წინადადება მიეცა განახორციელოს კონტროლი ბანკზე. 1812 წლის შემდეგ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც პრუსიის ქალაქს სახელმწიფოს მიერ კონტროლი ენიშნება. კონტროლი ფაქტიურად აუქმებს ბერლინის თვითმართველობას.

ამის შესახებ „როტე ფანე" სწერს: „დემოკრატი ობერ-პრეზიდენტი აუქმებს ერთი საუკუნის წინად მოპოვებულ თვითმართველობას და აწესებს დიქტატურას. ასეთივე ამბები ხდება მთელი გერმანიის მასშტაბით—შახტი, ეყრდნობა რა „საუკუნოებრივ მტერს"—საფრანგეთს, მორგანსა და პარკერ ჰილბერტს, აწესებს ფინანსიურ დიქტატურას, რომლის წინაშეც ქედს იხრის მიულერის მთავრობა". (ადს).

გერმანია ფინანსიურ მუხრუჭში

ბერლინი, 22 დეკემბერი. რეიხსტაგმა მიიღო კანონპროექტი, რომლითაც 1930 წლის დამლევამდე უნდა შეგროვდეს 450 მილიონი მარკა მოკლევადიან ვალდებულებათა დასაფარავად. კამათის დროს მიულერმა განაცხადა, რომ, მთავრობასა და მის მომხრე პარტიებს შორის მომხდარი შეთანხმების გამო, დეკემბრისათვის საჭირო კრედიტი უზრუნველყოფილია და თავიდან აცილებულია ის საფრთხე, რომელიც სახელმწიფოს მოელოდა. მიულერმა ამასთან სთქვა, რომ მომავალში საჭიროა უდიდესი მომჭირნეობა. რეიხსტაგმა მიიღო სხვა კანონპროექტი; ამ კანონპროექტით [illegible] ხდებოდათ უმუშევართა სასარგებლოდ. გარდა ამისა, რეიხსტაგმა მოიწონა საგადასახადო კანონპროექტი და უარჰყო მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების წინადადება, რომელიც კომფრაქციამ შეიტანა. (ადს).

გერმანიის ბანკებმა კრედიტი გაუხსნეს მთავრობას

ბერლინი, 21 დეკემბერი. სახელმწიფო ბანკის თავმჯდომარის შახტის თანხმობით, გერმანიის ბანკებმა მთავრობას გაუხსნეს 350 მილიონი მარკის კრედიტი 8,8 წლიური პროცენტით. ამერიკის ბანკი „დილონი" კი, რომელთან წარმოებული მოლაპარაკებაც შახტმა ჩაშალა, კრედიტს იძლეოდა 7,5 პროცენტით.

საბანკო წრეები ამბობენ, რომ მოძრაობა უცხოეთის კრედიტის წინააღმდეგ იმით არის გამოწვეული, რომ მორგანის ბანკს, რომელთანაც გერმანიის ბანკები დაკავშირებული არიან, სურდა „დილონი" გაედევნა გერმანიის ფულის ბაზრიდანო.

ახლანდელი შინაური სესხის გარანტიას მორგანის ბანკი კისრულობს. (ადს).

კომუნისტების გამარჯვება

ბერლინი, 22 დეკემბერი. ბერლინის მუნიციპალიტეტის სხდომაზე ქალაქის თავმა შოლცმა განაცხადა, რომ ბერლინში შემოღებული იქნა სახელმწიფო კონტროლი, რომლის ძალითაც აკრძალულია ყოველგვარი ახალი ხარჯების გაწევა. მუნიციპალიტეტი ვერ განახორციელებს უმუშევართა და კომინისტ. ფრაქციის ზეგავლენით მიღებულ დადგენილებას უმუშევართათვის საზამთროდ დახმარების მიცემის შესახებ. მუნიციპალიტეტმა ყველა ხმებით (სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ) მიიღო კომუნისტების წინადადება, რომლითაც თვითმმართველობა სასტიკ პროტესტს აცხადებს საგზაური, გაზისა და ელექტრონის ტარიფების გადიდების წინააღმდეგ და მოითხოვს მათ გაუქმებას. პოლიტიკური წრეების აზრით, შოლცი არ გაუწევს ანგარიშს ამ დადგენილებას და 2 იანვრიდან ახალ ტარიფს შემოიღებს. (ადს).

საპროტესტო დემონსტრაცია ფინანსიური დიქტატურის წინააღმდეგ

ბერლინი, 22 დეკემბერი. გუშინ, გერმანიის კომპარტიის მოწოდებით, მრავალმა ათასმა მუშამ გამართა საპროტესტო დემონსტრაცია ფინანსიური დიქტატურის დამყარების წინააღმდეგ როგორც ბერლინის მუნიციპალიტეტში, ისე მთელ სახელმწიფოში. ქალაქის ყველა რაიონში გაიმართა მიტინგები და პროცესიები. დემონსტრაციებზე შეტაკებები არ მომხდარა. მთელ გერმანიაში ყოველდღე ხდება უმუშევართა და წარმოების მუშათა მასიური დემონსტრაციები. განსაკუთრებით დიდი დემონსტრაციები გაიმართა ჰამბურგში, კელნში და სხვ. ქალაქებში, სადაც მოხდა სერიოზული შეტაკებები პოლიციასთან. (ადს).

ამხ. სოკოლნიკოვის განცხადება

რწმუნების სიგელების გადაცემის დროს

ლონდონი, 2 დეკემბერი. რეიტერის სააგენტო აქვეყნებს შემდეგ განცხადებას, რომელიც გააკეთა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ინგლისში სოკოლნიკოვმა რწმუნების სიგელების გადაცემის შემდეგ:

„საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის დიპლომატიური ურთიერთობის სრული განახლება წარმოადგენს ისეთ ნაბიჯს, რომელიც უეჭველად ჯანსაღ ეკონომიურ და პოლიტიკურ აუცილებლობას ემყარება.

ნორმალური ურთიერთობის არ არსებობა ორ სახელმწიფოს მთავრობებს შორის, ამძიმებდა საერთაშორისო მდგომარეობის სიმწვავეს და მუდმივ საფრთხეს უქმნიდა მშვიდობიანობას, რომლის შენარჩუნებაშიაც უაღრესად დაინტერესებულნი არიან მშრომელი მასები. მეორეს მხრივ, ამ პირობებში შეუძლებელი იყო მკვიდრი, ურთიერთ ნდობაზე დამყარებული, სავაჭრო დამოკიდებულების განვითარება. ამას ადასტურებს კარგად ცნობილი ციფრობრივი მასალა ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის არსებული სავაჭრო ბრუნვის შესახებ.

მე იმედი მაქვს, რომ ურთიერთობის განახლება და შემდგომი განმტკიცება, რაც დამყარებულია ყურადღებაზე ორივე ქვეყნის ინტერესებისადმი, მომავალ წელს, დადებით შედეგებს გამოიღებს და სავაჭრო ბრუნვაში მოახდენს გარდატეხას ორივე ქვეყნის სასარგებლოდ. კარგ ნიშანს წარმოადგენს ის გარემოება, რომ საბჭოთა ორგანიზაციების შეკვეთებმა ლონდონში 1929 წლის ოქტომბერ-ნოემბერში უკვე მიაღწიეს 3.687-ათას გირვანქა სტერლინგს, წარსული წლის იმავე თვეების 1.195-ათასი გირვანქა სტერლინგთან შედარებით.

მაგრამ აქედან არ გამოდის, რომ თვალი უნდა ავარიდოთ იმ დაბრკოლებებს, რომლების გადალახვაც დაგვჭირდება მანამდე, მინამ ვაჭრობა ჩვენს ქვეყნებს შორის მიაღწევდეს იმ პროპორციას, რომელიც მათ ეკონომიურ შესაძლებლობებსა და საჭიროებებს შეეფერება.

ამჟამად არავის შეუძლია უარჰყოს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განსაკუთრებით სწრაფი ზრდა. საბჭ. კავშირის სახ.-მეურნეობის განვითარების ხუთ წლიანი გეგმა პირველ წელს შესრულებულ იქნა არა თუ მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც. სამრეწველო პროდუქციის გადიდება 1928—29 წელს, 1927—28 წელთან შედარებით, 24 პრ.-ს უდრის. 1929—30 წელს პროდუქციის ეს გადიდება წინა წელთან შედარებით გამოანგარიშებულია 32 პროცენტით (ყველა ეს გამოანგარიშება შედგენილია მტკიცე ფასების მიხედვით), თუმცა პროდუქციის ყოველწლიური ზრდა, რაც გათვალისწინებულია ხუთწლიანი გეგმით, მხოლოდ 20-21 პროცენტს შეადგენს. კაპიტალური დაბანდებანი მრეწველობაში და ელექტრონის სადგურების მშენებლობისათვის გადადებული თანხები 1924—30 წელს შეადგენენ თითქმის 450 მილიონ გირვანქა სტერლინგს. ამ კაპიტალური ხარჯების მეტი ნაწილი გამოყენებული იქნება ახალი ფაბრიკების მშენებლობისათვის და ძველი ფაბრიკების გადასაკეთებლად. ეს, თავის მხრივ, იწვევს დიდძალი მანქანებისა და ყოველგვარი მოწყობილობის უცხოეთიდან შემოტანის აუცილებლობას. ყოველივე ეს იწვევს—და ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ინგლის-საბჭოთა ვაჭრობის პერსპექტივებისათვის,—საბჭოთა კავშირის მოთხოვნილების ზრდას ელექტრონისა და ქიმიური მრეწველობის პროდუქციის სფეროშიაც, კერძოდ, მეტალურგიული საქონლის, მანქანათმშენებლობის, საწარმოო იარაღების, სატრანსპორტო საშუალებების, მათ შორის გემების, და სხვ. სფეროში. დიდი მასშტაბის სახელმწიფო და კოოპერატიულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მეტად სწრაფი განვითარება ჰქმნის უდიდეს მოთხოვნილებას ტრაქტორებსა და სხვა რთულ სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე. ინგლისის მრეწველობამ სერიოზულად უნდა შეისწავლოს საბჭოთა ბაზრის საჭიროებანი ამ ბაზრის თავისებურობასთან შეგუების მიზნით, ამავე დროს საბჭოთა ბაზრის მოთხოვნილებებს შეუძლიათ გამოიწვიონ ინგლისის მრეწველობის იმ დარგების განვითარება, რომელთა პროდუქციაც უფრო გასაღდება საბჭოთა კავშირში.

მეორე პრობლემა, რომელიც წამოჭრილია ჩვენს წინაშე, დაკავშირებულია ფინანსებთან. აუცილებელ ფინანსიურ გარიგებათა გარეშე, რომელთა მიზანსაც უნდა შეადგენდეს ვაჭრობის მკვიდრად და სწრაფად განვითარება ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის, ჩვენი ეკონომიური ურთიერთობის განვითარება უსათუოდ უფრო ნელი იქნება. საბჭოთა მთავრობა, რომელიც მიზნად ისახავს რაც შეიძლება სწრაფად და წარმატებით შეასრულოს სოციალისტური რეკონსტრუქციის გეგმა, თავის მხრივ მზად იქნება მიიღოს ზომები იმ ფინანსიურ პრეტენზიების მოსაგვარებლად, რომლებსაც მას უდგენდნენ, თუ მხედველობაში მიღებული იქნება ჩვენი კონტრ-პრეტენზიებიც. მაგრამ რა ნაბიჯიც არ უნდა გადადგას საბჭოთა მთავრობამ ამ მიზნით, ეს ნაბიჯი პირდაპირ დაკავშირებული უნდა იყოს იმ ზომებთან, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას. **მე იმედი მაქვს, რომ მომავალი მოლაპარაკების პროცესში ეს საკითხები უაღრესად გულდასმით იქნება გამოკვლეული და რომ მიღებული იქნება ყოველი ღონე იმისათვის, რათა გადაიჭრას ჩვენს წინაშე მდგომი პრობლემები.**

ამავე დროს უნდა დავსძინო, რომ საბჭოთა კავშირის, ე. ი. ფართო მშრომელ მასებს, რომელნიც ესალმებიან ინგლის-საბჭოთა ეკონომიურ ურთიერთობის აღდგენას და განვითარებას, სავსებით შეგნებული აქვს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საბჭოთა მეურნეობის მიერ მიღწეული წარმატებანი, მიუხედავად თითქმის სრული ფინანსიური იზოლიაციისა, უცხოეთის სახელმწიფოების მხრივ.

ჩვენ მტკიცე განზრახვა გვაქვს ლოიალურად შევასრულოთ ყოველგვარი ვალდებულება, რომელსაც ჩვენ ვკისრულობთ; ამავე დროს ვემყარებით იმას, რომ ის ქვეყნები, რომლებსაც ჩვენთან მეგობრული ურთიერთობა აქვთ, მხედველობაში იღებენ ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიური სისტემის უცვლელ საფუძველს; ამ პირობებში შესაძლებელი იქნება განმტკიცდეს ის ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის, რომელიც დამყარებულია ორივე მხარის სარგებლობაზე, და საფუძველი ჩაეყაროს ხანგრძლივ მშვიდობიან თანამშრომლობას ორივე ქვეყნების ხალხებს შორის". (ადს).

ნოტების გაცვლა-გამოცვლა

ლონდონი, 21 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლონდონში ამხ. სოკოლნიკოვი და სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მრჩეველი— ამხ. ბოგომოლოვი ეწვივნენ ინგლისის საგარეო საქმ. მინისტრს ჰენდერსონს. სოკოლნიკოვმა და ჰენდერსონმა ერთმანეთს გადასცეს ინგლისისა და საბჭოთა კავშირის მთავრობების ნოტები ურთიერთის წინააღმდეგ მტრული გამოსვლებისაგან თავის შეკავების შესახებ. ინგლისის ნოტის ტექსტი საგარეო საქმეთა სამინისტროს ჯერ კიდევ არ გამოუქვეყნებია. (ადს).

მოსკოვი, 23 დეკემბერი. 21 დეკემბერს ინგლისის საელჩოს მრჩეველმა ეშტონ გვოტკინმა ინახულა საგარეო საქმეთა სახ. კომისარიატის დასავლეთის მე-3 განყოფილების გამგე ამხ. კაგანი და გადასცა მას ინგლისის მთავრობის ნოტა; ნოტა შეეხება საკითხს იმის შესახებ, რომ ორივე მხარემ თავი შეიკავოს და ერთმანეთის მიმართ მტრული გამოსვლები არ მოახდინოს.

ამავე დროს ამხ. კაგანმა ეშტონ გვოტკინს საბჭოთა მთავრობის საპასუხო ნოტა გადასცა. (ადს).

ამხ. სოკოლნიკოვის განცხადების გამოძახილი

ლონდონი, 21 დეკემბერი. „ტაიმს"-მა და „მანჩესტერ გარდიენ"-მა მთლიანად მოათავსეს სოკოლნიკოვის სიტყვა:

„დეილი ჰერალდ"-ი მოწინავე წერილში იხება სოკოლნიკოვის მიერ რწმუნების სიგელების გადაცემას და სწერს:

„ეს ცერემონიალი ბოლოს უღებს ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის გაწყვეტას, რომელიც გამოიწვია უაზრო თავდასხმამ არკოსზე. მაგრამ თუ ურთიერთობის აღდგენა მომასწავებელი იქნება მხოლოდ იმისა, რომ დავბრუნდეთ იმ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა მას შემდეგ, რაც ჩემბერლენმა თავისი თანამდებობა დაიჭირა, და გაგრძელდა იმ დღემდე, როცა როზენგოლცი ლონდონიდან წავიდა,— ამას დიდი ღირებულება არ ექნება. მაგრამ, საბედნიეროდ არც ინგლისს და არც საბჭოთა მთავრობას არა სურთ, რომ ურთიერთობას ამ ქვეყნებს შორის უმთავრესად ფორმალური ხასიათი ჰქონდეს. ურთიერთობის განახლება გამოყენებული იქნება იმისათვის, რომ ერთ-ერთი ყველაზე საშიშარი საერთაშორისო კონფლიქტთაგანი გადაიქცეს მეგობრობად ორ ქვეყანას შორის, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება მთელ მსოფლიოსათვის". (ადს).

ინგლისის ელჩმა რწმუნების სიგელები გადასცა ამხ. კალინინს

მოსკოვი, 22 დეკემბერი. შაბათს, 21 დეკემბერს, საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარემ ამხ. კალინინმა კრემლის დიდ დარბაზში მიიღო ინგლისის ელჩი სერ. ესმონდ ოვიი, რომელმაც ამხ. კალინინს გადასცა რწმუნების სიგელები. სიგელების გადაცემის დროს ელჩმა სთქვა, რომ ის დიდათ აფასებს მისთვის დაკისრებულ უმაღლეს მისიას—დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას ორივე ქვეყნის შორის, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს მოასწავებს საკეთილო დამოკიდებულების დასაწყისს.

საპასუხო სიტყვაში ამხ. კალინინმა მიესალმა დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას საბჭოთა კავშირის და ინგლისს შორის, მან გამოსთქვა რწმენა, რომ ურთიერთობის აღდგენა „სავსებით შეეფერება ორივე ქვეყნის ინტერესებს".

ელჩმა წარუდგინა ამხ. კალინინს მასთან მყოფნი—საელჩოს მრჩეველი ეშტონ გვოტკინი, საელჩოს პირველი მდივანი პატრიკი და პოლკოვნიკი მიტფორდი.

მიღებას დაესწრნენ საბჭოთა კავშირის ცაკის მდივანი ამხ. ენუქიძე, გარეშე საქმეთა სახ. კომისრის მოვალეობის დროებითი აღმსრულებელი ამხ. ლიტვინოვი, გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრი— ამხ. როტშტეინი, გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის დასავლეთის მესამე განყოფილების გამგე ამხ. კაგანი, მისი თანაშემწე ამხ. რუბინინი, ამ განყოფილების პასუხისმგებელი თანამშრომლები, გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის ეკონომიურ-უფლებრივი განყოფილების გამგე ამხ. საბანინი, ამავე კომისარიატის საქმეთა მმართველი ამხ. არკადიევი და კრემლის კომენდანტი ამხ. პეტერსონი. სიგელების ჩაბარების შემდეგ ელჩს ჰქონდა კერძო აუდიენცია ამხ. კალინინთან.

ამხ. კალინინთან წარდგენის დროს ინგლისის ელჩს თან ახლდა გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ამხ. ფლორინსკი. (ადს).

თურქეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმების გარშემო

„კელნიშე ცაიტუნგ"-ი თურქეთ-საბჭოთა ოქმის შესახებ

ბერლინი, 21 დეკემბერი. „კელნიშე ცაიტუნგ"-ი მოწინავე წერილში აღნიშნავს, რომ ხელისმოწერა თურქეთ-საბჭოთა ახალ ოქმზე წარმოადგენს საბჭოთა კავშირის თვალსაჩინო წარმატებას. ამით საბჭოთა კავშირი წინააღმდეგობას უწევს გარემოცვის იმ პოლიტიკას, რომელსაც კაპიტალისტური სახელმწიფოები აწარმოებენ.

„თურქეთ-საბჭოთა ოქმის მეორე პარაგრაფი,—სწერს გაზეთი,—ბევრად უფრო მეტად ზღუდავს ორივე მხარის საგარეო-პოლიტ. მოქმედებას, ვიდრე რომელიმე სხვა ხელშეკრულება მეგობრობისა და ნეიტრალიტეტის შესახებ, რომელიც კი დადებულ იქნა ამ უკანასკნელ წლებში სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის. ერთა ლიგისათვის ცუდ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ „კაპიტალისტური" სახელმწიფოები იძულებულნი არიან ბოლშევიკებს მიმართონ იმპერიალიზმისაგან თავის დასაცავად". (ადს).

ქარიშხალმა შეაჩერა ამხ. კარახანი

ანგორა, 22 დეკემბერი. როგორც ანატოლიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, შავ ზღვაზე მძვინვარე ძლიერი ქარიშხალის გამო ის გემი, რომლითაც ამხ. კარახანი გაემგზავრა, უკანვე დაბრუნდა სტამბოლში. (ადს).

ამხ. სტალინის პასუხი

მოსკოვი, 22 დეკემბერი. „ყველა ორგანიზაციებსა და ამხანაგებს, რომლებმაც მისალმებები გამომიგზავნეს.

თქვენს მილოცვებსა და მისალმებებს მე მივაკუთვნებ მუშათა კლასის დიად პარტიას, რომელმაც მშვა და აღმზარდა თავის ბუნების მსგავსად. და სწორედ იმიტომ, რომ ამ მისალმებებს მე მივაკუთვნებ ჩვენს სახელოვან ლენინურ პარტიას, ვბედავ გიპასუხოთ ბოლშევიკური მადლობით.

შეგიძლიათ ეჭვი არ იქონიოთ, ამხანაგებო, რომ მე მზათ ვარ მომავალშიაც შევსწირო მუშათა კლასის საქმეს, პროლეტარული რევოლუციისა და მსოფლიო კომუნიზმის საქმეს მთელი ჩემი ძალღონე, მთელი ჩემი უნარი და თუ საჭირო იქნება, მთელი ჩემი სისხლი წვეთ-წვეთად.

ღრმა პატივისცემით **ი. სტალინი.**

საზღვაო კონფერენციის წინ

საფრანგეთის მემორანდუმი

პარიზი, 21 დეკემბერი. ინგლისის მთავრობისადმი მიმართულ მემორანდუმში საფრანგეთის მთავრობა საზღვაო შეიარაღების შესახებ აღნიშნავს, რომ ეს საკითხი მხოლოდ ნაწილია შეიარაღების საერთო შეზღუდვის პრობლემისა, რომელიც ერთა ლიგამ უნდა გადაწყვიტოს. ხმელეთის, ზღვის და ჰაერის შეიარაღებას მემორანდუმი ერთმანეთთან დაკავშირებულად სთვლის (ადს).

პარიზი, 23 დეკემბერი. ოფიციალური პრესა ბეჭდავს იმ მემორანდუმის ძირითად პრინციპებს, რომელიც საფრანგეთის მთავრობამ ლონდონის მომავალი საზღვაო კონფერენციის მონაწილეებს გაუგზავნა. იმ პრინციპების შინაარსი, რომლებიც მემორანდუმს საფუძვლად უდევს, შემდეგში გამოიხატება: 1) საზღვაო შეიარაღებათა შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ უშიშროების იმ გარანტიების მიხედვით, რომლებსაც შეიცავს ერთა ლიგის წესდება, ეს შეზღუდვა განსახორციელებელია ერთა ლიგის იმ საერთო მუშაობის ფარგლებში, რომელიც სწარმოებს განიარაღების საკითხების გარშემო. ლონდონის კონფერენციას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ წინასწარი, არასავალდებულო ხასიათი. საბოლოო გადაწყვეტილებათა მიღება მხოლოდ ჟენევაში შეიძლება. 2) საფრანგეთი მოითხოვს ხმელეთისა, საზღვაო და საჰაერო შეიარაღებათა ურთიერთ დამოკიდებულებას. 3) საფრანგეთის საზღვაო შეიარაღებათა ზომა და შემადგენლობა უნდა განსაზღვროს მხოლოდ საფრანგეთის „საჭიროებამ", რომელსაც იგი გამოარკვევს მეტროპოლიისა და კოლონიების მიხედვით. 4) ყოველგვარი გადაწყვეტილება საზღვაო შეიარაღებათა შეზღუდვის საქმეში მტკიცედ უნდა იყოს შეფარდებული უშიშროების იმ დამატებით გარანტიებთან, რომლებსაც შეჰქმნიან დაინტერესებულ საზღვაო სახელმწიფოთა ახალი პოლიტიკური შეთანხმებანი. (ადს).

იტალიის პასუხი მემორანდუმზე

პარიზი, 23 დეკემბერი. გარეშე საქმეთა მინისტრმა ბრიანმა მიიღო იტალიის პასუხი იმ მემორანდუმზე, რომელიც შეეხება საზღვაო შეიარაღების საკითხს. პასუხის სრული ტექსტი არ არის გამოქვეყნებული. ოფიციალური ცნობებით, პრინციპიალურად იტალია აღიარებს საფრანგეთის უფლებას—დააწესოს ფლოტის ისეთი რაოდენობა, როგორიც მის საჭიროებას შეეფერება. მაგრამ იტალია მოითხოვს, მიეცეს მას რეალური შესაძლებლობა—იყოლიოს ისეთივე ფლოტი, როგორიც საფრანგეთს ჰყავს. ამიტომ იტალია წინადადებას იძლევა—შეიზღუდოს საფრანგეთის ფლოტი ისეთივე რაოდენობით, როგორიც მისაწვდენია იტალიისათვის ბიუჯეტის გადაჭარბებულად გადიდების გარეშე.

ამავე დროს იტალია კვლავ იმუქრება, რომ ლონდონის კონფერენციაზე იგი მხარს დაუჭერს იმ წინადადებას, რომელიც მოითხოვს წყალქვეშა ნავების სრულ გაუქმებას. მეორეს მხრით, იტალია აცხადებს, რომ იგი მზად არის ხელი შეუწყოს ლონდონის კონფერენციის წარმატებას, რისთვისაც მოითხოვს იტალიასა და საფრანგეთს შორის ხმელთაშუა ზღვის პოლიტიკურ შეთანხმების დადებას.

იაპონია-ამერიკის მეტოქეობა

ნიუ-იორკი, 23 დეკემბერი. ხერსტის პრესამ გამოაქვეყნა ცნობა, რომ იაპონია დათმობებს ჰპირდებოდა შეერთებულ შტატებს საზღვაო შეიარაღების საკითხში, თუ ამერიკა დასთმობდა ფილიპინის კუნძულებს.

ხერსტის ეს ცნობა, როგორც სჩანს, ნაკარნახევია ინგლისის წრეებიდან, რომლებიც ამ გზით ცდილობენ ზეგავლენა მოახდინონ ამერიკის პრესაზე, რომელიც კამპანიას აწარმოებს სინგაპურის ბაზის წინააღმდეგ. ამერიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო უარჰყოფს ხერსტის ცნობებს (ადს).

ინგლის-ამერიკის შეთანხმების ნიშან ქვეშ

პარიზი, 21 დეკემბერი. პარლამენტში საზღვაო ბიუჯეტის ირგვლივ გამართულ კამათის დროს სოციალისტმა პოლ ბონკურმა მწუხარება გამოსთქვა იმის გამო, რომ საზღვაო შეიარაღების პრობლემის მოგვარება ჟენევიდან გადატანილ იქნა ლონდონში, რაც მოასწავებს იმას, რომ საზღვაო კონფერენცია ჩატარებული იქნება ინგლის-ამერიკის შეთანხმების ნიშან ქვეშ. (ადს).

„ვაშინგტონ პოსტ" საზღვაო კონფერენციის წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 22 დეკემბერი. „ვაშინგტონ პოსტ" იცავს, რა დიდი ფლოტის შექმნის საჭიროებას, სწერს:

„ამერიკის ხალხი ერთგვარი შიშით ხვდა წინადადებას, რომ ამერიკის ფლოტის შედარებითი ძალა და სიდიდე განსაზღვრულ იქნას სხვა სახელმწიფოებთან პოლიტიკური ვაჭრობის გზით".

საგარეო საქმეთა მინისტრმა სტიმსონმა გამოაქვეყნა ოფიციალური განცხადება, რომელშიც კიცხავს ამ წერილს. სტიმსონი აცხადებს, რომ წერილის მიზანია „მღელვარების გამოწვევა ამერიკელ დელეგატებს შორის ლონდონში, აგრეთვე ამერიკის მთავრობის წრეებში და შექმნას საბაბი ლონდონის კონფერენციის ჩასაშლელად (ადს).

გაუქმებულია კონცესია შირაქის ნავთზე

მოსკოვი, 22 დეკემბერი. 1924 წელს საკავშირო მთავრობამ ანონიმურ იტალიურ საზოგადოებას კონცესიის წესით გადასცა საქართველოში შირაქის ნავთიანი ადგილების გამოკვლევა და დამუშავება. კონცესიონერმა ხუთი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი ჭაბურღილი დადგა, რომელმაც 1928 წელს მოგვცა ნავთის შადრევანი. ვინაიდან კონცესიონერებს არ გააჩნია საჭირო სახსრები მუშაობის გასაგრძელებლად და ამასთანავე მან არ შეასრულა საკონცესიო ხელშეკრულების მთავარი პირობები, საკავშირო მთავრობამ ხელშეკრულება დაარღვია. საქ. ს. მ. უ. ს-მა სთხოვა შრომისა და თავდაცვის საბჭოს ნება დართოს მოაწყოს ტრესტი „საქნავთი" შირაქის და საქართველოს სხვა ნავთიანი ადგილების გამოკვლევებისა და ექსპლოატაციისათვის. (ადს).

მ ო ს კ ო ვ ი

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

გერმანიის მთავრობა შახტის გავლენას ემორჩილება

სოციალ - დემოკრატ. პრესა ჰილფერდინგის გადადგომის შესახებ

მოსკოვი, 23 დეკ. არასოდეს სიტყვა დიქტატურა ისე ხშირად არ გაისმოდა გერმანიაში, როგორც ეხლა. ამ იდეის, რომელიც გულისხმობს მსხვილი კაპიტალის დიქტატურას, უფრო პოპულიარული წარმომადგენელია გერმანიის სახელმწიფო ბანკის დირექტორი შახტი. გერმანიის სოციალ - დემოკრატიულ მთავრობამ დასთმო თავისი პოზიციები შახტის წინაშე. ოფიციალური სოციალ - დემოკრატიული პრესბიურო გულახდილად აცხადებს: **„მთავრობა დაემორჩილება შახტის დიქტატურას,** რადგან უახლოეს დროში სხვა საშუალება არ არსებობს იმისათვის, რომ სახელმწიფომ მოიპოვოს სესხისა და სარეპარაციო ვალდებულებათა გადახდის უნარი".

თავის განცხადებაში ჰილფერდინგი პირდაპირ მიუთითებს შახტზე და სწერს, რომ ჩემი გადადგომა გამოწვეულია ფინანსთა სამინისტროს გარეშე მიზეზებისაგანო.

ჰილფერდინგის მაგივრად ასახელებდნენ სახალხო მეურნეობის მინისტრს მიოლდენჰაუერს, მაგრამ ამან სასტიკი წინააღმდეგობა გამოიწვია სოციალ - დემოკრატიისა და ცენტრის პარტიების მხრივ. ჯერ - ჯერობით არ არის გამორკვეული ვინ დაიჭერს ჰილფერდინგის ადგილს. მოსალოდნელია სერიოზული გართულებანი.

გაზეთი „ფოსიშე ცაიტუნგი"-ს აზრით, ჰილფერდინგის გადადგომა ნიშნავს მორგანის გამარჯვებას.

უმუშევართა მღელვარება ბერლინში

მოსკოვი, 23 დეკემბერი. ბერლინიდან მიღებული ცნობით იქ მოულოდნელად დადგა დიდი სიცივეები. უმუშევრები გამოვიდნენ ქუჩებში საპროტესტო დემონსტრაციებით, ისინი მოითხოვენ დაუყონებლივ დახმარებას. პოლიციამ გამოსცა ბრძანება დემონსტრაციების აკრძალვის შესახებ, რეპრესიები კომუნისტების წინააღმდეგ გაძლიერდა; შოლცი, რომელიც დანიშნული იყო ქალაქის თვითმართველობის კონტროლიორად, აღჭურვილია საგანგებო ფართო უფლებებით. შოლცს წინადადება მიეცა სასწრაფოდ შეუდგეს მოვალეობის ასრულებას. შოლცმა გააუქმა მუნიციპალიტეტის დადგენილება უმუშევართათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

ამხ. პეტერსი საბჭოთა აპარატის წმენდის შესახებ

მოსკოვი, 23 დეკ. „პრავდა"-ში მოთავსებულია საბჭოთა აპარატის გამწმენდ საკავშირო ცენტრალურ საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის ამხ. პეტერსის წერილი. ამხ. პეტერსი აღნიშნავს, რომ ფინსახკომის და მიწსახკომის აპარატის წმენდის დამთავრების შემდეგ უნდა ჩატარებულ იქნას **ქვედა საფეხურის საბჭოთა აპარატის, კომუნალური ორგანოებისა და, კოოპერაციის აპარატის შემოწმება.** ცენტრალურ ორგანოებიდან წმენდა უნდა დაიწყოს **საკავშირო სახალხო მეურნეობის საბჭოს, ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და განათლების სახალხო კომისარიატის აპარატში.**

ამასთანავე, მთლიანად უნდა იქნას გამოყენებული ის გამოცდილება, რომელიც უკვე მივიღეთ ჩატარებულ მუშაობის დროს. მთავარი, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს, ისაა ტემპის დაჩქარება. აპარატის წმენდა ბევრ ადგილას ჭიანურდება. ჩვენ არ უნდა ვიქონიოთ მარტო მუშკლებების ძალების იმედი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების მონაწილეობას საბჭოთა აპარატის წმენდაში. გადამჭრელი ზომები უნდა იქნას მიღებული მშრომელი მასების უფრო აქტიურად ჩაბმისათვის აპარატის შემოწმების საქმეში.

„დროშა" № 23
გამოვიდა და იყიდება ყველგან
ფასი 15 კაპ.

ბიუჯეტის 60 პროც. შეიარაღებისათვის

კომპარტია ამხელს იმპერიალისტების სამხედრო სამზადისს

ამხ. ბოგრანის სიტყვა საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში

პარიზი, 23 დეკემბერი. საზღვაო სამინისტროს ბიუჯეტის გარშემო გამართულ კამათში სიტყვით გამოვიდა კომუნისტი დეპუტატი ბოგრანი. მან აღნიშნა, რომ კაპიტალისტური სახელმწიფოები და მათი პოლიტიკური პარტიები — დაწყებული აშკარა იმპერიალისტებით და გათავებული პოლბონკურის ტიპის სოციალ - შოვინისტებით, პაციფისტური ფრაზებით ფარავენ გაფართოებულ შეჯიბრებას საზღვაო შეიარაღების დარგში, რომელიც აახლოვებს იმპერიალისტების შეჯახების ვადას.

„სოციალისტი" რენოდელი ბოგრანს ადგილიდან შემდეგ რეპლიკას ესვრის: „საბჭოთა კავშირი თავს დაესხა ჩინეთს და ამას თავდაცვის ინტერესებით ხსნისო.

ბოგრანი ამჟღავნებს სოციალ-ფაშისტ რენოდელის საძაგელ ცრუ განცხადებას და აღნიშნავს: განსხვავება კაპიტალისტურ ქვეყნებსა და პროლეტარულ სახელმწიფოს შორის, იმაში მდგომარეობს, რომ პირველნი ომს აწარმოებენ კაპიტალისტების ინტერესებისათვის, საბჭოთა კავშირი კი იძულებულია თავი დაიცვას არა მარტო საბჭოთა ქვეყნის, არამედ მთელი მსოფლიოს მშრომელთა ინტერესებისათვის.

ბოგრანი ამტკიცებს, რომ მთავრობა 1930 წლისათვის საზღვაო საქმეზე ითხოვს 2.683-მილიონ ფრანკს, ნაცვლად შარშანდელი — 2.485.000 ფრანკისა. უკანასკნელ წლებში ახალ სამხედრო-საზღვაო მშენებლობაზე წლიურად იხარჯებოდა ბიუჯეტის მხოლოდ 41 პროც., 1930 წლისათვის კი სამხედრო-საზღვაო საქმისათვის დანიშნულია ბიუჯეტის 60 პროცენტი. ახალი სამხედრო გემების მშენებლობა ისევე ინტენსიურად მიმდინარეობს, როგორც მსოფლიო ომის წინა წლებში. 1922 წლიდან საფრანგეთმა ააგო 158 სამხედრო გემი, მათგან 10 დიდი, 80 მსუბუქი კრეისერი, 26 კონტრნაღმოსანი და 75 წყალქვეშა ნავი. ბოგრანი მიუთითებს, რომ საფრანგეთი დგას საბჭოთა კავშირის დასავლეთ მეზობლების და აღმოსავლეთ-ევროპის თავის მოკავშირე სახელმწიფოთა სამხედრო-საზღვაო შეიარაღების სათავეში. 1929 წელს მარტო ბლანვილის ქარხნებში პოლონეთისათვის აგებულ იქნა 2 ნაღმოსანი და 2 წყალქვეშა ნავი. 1930 წლისათვის განზრახულია 2 კონტრ-ნაღმოსანი და 8 წყალქვეშა ნავის აგება პოლონეთისა და სამხრეთ-სლავიისათვის. ტულონში მოწყობილია სამხედრო-საზღვაო სკოლა ოფიცრებისათვის, სადაც სწავლობს 150 პოლონელი ოფიცერი. ფართო მუშაობა სწარმოებს გაზის გამოსაყენებლად მომავალ ომში.

ბოგრანი პროტესტს აცხადებს გაზის საწინააღმდეგო ნიღაბების გამოსაცდელად არსენალების მუშების გამოყენების გამო. „დაე პატრიოტმა ოფიცრებმა თავისი სიცოცხლე გასწირონ ამ საშიშ ცდებისათვის"—ამბობს ბოგრანი.

მომხსენებელი საზღვაო ბიუჯეტის საკითხზე რადიკალი დიუმენილი სიტყვას აწყვეტინებს ორატორს: „კი მაგრამ, საფრანგეთი გაზების საწინააღმდეგო ნიღაბებზე ზრუნავს რამდენადაც ჩვენ ვიცით, თუ რა ყურადღებით მუშაობს საბჭოთა კავშირი ქიმიური საშუალებების გამოყენებაზე საზღვაო ომში".

ბოგრანის განცხადებაზე, რომ კანონიერი და აუცილებელია ქიმიური თავდაცვა საბჭოთა კავშირის მხრივ, რომელსაც კბილებამდე შეიარაღებული იმპერიალიზმი განუწყვეტლივ თავს დასხმით ემუქრება, რენოდელი კვლავ ისვრის რეპლიკას, რომლის საპასუხოდ კომუნისტების მხრიდან ისმის აღშფოთების ხმები. კომუნისტი დეპუტატები მოაგონებენ პალატას ომს მაროკოში, ყუმბარების დაშენას დამასკისათვის, იმპერიალისტურ ინტერვენციას საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის წინააღმდეგ.

ბოგრანი მოუწოდებს ფრანგ მეზღვაურებს მიჰბაძონ ჯავშნოსან „პოტიომკინ"-ის, მარტის და კილის მეზღვაურთა სახელოვან ტრადიციებს და ემზადონ იმპერიალისტური ომების წინააღმდეგ საბრძოლველად. უმრავლესობა ამ განცხადებას ხმაურობით ხვდება, სოციალისტები კი ობსტრუქციას აწყობენ. ბოგრანი მოუწოდებს ფრანგ მეზღვაურებს დაუძმობილდნენ იმ ქვეყნების მეზღვაურებს, რომელთა წინააღმდეგ იარაღდება საფრანგეთის იმპერიალიზმი.

ბოგრანი თავის სიტყვას ამთავრებს შემდეგნაირად: „სამარცხვინო იქნებოდა მუშებისათვის, რომ ისინი არ ემზადონ იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ საბრძოლველად".

ყველანი დაზგასთან 25 დეკემბერს

ამხანაგებო!

საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის ნოემბრის პლენუმმა და საკავშირო პროფსაბჭოს მე-8 პლენუმმა სოციალისტური მშენებლობის იმ ამოცანებთან შეფარდებით, რომლებიც მახლობელი პერიოდისათვის გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიან გეგმაში, პროფკავშირების წინაშე დასვეს მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ამოცანები, რომელთაგან ერთ-ერთ ამოცანად მახლობელი პერიოდისათვის ჩაითვლება პროლეტარული გავლენის განმტკიცება და მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის გაძლიერება სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეში.

ამ სერიოზული პოლიტიკური დირექტივის შესრულება შეიძლება მხოლოდ პროფორგანიზაციების ენერგიული, სერიოზული და ხანგრძლივი დროისთვის გათვალისწინებული მუშაობით და მუშათა ფართო მასების მწყობრი დახმარებით სოფ. მეურ. კოლექტივიზაც. და სოფლად კაპიტალიზმის ფესვების აღმოფხვრის საქმეში, მოჯამაგირე, ღარიბ და საშუალო მასების შემჭიდროებით იმ კულაკთან ბრძოლაში, რომელიც გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევს სოციალისტურ შეტევას.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭო, რომელსაც ამ დირექტივის შესრულება პროფკავშირთა მუშაობის აუცილებელ ნაწილად მიაჩნია, მოუწოდებს ყველა პროფორგანიზაციებს და პროფკავშირთა ყველა წევრებს — განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩატარებას, ამასთან სოფლის დახმარების საქმეს უნდა მიეცეს კონკრეტული და პრაქტიკული ხასიათი.

საქართველოს პროფსაბჭომ, რომელიც ამოცანად ისახავს ტექნიკურად და კულტურულად ყველაზე უფრო ჩამორჩენილი რაიონების ამაღლებას და დაახლოებას ჩვენი კავშირის კულტურულად და ტექნიკურად უფრო განვითარებულ რაიონებთან, მიიღო შეფობა აჭარისტანის სოფლის რაიონებზე.

ამავე დროს საბჭო აწყობს საქართველოს პროფკავშირების სატრაქტორო კოლონას, ახდენს 400 მუშის მობილიზაციას მუდმივ სამუშაოზე გასაგზავნად სოფლად—კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში. მაგრამ ეს დიდი დახმარებაც არ არის საკმარისი. ამიტომ საჭიროა ყოველნაირად გამოყენებულ და გაფართოებულ იქნას საუკეთესო პროლეტარებისაგან შემდგარი დროებითი მუშათა ბრიგადების სოფლად გაგზავნის პრაქტიკა. ამასთან ამოცანად დასახულ უნდა იქნას ბრიგადების ისეთი ორგანიზაცია, რომლის დროსაც ეს ბრიგადები სამსახურს გაუწევენ არა მარტო ქალაქისა და სოფლის საწარმოო დაკავშირებას, არამედ საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის მშრომელთა ინტერნაციონალური მთლიანობის განმტკიცებასაც. მრავალრიცხოვან საწარმოთა მუშების გადაწყვეტილებებით, მუშათა ბრიგადების გაგზავნა მოხდება სოფლის ინდუსტრიალიზაციის ფონდის ხარჯზე,—იმ ფონდის ხარჯზე, რომელიც შესდგება 25 დეკემბერს—ეგრეთწოდებული შობის დღეს—განზრახული მუშაობის ხელფასის გადარიცხვისაგან. ხუცური თავმოსაბეზრებელი გალობისა და ლოთობით შეზავებული ღრეობის ნაცვლად—შემოქმედებითი მუშაობა და სახსრების შეგროვება ინდუსტრიალიზაციის საქმისათვის! ასეთია პროლეტარების ლოზუნგი! რაც უფრო მეტ სახსარს მოვიპოვებთ, მით უფრო მეტად შევსძლებთ დავეხმაროთ გლეხობის ღარიბ მასებს. ამიტომ პროფსაბჭო მოუწოდებს ყველა ორგანიზაციებს—100 პროცენტით გამოცხადდენ სამუშაოზე და დაამტკიცონ თავიანთი პროლეტარული სოლიდარობა სოციალისტური მშენებლობის საქმისადმი.

ყოველმა საწარმომ, განსაკუთრებით სოფლად არსებულმა ყოველმა საწარმომ, ამ დღეს შეფობის მიღებით მახლობელ რაიონებზე, ხოლო შემდგომად ტექნიკური დახმარებით კოლექტივიზაციის საქმეში, უნდა განახორციელოს ლოზუნგი: „ყოველი სოციალისტური საწარმო უნდა იმყოფებოდეს სოციალისტურ გარემოცვაში".

განათლების მუშაკნო, მედმუშაკნო და საბჭოთა მუშაკნო, სასოფლო-სამეურნეო მუშებო—განუმარტეთ გლეხთა ფართო მასებს თესვის კამპანიის მნიშვნელობა, უზრუნველჰყავით დახვნის გეგმის ყოველნაირად შესრულება, დაირაზმეთ კულაკების და მათი დამქაშების უკუსაგდებად! ღარიბ-საშუალო მასების შეერთებული ძალღონით, მუშათა კლასის დახმარებით და ხელმძღვანელობით შევასრულოთ ჩვენი პარტიის დავალება—გავაფართოოთ და განვამტკიცოთ არსებულ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, შევქმნათ მასიური კოლექტივიზაციის რაიონები და მთლიანად შევასრულოთ თესვის გეგმა!

ამხანაგებო! იმუშავეთ 25 დეკემბერს ისე, რომ არავინ გასცდეს, დაამტკიცეთ თქვენი კლასობრივი შეგნება! შევიტანოთ ახალი სახსრები ინდუსტრიალიზაციის საქმისათვის!

ყველა სამუშაოდ!

საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭო.

მისალმებები ამხ. სტალინს

საკავშირო სახკომსაბჭო და შრომისა და თავდაცვის საბჭო ესალმებიან ამხ. სტალინს

მოსკოვი, 22 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილება:

„ოცდაათ წელიწადზე მეტია, რაც ამხ. სტალინი—ლენინის თანამებრძოლი და მისი ყველაზე თანამიმდევარი მოწაფე—სდგას ბოლშევიკური პარტიის მოწინავე პოზიციებზე. უდიდესია ამხ. სტალინის დამსახურება პარტიის შემჭიდროებისა და მუშათა კლასის დარაზმვის საქმეში სოციალიზმის განხორციელებისათვის საბრძოლველად. საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭო და შრომისა და თავდაცვის საბჭო აღნიშნავენ ამხ. სტალინის უაღრესად თვალსაჩინო როლს მარქსისა და ლენინის მოძღვრების თანმიმდევრობითი გატარების საქმეში, ბრძოლაში პროლეტარიატის კლასობრივი მტრების ყოველგვარი წინააღმდეგობის დაძლევისათვის, საბჭოთა ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობაში, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის განსაზოგადოების გზებზე, და ამხ. სტალინის დაბადებიდან 50 წლის შესრულების დღეს მხურვალე სალამს უძღვნიან მას.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე **რიკოვი**".

(ადს).

საკ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მისალმება

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

შენი დაბადების ორმოცდაათი წლის თავზე ბოლშევიკურ სალამს გიძღვნით ამიერ-კავკასიის ყველა კომუნისტების სახელით. შენს სახელს სიყვარულით ახსენებს საბჭოთა კავშირის და ყველა ქვეყნის ყოველი ბოლშევიკი, ყოველი შეგნებული პროლეტარი და იმეორებენ ბრძოლისათვის გამოფხიზლებული დაბეჩავებული კოლონიალური ხალხები, შენი სახელი განსაკუთრებით ძვირფასი და მახლობელია ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების, მუშებისა და ყველა მშრომელებისათვის, რომელთა შორისაც შენ აშენებდი ბოლშევიკურ ორგანიზაციას და ხელმძღვანელობდი მას მეფის წინააღმდეგ ბრძოლის წლებში. აქ, ამიერ-კავკასიაში, გაშლილი სოციალისტური მშენებლობის ყოველი ნაბიჯი ატარებს იმ უდიდეს შემოქმედებითი მუშაობის ბეჭედს, რომელიც შენ მოახმარე ჩვენი კავშირის ხალხთა ნაციონალური განთავისუფლებისა და სოციალისტური განვითარების საქმეს.

შენი ცხოვრება ბოლშევიკური გამბედაობით სავსე დაუღალავი და დაუნდობელი ბრძოლაა მუშათა მასების დარაზმვისათვის მარქსისა და ლენინის დროშის ირგვლივ, ბოლშევიკური პარტიის მთლიანობისათვის, მთელს მსოფლიოში კომუნიზმის გამარჯვებისათვის. განსაკუთრებული ბოლშევიკური რევოლიუციონურობის თვისებებით არის გამსჭვალული შენი არალეგალური ბრძოლის წლები. ასეთივე თვისებებით არის აღნიშნული შენი ლენინთან ხელი-ხელჩაკიდებული ბრძოლა და მუშაობა ოქტომბრის დღეებში. პარტია დღეს, იმ უდიდესი სოციალისტური მუშაობის წლებში, რომელიც შენის მეთაურობის ქვეშ მყოფი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ხორციელდებოდა, შენში ჰფასებს შეუდრეკელ სიმტკიცეს და პროლეტარული ბოლშევიკური კადრების შემჭიდროების უნარს.

ლენინის ერთგული მოწაფე და თანამებრძოლი, შენ მუდამ უდიდესი თავგამოდებით იბრძოდი ბოლშევიკური დისციპლინისათვის, პარტიული პოლიტიკის ლენინური სიწმინდისა და პროლეტარული გარკვეულობისათვის, ლენინური პარტიისათვის, როგორც პროლეტარიატის რევოლიუციონური ბრძოლის სამარი იარაღისათვის.

შენმა სასტიკმა შეურიგებლობამ ლენინიზმის ხაზის ოდნავი დამახინჯებისა და შერყევისადმი, ბოლშევიკური პარტიულობისათვის დაუღალავმა იდეურმა ბრძოლამ „პიროვნების განურჩევლად" შეიარაღა პარტია კონტრ-რევოლიუციონური ტროცკიზმის მემარჯვენე ოპორტუნიზმის და შემარიგებლობის სრული დამარცხებისათვის. მძაფრი სოციალისტური მშენებლობის უკანასკნელ წლებში შენი სიტყვა აშუქებდა შემდგომი ბრძოლის პერსპექტივებს, აღაფრთოვანებდა პარტიას და მუშათა კლასს წამოჭრილ დაბრკოლებათა რევოლიუციონური გადალახვისათვის, დაუნდობლად ამჟღავნებდა მცირე რწმენის მქონეთა და მოწყენილთა ოპორტუნიზმს, უფრო მტკიცედ რაზმავდა ჩვენი პარტიის მონოლიტურ ნებისყოფას.

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, ღარიბ და საშუალო გლეხობის მასიური გადასვლა სამეურნეო განვითარების სოციალისტურ გზაზე, პროლეტარიატის სოციალისტური დასაყრდნობი ბაზის ძლიერი განმტკიცება სოფლად, პროლეტარიატისა და გლეხობის საწარმოო კავშირის განვითარება, კულაკური წინააღმდეგობის დაძლევა და გადამწყვეტი გარდატეხა პურის ფრონტზე, კაპიტალიზმის ფესვების წარმატებითი აღმოფხვრა, პროლეტარული თვითკრიტიკის ფართო გაშლა, სოციალისტური შეჯიბრება, უდიდეს შრომითი აღფრთოვანება, საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცება—ასეთია ჩვენი უკანასკნელი წლების ბრძოლის უმნიშვნელოვანესი მიღწევები. ეს მიღწევები მჭიდროდ არის დაკავშირებული შენს შემოქმედებასთან და მუშაობასთან და მოიპოვა პარტიამ და მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა შენის ხელმძღვანელობით.

დიდია მუშათა კლასის წინაშე შენი დამსახურება ლენინიზმის თეორიისათვის ბრძოლის საქმეში. შენის მუშაობით შენ ლენინიზმი უფრო მეტად ხელმისაწვდომი გახადე მთლიანი მასებისათვის. შენ სიფრთხილით და მტკიცედ იცავდი ლენინიზმს ყოველგვარი დამახინჯებისა და წარყვნისაგან და მთელი თანმიმდევრობით ანვითარებდი მას სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდთან შეფარდებით. შენ განამტკიცე პროლეტარიატში სოციალიზმის გამარჯვების რწმენა იმით, რომ განავითარე და გარკვეულად ჩამოაყალიბე ლენინის თეორია ერთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობის შესახებ, რაც გაამართლა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიდი კავშირის სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკამ. მთელი პარტიისა და კომინტერნისათვის, განსაკუთრებით ნაციონალურ ოლქებში მომუშავე ბოლშევიკებისათვის, დაუფასებელ იდეიურ იარაღს წარმოადგენენ შენი შრომები ეროვნული საკითხის შესახებ.

მთელი შენი თეორეტიული და პოლიტიკური მოღვაწეობა მიმდინარეობდა ლენინიზმისათვის შეუდრეკელი ბრძოლის ნიშან ქვეშ. აი რატომ სძულთ ასე სტალინის სახელი მუშათა კლასის ყველა მტრებს, მარქსისა და ლენინის დამახინჯებელთა და შემრყვნელთ. აი რატომ არის ეს სახელი მჭიდროდ დაკავშირებული კომუნისტური ინტერნაციონალის ბოლშევიზაციისა და განმტკიცების საქმესთან. აი რატომ არის იგი ძვირფასი და მახლობელი ყოველი ბოლშევიკისათვის, ყოველი რევოლიუციონერი პროლეტარიატისათვის.

გისურვებთ ჯანმრთელობას და ძალღონეს. დაე ჩვენი პარტიის ლენინური შტაბის შენმა ხელმძღვანელობამ უზრუნველჰყოს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ძლევამოსილი განხორციელება და მსოფლიო რევოლიუციონური პროლეტარიატის გადამწყვეტი გამარჯვებები.

საკ. კომპ. (ბ) ამ.-კავკასიის საოლქო კომიტეტი.

უცხოეთის პროლეტარიატის მისალმება

ბერლინი, 21 დეკემბერი. „როტე ფანე" აქვეყნებს მრავალ მისალმებას სტალინისადმი. გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი სტალინს მიესალმა, როგორც ლენინური პარტიის მესაჭეს, უდიდეს ბელადს, ლენინური პარტიული ხაზის მტკიცე დამცველს ყოველგვარი ოპორტუნისტული გადახრების წინააღმდეგ, ძლევამოსილი პროლეტარული დიქტატურის ნაცად ბელადს და სოციალისტური მშენებლობის მედგარ მოწინავე მებრძოლს. (ადს).

„როტე ფანე" სტალინის შესახებ

ბერლინი, 21 დეკემბერი. „როტე ფანე" სტალინის დაბადების 50 წლის თავის გამო მოთავსებულ წერილში ამბობს:

„ამხ. სტალინის იმ მთავარ თავისებურობას, რომელიც იწვევს მისადმი ყველა პროლეტარების და რევოლიუციონერების სიყვარულს და ყველა ექსპლოატატორებისა და მოღალატეების სიძულვილს, წარმოადგენს მისი შეუდრეკელი და მედგარი სიმტკიცე ბოლშევიზმის გზიდან გადახრის წინააღმდეგ ბრძოლაში".

გაზეთი აღნიშნავს იმ უდიდეს დამსახურებას, რომელიც მას მიუძღვის კომინტერნისა და, განსაკუთრებით, გერმანიის კომპარტიის წინაშე. „მრავალია ისეთი შემთხვევა, —სწერს გაზეთი,—როდესაც ამხ. სტალინმა დახმარება აღმოუჩინა გერმანიის კომპარტიას მძიმე მომენტებში. გერმანიის კომუნისტები სალამს უძღვნიან ამხ. სტალინს—პროლეტარული რევოლიუციის მებაირახტრეს". (ადს).

პარტიის წევრთა „სტალინური შეკრება".

ბერლინი, 21 დეკემბერი. გერმანიის კომპარტიის ბერლინბრანდენბურგის ორგანიზაციის ხელმძღვანელობა, ბერლინის მრავალი ათასი რევოლიუციონური მუშის სახელით, სალამს უძღვნის სტალინს და აცნობებს, რომ უკანასკნელი კვირის განმავლობაში პარტიას შემოუერთდა 7.000 ახალი მებრძოლი. პარტიამ გადასწყვიტა, განაგრძოს პარტიის ახალ წევრთა მიღება „სტალინური შეკრების" ლოზუნგით, რომ ამით ხაზი გაუსვას თავის კავშირს რუსეთის ძლევამოსილი პროლეტარიატთან და მის ლენინურ ხელმძღვანელობასთან. (ადს).

ღარიბ გლეხთა ჯგუფების ორგანიზაცია და შემდგომი ამოცანები

საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის დადგენილება ღარიბი გლეხების ორგანიზაციის შესახებ

მოსკოვი, 23 დეკემბერი. სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის წარმატებით მიმდინარეობა და სოფლის კულტურული რევოლიუციის გადაუდებელი ამოცანების გადაჭრა შეუძლებელია უამისოდ, თუ ყოველმხრივ არ გაიშლება და არ განვითარდება ღარიბი გლეხობისა და მოჯამაგირეების დამოუკიდებელი ორგანიზაციის მუშაობა. იმ დროს, როცა კულაკებთან გამწვავებული ბრძოლა სწარმოებს,—რაც განუყრელად დაკავშირებულია ღარიბი და საშუალო გლეხების მეურნეობათა კოლექტივიზაციის მძლავრ კლასობრივ ზრდასთან,—განსაკუთრებით საჭიროა მოჯამაგირეთა და საშუალო გლეხთა კადრის პოლიტიკური როლის განმტკიცება, მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა ჯგუფების შექმნა და გაძლიერება. ც. კ.-ის აზრით მხოლოდ საკავშირო კომპარტიისა და ა. ლ. კომკავშირისათვის უცხო ელემენტებს შეუძლიათ უყურადღებოდ დასტოვონ ღარიბი გლეხობისა და მოჯამაგირეების დამოუკიდებელი ორგანიზაციის ეს ძირითადი ამოცანა.

სოფლის მშრომელი მასების სწრაფ კულტურულ ზრდასა და განვითარებას თან არ სდევს ღარიბი გლეხობის ჯეროვანი დარაზმულობა და ამჟამად ესოდენ საჭიროა მისი გავლენის გაძლიერება საბჭოებისა და კოოპერაციის მუშაობაში. თუმცა სხვადასხვა წარმატება არსებობს ღარიბ გლეხთა შორის მუშაობაში (ღარიბი გლეხობის ჩაბმა კოლექტიურ მეურნეობებში და საერთოდ კოოპერაციაში, მისთვის მატერიალურ-სამეურნეო დახმარების გაძლიერება, ღარიბი გლეხობის აქტივობის გადიდება საბჭოების არჩევნების დროს და სხვ.), მაგრამ ახლაც გვხდება, კერძოდ, ჩამორჩენილ ეროვნულ ოლქებში ისეთი რაიონები, სადაც ღარიბი გლეხობის მტაცებლურ ექსპლოატაციას ეწევიან ფაქტიურად გაბატონებული კულაკები და ნახევრად ფეოდალური ელემენტები. ც. კ. აღნიშნავს, რომ ბევრ პარტიულ და კომკავშირელთა ორგანიზაციაში საკმაო მუშაობა არ სწარმოებს ღარიბი გლეხობის ჩასაბმელად კოლექტიურ მეურნეობებში; იგი საჭიროდ სცნობს განსაკუთრებით აღნიშნოს ამოცანა ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა კადრის შემჭიდროებისა თვით კოლექტიურ მეურნეობებში, და მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში, მეტადრე უმარტივესი ტიპის კოლექტიურ მეურნეობებში და მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში; უამისოდ შეუძლებელია კულაკებისა და სხვა მავნე ელემენტების ოინების აღკვეთა, რომლებიც ცდილობენ „შიგნიდან გახრწნან და დაანგრიონ ისინი (კოლექტიური მეურნეობანი. იხ. ც. კ.-ის ნოემბრის პლენუმის რეზოლიუცია).

ამავე დროს სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატის დარაზმულობა ჯერ კიდევ ძალიან ჩამორჩება მის—სოფლის მუშათა კლასის იმ ძირითადი რაზმის ამოცანებს, რომელმაც ღარიბ გლეხობასთან ერთად მუშათა კლასზე დაყრდნობით და პარტიის ხელმძღვანელობით უნდა უზრუნველჰყოს პროლეტარული კლასობრივი ხაზის განხორციელება სოფლის მთელ პოლიტიკურ და სამეურნეო ცხოვრებაში. ღარიბი გლეხობისა და მოჯამაგირეობის დამოუკიდებელი ორგანიზაციის მუშაობის გადაჭრით გაძლიერება მაქსიმალურ მოქნილობას მოითხოვს ღარიბ გლეხთა შორის მუშაობის ფორმების ამორჩევის დროს (ჯგუფები, კრებები, კონფერენციები, ბეჭდვითი სიტყვა, კულტურული მუშაობა). პარტიისა და კომკავშირის ორგანიზაციებმა არ უნდა შეიწყნარონ ამ ფორმების ისეთი გამოყენება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს იმ მუშაობის თავისებურებათა არასაკმაოდ გათვალისწინება, რომელიც სხვადასხვა რაიონებსა და ორგანიზაციებში სწარმოებს, საერთოდ ყოველმხრივ უნდა გაძლიერდეს ბრძოლა ამ საქმისადმი ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიული მიდგომის ფაქტებთან, რომლებიც ჯერ კიდევ იშვიათ მოვლენას არ წარმოადგენენ.

ამასთანავე ერთად ც. კ.-ი უარჰყოფს ღარიბი გლეხობის განსაკუთრებული კავშირის იდეას; იგი წამოაყენეს პარტიის ზოგიერთმა წევრებმა და მის სათავეს შეადგენს ტროცკისტულ-ლიკვიდატორული შეხედულება, რომელიც არასაკმაოდ აფასებს საბჭოებსა და კოოპერაციას, როგორც სოფლის სოციალისტური გარდაქმნის მთავარ ორგანოებს; იგი სინამდვილეში იწვევს „კულაკური კავშირის" კონტრ-რევოლიუციონური ლოზუნგის პოპულარიზაციას. მხოლოდ თავისი გავლენის განმტკიცებით საბჭოებსა და კოოპერაციაში, მოჯამაგირეობა და ღარიბი გლეხობა შესძლებენ თავისი ხელმძღვანელი როლის განხორციელებას ღარიბ და საშუალო გლეხთა ბლოკში, რომელიც მიმართულია კულაკის წინააღმდეგ და რომლის მთავარ მიზანს შეადგენს სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა ინდუსტრიალიზაციის საფუძველზე. ღარიბ გლეხთა შორის მუშაობის არასაკმაოდ შეფასება, პასიობა ამ მუშაობაში ჯერ კიდევ იშვიათად არ გვხდება პარტიულ და კომკავშირელთა ორგანიზაციებში; იგი ერთ-ერთი უაღრესად მავნე პრაქტიკული გამოხატულებაა მემარჯვენე გადახრისა, რომელიც გამოსახავს წვრილ-ბურჟუაზიული სტიქიისა და კულაკობის იდეოლოგიის ზედმოქმედებას პარტიის ზოგიერთ ფენებზე; ამიტომ ც. კ. მოითხოვს გაძლიერებულ ბრძოლას ამ მუშაობის მიფუჩეჩების ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ, რადგან ეს ცდა დღევანდელ პირობებში განსაკუთრებით მემარჯვენე ოპორტუნიზმის გამოხატულებას წარმოადგენს.

ყოველივე ამის მიხედვით, პარტორგანიზაციებმა ყოველგვარი ზომები უნდა მიიღონ, რომ ღარიბი გლეხობის ჯგუფებისა და კრებების საშუალებით ნამდვილად მიიზიდონ მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა ფართო მასები, ხოლო ღარიბი გლეხობის ჯგუფები ნამდვილად გადააქციონ მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა ჯგუფებად; ამასთანავე, მთელი ეს მუშაობა ხელს უნდა უწყობდეს კულაკის წინააღმდეგ მიმართული ღარიბი და საშუალო გლეხების კავშირის შემდგომ განმტკიცებას პარტიის ხელმძღვანელობით.

პარტიის წინანდელ გადაწყვეტილებათა შესავსებად ც. კ. ადგენს.

1. უფრო ფართოდ გაიშალოს მუშაობა მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა ჯგუფების დასარაზმავად სოფლის არჩევითი ორგანოებთან (სოფლის საბჭოებთან, კოოპერატივების გამგეობებთან და სხვ.) დაშვებულ იქნას ჯგუფების ორგანიზაცია იმ სოფლებში, კერძოდ აღმოსავლეთის ეროვნულ რაიონებში, სადაც პარტიული უჯრედები არ არსებობენ, მაგრამ სადაც შესაძლებელია, რომ ჯგუფებს ხელმძღვანელობა გაუწიონ პარტორგანიზაციებმა კომუნისტებისა და კომკავშირელთა აქტივიდან სპეციალურად გამოყოფილი ხელმძღვანელების საშუალებით, აგრეთვე პარტიასთან დაკავშირებული ზოგიერთი უპარტიო მოჯამაგირეებისა და ღარიბი გლეხების საშუალებით. ცალკე შემთხვევებში დროებით შეიქმნას მთელი სოფლისათვის ერთი ჯგუფი, როდესაც მოჯამაგირეებისა და ღარიბი გლეხების რიცხვი სოფლის არჩევითი ორგანოებში იმდენად უმნიშვნელოა, რომ ცალკე ჯგუფების შექმნა (საბჭოსთან, კოოპერატივთან, გლეხკომთან) ამჟამად შეუძლებელია.

2. მიზანშეწონილად ჩაითვალოს მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა ჯგუფების ორგანიზაცია უმარტივესი სახის კოლექტიურ მეურნეობებში, მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონების კოლექტიურ მეურნეობებში და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებზე, მეტადრე მათი ორგანიზაციის პირველ პერიოდში. ამ ჯგუფების ძირითადი დანიშნულებაა—პარტიულ ორგანიზაციების დამხმარე ორგანოები იყვნენ ღარიბ გლეხთა შორის მასიური მუშაობის გაშლა-განვითარების საქმეში; უამისოდ შეუძლებელია უღარიბესი ფენების ინტერესების ჯეროვანი უზრუნველყოფა კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობაში.

3. ღარიბი გლეხობის კრებებთან ერთად უფრო ხშირად უნდა იწყობოდეს მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა ჯგუფების გაერთიანებული თათბირების მოწვევა, მეტადრე ისეთი საკითხების განსახილველად, რომლებიც დაკავშირებულია ძირითად სამეურნეო-პოლიტიკურ ღონისძიებათა განხორციელებასთან (თესვის კამპანია, პურის დამზადება, ღარიბი გლეხობის ფონდების გამოყენება და სხვ.). საჭიროა აგრეთვე ჯგუფების კონფერენციის უფრო ხშირად მოწვევა, რასაც მიზნად უნდა ჰქონდეს მათი მუშაობის გამოცდილების განზოგადება მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა მასების სამეურნეო და კულტურული ინტერესების დაცვის ყოველმხრივი გაუმჯობესებისათვის.

4. საბჭოებმა, სარაიონო აღმასკომებმა, აგრეთვე კოლექტიურ და გლეხკომთა გამგეობებმა (პირველ ყოვლისა, მათმა კომფრაქციებმა) გადამწყვეტ გარდატეხას უნდა მიაღწიონ ღარიბ გლეხობასთან მუშაობაში. მიზანშეწონილად ჩაითვალოს კოოპერატიულ და კოლექტიურ მეურნეობათა ორგანოებში სპეციალური ინსტრუქტორებისა და აქტიურ მუშაკ კომუნისტების გამოყოფა ღარიბთა შორის მასიური მუშაობის გასაწევად (მეპაიეთა, ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა კრებების მოწვევა, აგროორგანიზაციებისათვის, ჯგუფების მუშაობის გაძლიერებისათვის ხელის შეწყობა და სხვ.). სასურველად იქნეს ცნობილი მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა ჯგუფების სარაიონო და საოლქო თათბირების მოწვევა სხვადასხვა სახის ორგანიზაციების მიხედვით, მაგალითად, იმ ჯგუფებისა, რომლებიც სოფლის საბჭოებში, კოლექტიურ მეურნეობებში და სამომხმარებლო კოოპერაციაში მუშაობენ.

5. მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა პოლიტიკურ აღზრდისათვის საჭიროა მუშაობის გაშლა-გაფართოება, კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის ძირითად გაუმჯობესებას (სკოლები, გაზეთები, კინო, რადიო, ანტირელიგიური მუშაობა) სოფლის ამ ყველაზე უფრო კულტურულად ჩამორჩენილი ფენების მიმართ. ამ მიზნისათვის მატერიალურ-ყოფაცხოვრებითი პირობების შექმნას მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა კრებებმა, ჯგუფებმა და კონფერენციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ.

6. კომკავშირის ორგანიზაციებმა უნდა გარდაქმნან თავისი მუშაობა სოფლად იმ მიზნით, რომ პარტიის მთავარ თანაშემწეებად გადაიქცნენ ღარიბი გლეხობისა და მოჯამაგირეთა ორგანიზაციის საქმეში და უზრუნველჰყონ თავისი ორგანიზაციების შემადგენლობის გაუმჯობესება; ამ მიზნით მათ უფრო მეტად უნდა მოიზიდონ პარტიასთან ახლო მდგომი მოჯამაგირე, ღარიბ გლეხთა ახალგაზრდობა.

7. პარტორგანიზაციებმა ფართოდ უნდა ჩააბან ჯგუფების მუშაობაში მოჯამაგირე და ღარიბი გლეხი ქალები, სადელეგატო კრებები უნდა გადააქციონ ნამდვილ გამტარებლად მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა გავლენისა გლეხ-ქალთა ძირითად მასაზე და უნდა უზრუნველჰყონ მოჯამაგირე და ღარიბ გლეხ-ქალთა მეტი დაწინაურება ყველა ორგანიზაციების ხელმძღვანელ სამუშაოზე.

8. განმტკიცდეს ყოველდღიური ხელმძღვანელობა მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა ჯგუფების მიმართ, კერძოდ შემოღებულ იქნას უჯრედებთან და რაიკომებთან არსებული ჯგუფების ხელმძღვანელთა პერიოდული მოწვევა, გაკეთებულ იქნას ჯგუფების მოხსენებანი პარტიულ კრებებზე, უფრო სწრაფად მიეცეს გზა ჯგუფების მიერ წამოყენებულ საკითხებს, ახალი მუშაკების ამ ჯგუფებიდან დაწინაურებულ იქნან აქტივისტები—სოფლის მთავარ ორგანიზაციებში და ამ ჯგუფების მოწინავე ელემენტები მიზიდულ იქნან პარტიაში.

ღარიბ გლეხთა შორის მუშაობის ხელმძღვანელობის გაძლიერებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ სამრეწველო მუშების დახმარებას, რომლებიც უფრო გამოცდილნი არიან მასების ორგანიზაციაში. პროფკავშირებს, საშეფო საზოგადოებებს, კულტურულ პროლეტარულ ორგანიზაციებს ამ მხრით ჯერ კიდევ სრულიად არ გამოუყენებიათ თავიანთი შესაძლებლობანი.

პარტკომები უნდა გადაიქცნენ ღარიბი გლეხებისა და მოჯამაგირეების ორგანიზაციის მთელი საქმის ხელმძღვანელობის ნამდვილ ცენტრებად.

ახალი მთავრობა პოლონეთში

მთავრობის კრიზისი

ვარშავა, 22 დეკემბერი. ფიქრობენ, რომ ახალი მთავრობა შედგენილი იქნება მხოლოდ საშობაო არდადეგების შემდეგ.

ვარშავა, 22 დეკემბერი. რაკი მთავრობის შედგენა ბარტელს მიანდვეს, ეს ფაქტი იმას ადასტურებს, რომ მთავრობის მომხრეთა ბანაკსა და საპარლამენტო ოპოზიციას შორის შეთანხმება მოხდა. პოლიტიკურ წრეებში ბარტელის დაბრუნებას სთვლიან დროებითი ხასიათის მოვლენად, რომელიც ობიექტიური პირობით არის გამოწვეული. (ადს).

ბარტელს დაევალა კაბინეტის შედგენა

ვარშავა, 21 დეკემბერი. ბარტელს აცნობეს, რომ პრეზიდენტმა მას დაავალა კაბინეტის შედგენა. პრეზიდენტმა ყოფილ პრემიერს სვიტალსკის მადლობა გამოუცხადა იმისათვის, რომ მან სიმტკიცე გამოიჩინა იმ მძიმე მომენტში, როდესაც მთავრობის კრიზისი შეიძლებოდა საერთო კრიზისად გადაქცეულიყო. (ადს).

ბარტელი—პოლონეთის პრემიერი

ვარშავა, 21 დეკემბერი. მთავრობის შედგენა დაევალა ბარტელს, რომელიც წინად უკვე იყო პრემიერი და რომელიც ზომიერი კურსის და სეიმთან თანამშრომლობის მომხრეა. (ადს).

სტარკმა რწმუნების სიგელი ჩააბარა ნადირ-ხანს

ქაბული, 21 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ავღანისტანში სტარკმა რწმუნების სიგელები ჩააბარა ავღანისტანის მეფეს ნადირ-ხანს (ადს).

არჩევნების შედეგები ეგვიპტეში

ლონდონი, 22 დეკემბერი. გამოცხადდა ეგვიპტეს პარლამენტის დეპუტატთა არჩევნების ნაწილობრივი შედეგები. ჯერ-ჯერობით არჩეულია 160 დეპუტატი, აქედან 152 კაცი ეროვნული პარტიის „ვაფდ"-ის კანდიდატია. დანარჩენ არჩეულებიდან 7 უპარტიოა, ერთიც ვატანისტი (რადიკალური ნაციონალისტური პარტია). (ადს).

სხვადასხვა

- **მონარქიული გადატრიალება საბერძნეთში.** როგორც ბერლინის პრესა იუწყება, საბერძნეთში მზადდება მონარქიული გადატრიალება. (ადს).
- **ყუმბარა ესროლეს მეფის მოადგილის მატარებელს.** ნიუ-დელის სადგურის მახლობლად ყუმბარა ესროლეს ინდოეთის მეფის მოადგილის მატარებელს. მეფის მოადგილე უვნებლად გადარჩა. (ადს).

საქ. ჩაის მეურნეობის მომარაგება სიმინდით

მოსკოვი, 22 დეკემბერი. საქ. ჩაის მეურნეობის განვითარების გაძლიერების მიზნით, საქ. ვაჭრობის კომისარიატმა გადასწყვიტა საქართველოს ჩაის მეურნეობის მომარაგების საქმე დააყენოს მტკიცე საფუძველზე, უზრუნველჰყოს მათი მომარაგება სიმინდით ერთ ჰექტარ ჩაის ნათესზე 1.146 მეათასედი ტონით. სიმინდის ღირებულება განსაზღვრულია 6 მ. 10 კ. ერთ ცენტნერზე, მაგრამ ვინაიდან ამ სიმინდის თვითღირებულება უდრის 9 მან. 15 კ. ცენტნერში, ზარალი განზრახულია დაიფაროს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ამ ანგარიშით ზარალი მიმდინარე წელში საორგანიზაციო ციფრებით განისაზღვრება 240.000 მან. (ადს).

პურის მომარაგების გეგმის გადიდება

მოსკოვი, 22 დეკემბერი. საკავშირო სახკომსაბჭომ მოისმინა რა ვაჭრობის სახ. კომისარიატის მოხსენება მიმდინარე წლის პურის დამზადების წინასწარ შედეგებზე, გამოდის რა იქიდან, რომ პურის დამზადების გეგმა ძირითადად წარმატებით არის შესრულებული და იღებს რა მხედველობაში, რომ პურის დამზადების წარმატებით შესრულებამ უზრუნველჰყო პურის ხელშეუხებელი ფონდის შექმნა 2 მილ. ტონის რაოდენობით, სახკომსაბჭო ადგენს: გადიდდეს მუშათა რაიონების სასურსათო პურეულით მომარაგება 250.000 ტონით 1929—30 წლის მეორე ნახევარში, წინად დაწესებულ ნორმის ზევით. დაევალოს საბჭ. კავშირის ვაჭრობის კომისარიატს და სამომხმარებლო კოოპერაციის ამოცანად სახელმწიფო და კოოპერატიულ საცხობებში გამოცხვარი პურის ხარისხის გაუმჯობესება. სოფლის ღარიბების და პროლეტარული ფენისათვის ადგილობრივი ორგანოების მიერ დახმარების აღმოჩენის მიზნით, დაწესდეს სამინდე გადასახადი, არსებული 10 პროცენტის გარდა, სასურსათო კულტურების წლიური გეგმების გადამეტებით შესრულებისაგან კიდევ 10 პროცენტი. (ადს).

„საბჭოთა ქვეყანა"-ს ეკიპაჟის დაბრუნება

ნიუ-იორკი, 22 დეკემბერი. მოვიდა „საბჭოთა ქვეყანა"-ს ეკიპაჟი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში ეკიპაჟის უფროსმა ამხ. შესტაკოვმა განაცხადა: „გადაფრენას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა საბჭოთა კავშირის და ამერიკის დაახლოების საქმეში". „საბჭოთა ქვეყანა"-ს ყოფნამ ამერიკაში გამოიწვია და გაზარდა ამერიკელი მუშების ინტერესი საბჭოთა კავშირის მშენებლობისადმი. ჩვენ მოგვაქვს საჩუქარი—25 ტრაქტორი".

მინსკი, 22 დეკემბერი. მინსკის სადგურზე „საბჭოთა ქვეყნის" ეკიპაჟს გაუმართეს საზეიმო შეხვედრა.

„საბჭოთა ქვეყნის" ეკიპაჟის შეხვედრა

მოსკოვი, 23 დეკემბერი. მოსკოვში გაიმართა „საბჭოთა ქვეყნის" ეკიპაჟის შეხვედრა. პირველი სიტყვით „საბჭოთა ქვეყნის" სახელოვან ეკიპაჟს მიმართა ამხ. უნშლიხტმა, რომელმაც აღნიშნა, რომ „საბჭოთა ქვეყნის გამარჯვება გადაფრენაში შესაძლებელი გახდა მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის მონაწილეობის გამო. გადაფრენამ დაგვანახვა, რომ საბჭოთა საავიაციო მშენებლობა არ ჩამოუვარდება მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების საავიაციო ტექნიკას.

წითელი არმიის საჰაერო ძალთა სახელით მფრინავებს მიესალმა ამხ. ალკსნისი. ამხ. შესტაკოვმა მხურვალე მადლობა გამოაცხადა შეხვედრისათვის. მან სთქვა, ის 25 ტრაქტორი, რომლებიც ეკიპაჟმა ჩამოიტანა, შეძენილია ჩვენი ამერიკელი მეგობრების მიერ შეგროვილი ფულით. ტრაქტორები გადაეცემა „საბჭოთა ქვეყნის" სახელობის საბჭოთა მეურნეობას. (ადს).

ამხ. ვოროშილოვის მისალმება „საბჭოთა ქვეყანა"-ს ეკიპაჟს

მოსკოვი, 22 დეკემბერი. საკავშირო სამხ.-რევ. საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ვოროშილოვმა „საბჭოთა ქვეყანა"-ს ეკიპაჟის დაბრუნების გამო მიმართა მას მისალმებით, რომელშიაც ნათქვამია: „საბჭოთა ქვეყანა"-ს გადაფრენამ ნათელჰყო პროლეტარულ სახელმწიფოს უდიდესი მიღწევები საავიაციო მშენებლობაში და დაამტკიცა საბჭოთა კავშირის თავდაცვის გაძლიერება".

„საბჭოთა ქვეყანა"-ს ეკიპაჟმა მიიღო მისალმებები საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. რიკოვისაგან და მრავალ ორგანიზაცია-დაწესებულებებისაგან. (ადს).

სასოფ.-სამეურნეო ბანკი ეხმარება

დასავლეთ საქართველოს დამშეულებს

მოსკოვი, 22 დეკემბერი. ცენტრალურმა სას. - სამეურნეო ბანკმა დაადგინა გააგრძელოს 1930 წლის დეკემბრამდე სათესი მასალისათვის გაცემული სესხი, მიცემული დასავლეთ საქართველოს დამშეულ რაიონებისათვის, 800.000 მანეთამდე. (ადს).

საერთაშორისო მიმოხილვა

შეთანხმება ხაბაროვსკში.—ოსმალეთ - საბჭოთა ურთიერთობის შემდგომი განმტკიცება.—დამოკიდებულება ინგლისთან. —საფრანგეთის სამხედრო ბიუჯეტი. — ჰილფერდინგის გადადგომა

ჩინეთ-საბჭოთა ურთიერთობა, ნიკოლსკ-უსურიისკის ოქმზე ხელის მოწერის შემდეგ, ვითარდებოდა კონფლიქტის შემდგომი ლიკვიდაციის გზით. 18 დეკემბერს ხაბაროვსკში მუკდენ-საბჭოთა წარმომადგენლებს შორის განახლებული მოლაპარაკება 22 დეკემბერს დასრულდა სრული შეთანხმებით იმ საკითხებში, რომლებიც ამ მოლაპარაკების საგანს შეადგენდნენ. მიღებულია საბჭოთა მთავრობის მიერ წაყენებული ყველა მოთხოვნები. კონფლიქტამდე არსებულ მდგომარეობის დაუყოვნებლივ აღდგენა, კონფლიქტის ჩამოვარდნიდან გზაზე გაცემულ განკარგულებათა გაუქმება, დაპატიმრებულ მოქალაქეთა დაუყოვნებლივ განთავისუფლება, თეთრგვარდიელთა ბანდების განიარაღება და განდევნა მანჯურიიდან, საბჭოთა საკონსულოებისა და სამეურნეო დაწესებულებების მოქმედების განახლება მანჯურიაში და სხვა—ასეთია მიღწეულ შეთანხმების მთავარი მომენტები ეს საბჭოთა კავშირის უდიდესი გამარჯვებაა. ამასთან საგულისხმოა, რომ ნიკოლსკ-უსურიისკის ოქმს შეუერთდა ნანკინიც და მუკდენის დელეგატი ხაბაროვსკში ჩვენთან მოლაპარაკებას აწარმოებდა არა მარტო თავის მთავრობის სახელით, არამედ იგი აღჭურვილი იყო ნანკინის რწმუნებითაც.

რა თქმა უნდა, როგორც მანჯურიის ხელისუფლების თანხმობა კონფლიქტის მოწესრიგებაზე იყო იძულებითი ხასიათის, გამოწვეული მისი ანტი-საბჭოთა ავანტიურის სასტიკი დამარცხებით, ისე ნანკინის მილიტარისტების ეს საქციელი აიხსნება, ერთ მხრით, კონფლიქტში სახელმწიფოთა ჩარევის სრული უშედეგობით მისთვის, მეორე მხრით—ჩან-კაი-შების შინაური მდგომარეობის უკიდურესი გართულებით (გენერალთა სხვა ჯგუფების ბრძოლა ნანკინის წინააღმდეგ, აჯანყებანი მის ჯარში, მუკდენის სეპარატიული გამოსვლა და სხვ.).

ასე თუ ისე, ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტი მოწესრიგებულად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ მხარეთა შორის ნორმალური დამოკიდებულების დამყარების გზაზე, უდავოა, კვლავ დიდი დაბრკოლებები გადაგვეღობება. საქმე ის არის, რომ იმპერიალისტური სახელმწიფოები როდი ურიგდებიან თავის „სამშვიდობო შუამავლობის" დამარცხებას. მას შემდეგაც, რაც ნიკოლსკ-უსურიისკში საბჭოთა კავშირსა და მუკდენს შორის მიღწეულ იქნა წინასწარი შეთანხმება, ვაშინგტონი და პარიზი განაგრძობდნენ სხვადასხვა სახელმწიფოებზე ზეგავლენის მოხდენას, რათა ისინი მათ ცნობილ მემორანდუმს შეერთებოდნენ. ესეც ააშკარავებს სტიმსონის განცხადების თვალთმაქცობას, რომ თითქო მისი გამოსვლა არ ყოფილიყოს მტრული აქტი საბჭოთა კავშირის მიმართ, არამედ მშვიდობიანობის დაცვის ინტერესებით ნაკარნახევი, და ვითომ მემორანდუმის გაგზავნისას (30 ნოემბერს) ვითომ მას არაფერი სცოდნოდეს ჩან-სუე-ლიანის 26 ნოემბრის ნოტაზე, სადაც მანჯურიის მმართველი კონფლიქტის სალიკვიდაციოდ მოლაპარაკების დაწყების წინადადებას იძლეოდა: ნიკოლსკ-უსურიისკის ოქმის დამტკიცების შემდეგ ამერიკისა და საფრანგეთის მიერ გადადგმული აღნიშნული ნაბიჯები გაგრძელებაა ჩინეთ-საბჭოთა დამოკიდებულებაში ჩარევის ცდისა, იმ მიზნით, რომ ჩინეთ-საბჭოთა კონფერენციაზე გავლენა მოახდინონ თავისი შავი ზრახვების გასატარებლად და როგორც საბჭოთა კავშირის, ისე ჩინეთის ინტერესების შესალახავად. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ნანკინი ოფიციალურად მიემხრო ნიკოლსკ-უსურიისკის ოქმს, მაგრამ სახელმწიფოების მემორანდუმზე საპასუხო ნოტაში ის კვლავ უტიფრად აცხადებს, რომ იგი ვითომ იცავდა კელოგის პაქტს და მშვიდობიანობის პოლიტიკას საბჭოთა კავშირის მიმართ, ხოლო უკანასკნელი თავს დაესხა ჩინეთსო. ზედმეტია ამ სიცრუის გაბათილება, აქ მხოლოდ საჭიროა ითქვას, რომ ნანკინის ასეთი გამოსვლა, რომელიც წარმოადგენს თავის გათეთრების და კონფლიქტში იმპერიალისტების ჩარევის უხეირო ცდას, ააშკარავებს, თუ რამდენად არაგულწრფელია ნანკინელ ავანტიურისტების დაგვიანებული თანხმობა ჩვენთან ურთიერთობის მშვიდობიანი გზით მოგვარებაზე.

ამიტომ მიუხედავად ჩვენი დიდი გამარჯვებისა კონფლიქტის ლიკვიდაციის და შორეულ აღმოსავლეთში ჩვენი ინტერესების დაცვის საქმეში,—საბჭოთა კავშირის მშრომელნი წინანდებურად ფხიზლად ადევნებენ თვალყურს იმპერიალისტების და მათ მორჩილ ჩინელ მილიტარისტების მოქმედებას.

⁂

ნანკინმა ზევით აღნიშნული შინაარსის ნოტა ამას წინედ გაუგზავნა აგრეთვე თურქეთის მთავრობასაც. ესაა პასუხი იმ პოზიციაზე, რომელიც უკანასკნელმა დაიკავა სტიმსონის მემორანდუმთან დაკავშირებით, როგორც ვიცით, ანგორამ თავი შეიკავა სახელმწიფოთა გამოსვლასთან შეერთებისაგან და აღნიშნა, რომ იგი დარწმუნებულია საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარეობაში და ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტის უშუალო მოლაპარაკებას გზით მოწესრიგების შესაძლებლობაში. თურქეთის ასეთი პასუხი სავსებით გამომდინარეობდა იმ ურთიერთობიდან, რომელიც ათეული წლების განმავლობაში მასა და საბჭოთა კავშირს შორის შეიქმნა, კერძოდ 1925 წ. ხელშეკრულებიდან ურთიერთ ნეიტრალიტეტისა და თავდაუსხმელობის შესახებ.

ოქტომბრის რევოლიუციამ მეტად თვალსაჩინო გავლენა მოახდინა თურქეთის ხალხზე და გაუადვილა მას ბრძოლა იმპერიალიზმთან. ამ ბრძოლის შედეგად მან დიდ წარმატებას მიაღწია. მიუხედავად ამისა უდავოა, რომ თურქეთს შემდეგშიაც განსაკუთრებული სიმტკიცის გამოჩენა მოუხდება მოპოვებული დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად და მის განსამტკიცებლად,— ვინაიდან იმპერიალისტური ძალები, რა თქმა უნდა, კვლავ ცდილობენ ამ ქვეყნის ეკონომიურ-პოლიტიკურ დამორჩილებას.

და აქ თურქეთის მესვეურებისათვის აშკარაა, რომ ურთიერთობის განმტკიცება საბჭოთა კავშირთან, რომელიც მედგრად იბრძვის იმპერიალიზმის წინააღმდეგ და ნამდვილად იცავს ყველა ხალხთა თავისუფლებას, მძლავრი ფაქტორია იმპერიალისტების ყოველგვარი დამმონებელი ცდების გასაქარწყლებლად. მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირისათვის თურქეთთან კეთილმეზობლურ დამოკიდებულების არსებობას არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს საყოველთაო მშვიდობიანობის უზრუნველყოფისათვის და ჩვენზე იმპერიალისტურ სახელმწიფოების თავდასხმის საფრთხის შესასუსტებლად.

ამ პირობებმა შექმნეს ნიადაგი თურქეთ-საბჭოთა კავშირის დაახლოვებისათვის. საბჭოთა მთავრობა იმ თავიდანვე ცდილობდა თურქეთთან (ისე, როგორც სხვა ქვეყნებთანაც), სრული თანასწორობის და ურთიერთ ინტერესების და უფლებების ცნობის საფუძველზე, ნორმალურ დამოკიდებულების დამყარებას. ამან შესაფერისი ნაყოფი გამოიღო. საბჭოთა მთავრობის თაოსნობით 1925 წ. დადებულ იქნა ნეიტრალიტეტის ხელშეკრულება. 1927 წ. მოხდა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის და ამხ. ჩიჩერინის შეხვედრა ოდესაში, რასაც მალე მოჰყვა თურქეთ-საბჭოთა ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა. 1928 წ. თურქეთი შეუერთდა მოსკოვის ოქმს. სხვადასხვა დროს დადებულ იქნა კიდევ რამდენიმე ეკონომიური ხასიათის შეთანხმება.

უკანასკნელად ჩვენ ამ ორი ქვეყნის დამოკიდებულების შემდგომი განვითარების მოწმენი ვართ. ამხ. კარახანის მოლაპარაკება თურქეთის მთავრობასთან წარმატებით დამთავრდა და 17 დეკემბერს ანგორაში ხელი მოაწერეს ოქმს, რომლის მიხედვით 1927 წლის ხელშეკრულების ვადა გაგრძელებულია ორი წლით. ამასთან აღსანიშნავია, რომ ეს არ არის 1925 წ. აქტის უბრალო დადასტურება, არამედ მისი შინაარსის გაღრმავება-გაფართოვებაცაა. 17 დეკემბრის ოქმი ავალებს მასზე ხელის მომწერთ, რომ მათ არ დაიწყონ სახელმწიფოებთან ახალი მოლაპარაკება ერთმანეთის შეუტყობინებლად. ეს ოქმი ამასთან აღნიშნავს, რომ მასზე ხელის მომწერთა და მათ მოსაზღვრე სახელმწიფოებს შორის არ არსებობს არავითარი შეთანხმება, გარდა უკვე გამოქვეყნებულ აქტებისა.

ამნაირად, ახალი მნიშვნელოვანი ნაბიჯია გადადგმული მშვიდობიანობის საქმის განსამტკიცებლად. მაშინ, როცა იმპერიალისტები ომისათვის ემზადებიან, საბჭოთა კავშირი ერთხელ კიდევ ახდენს თავის სამშვიდობო მისწრაფებათა დემონსტრაციას თურქეთ-საბჭოთა ახალ შეთანხმებას კერძოდ დიდი მნიშვნელობა აქვს აღმოსავლეთის ხალხებისათვის, რომელთა განმანთავისუფლებელი მოძრაობის გამარჯვება მჭიდროდაა დაკავშირებული მათი დაახლოებასთან საბჭოთა კავშირთან და უკანასკნელის ბრძოლასთან იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

⁂

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ლონდონში, ამხ. სოკოლნიკოვმა და ინგლისის ელჩმა მოსკოვში ოვიიმ კუთვნილებისამებრ ჩააბარეს თავიანთ რწმუნებათა სიგელები და ამით შესრულებულ იქნა მხარეთა შორის ურთიერთობის აღდგენის უკანასკნელი აქტი.

როგორც მოსალოდნელი იყო, არ გასჭრა განახლებულ დამოკიდებულების ჩასაშლელად ზუბლმაგართა მიერ წარმოებულმა იერიშებმა, რაც გამოიხატა ლორდთა პალატის უკვე ცნობილ რეზოლიუციაში და ურიცხვ გამოსვლებში თემთა პალატის ტრიბუნიდან ე. წ. „საბჭოთა პროპაგანდის" შესახებ. არ გასჭრა, რადგან ინგლისის მიერ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენა გამოწვეულია ჩემბერლენების ანტისაბჭოთა პოლიტიკის სრული გაკოტრებით და ამ ქვეყნის ეკონომიური აუცილებლობით, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა ჩვენთან აღებ-მიცემობის განვითარებას.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ინგლის-საბჭოთა კავშირს შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარებას შემდეგში დაბრკოლებები არ გადაეღობება. ეს დაბრკოლებები, რა თქმა უნდა, შეიქმნება არა ჩვენის მხრიდან,—საბჭოთა მთავრობის მტკიცე სამშვიდობო პოლიტიკა განმარტებას არ საჭიროებს,— არამედ ჩვენი პარტნიორის მხრიდან. ახლო მომავალში დაიწყება მოლაპარაკება სადაო საკითხებზე, და, ეჭვი არ არის, რომ მაკდონალდის „მუშათა" მთავრობა, რომელიც ინგლისის იმპერიალიზმის სადარაჯოზე სდგას, მოიწადინებს თავს მოგვახვიოს მიუღებელი პირობები.

ინგლისელი იმპერიალისტები პირველ ყოვლისა ყურადღებას აქცევენ ჩაურევლობისა და პროპაგანდის აღკვეთის საკითხს. და აქ ხაზგასმული ისაა. რომ, ჯერ ერთი, ისინი სდუმან თავიანთ უხეშ ჩარევაზე საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში, თითქო ეს მათ კანონიერ უფლებას შეადგენდეს, ხოლო გაიძახიან საბჭოთა მთავრობის არ არსებულ პროპაგანდაზე და ჩარევაზე ინგლისის საქმეებში, შემდეგ— ისინი ცდილობენ კომინტერნის მოღვაწეობისათვის პასუხისმგებლობა საბჭოთა მთავრობას დააკისრონ.

ისინი ლამობენ დაგვაკისრონ პასუხისმგებლობა კოლონიების და თვით ინგლისის მასების რევოლიუციონური მოძრაობისათვის, რომელიც გამოწვეულია ინგლისის კაპიტალის მტაცებლური პოლიტიკით და მოქმედებით, (თითქო ჩვენი მოვალეობა იყოს ამ მოძრაობის ჩახშობა და ინგლისის იმპერიალიზმის ინტერესებზე ზრუნვა!). „მუშათა" მთავრობა ამ მხრივ სავსებით დგას ინგლისის იმპერიალისტების პოზიციაზე. სხვათა შორის, ამას მოწმობს ჰენდერსონის უკანასკნელი გამოსვლა თემთა პალატაში; მან განაცხადა: „მთავრობას მთლიანად აქვს შეგნებული მისი (საბჭოთა პროპაგანდის) დამრღვეველი ხასიათი და როდესაც იგი რუსეთთან მოლაპარაკებას იწყებდა, შეძლებისდაგვარად, ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ შეწყვეტილიყო ეს პროპაგანდა. თუ ვინიცობაა, პროპაგანდა გაგრძელდა, მთავრობა მთელ თავის დიპლომატიურ შესაძლებლობას გამოიყენებს მის შესაწყვეტად".

ამგვარად ჰენდერსონი დამტკიცებულად სთვლის საბჭოთა პროპაგანდის ფაქტს, მაგრამ ამის დამადასტურებელი საბუთი მას არ მოჰყავს, რადგან ასეთი რამ არ მოიპოვება. ამავე დროს ის არაფერს ამბობს იმ სისტემატიურ დამრღვეველ მუშაობაზე, რომელსაც ინგლისელი იმპერიალისტები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ეწევიან. ასეთი თვალსაზრისი, ცხადია, ყველაზე ნაკლებ შეუწყობს ხელს მხარეთა შორის ურთიერთობის განმტკიცებას.

საბჭოთა მთავრობის პოზიცია პროპაგანდის საკითხში გარკვეულია, ის ერთხელ კიდევ განმარტა ამხ. ლიტვინოვმა საკავშირო ცაკის სესიაზე; მან სთქვა: „ჩაურევლობას ჩვენ თვითონ მოვითხოვთ იმ სახელმწიფოებისაგან, რომელთაც მოსკოვში წარმომადგენლები ჰყავთ; ჩვენ თვითონ ლოიალურად ვიცავთ მას და განზრახული გვაქვს შემდეგშიაც დავიცვათ იგი. მაგრამ ამასთან უნდა განვაცხადო, რომ დაუსაბუთებელი ბრალდებები ე. წ. პროპაგანდაში ან ცდები, რომ საბჭოთა მთავრობა გახადონ პასუხისმგებელი იმ პირებისა და ორგანიზაციების მოქმედებისათვის, რომელთაც ეს მთავრობა არც ფორმალურად და არც ფაქტიურად არავითარ კონტროლს არ უწევს,— ეს ბრალდებანი უნდა მივიჩნიოთ ისეთ რამედ, რასაც განგებ იგონებენ, რათა გაამართლონ ნორმალური ურთიერთობის დაუმყარებლობა ან უკვე არსებულ ურთიერთობის შეწყვეტა, ან ჩავთვალოთ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ უფრო სერიოზულ მახინაციებად". ასეთია ჩვენი პოზიცია, რომელსაც ჰენდერსონები იძულებული გახდებიან ანგარიში გაუწიონ, თუ მათ მართლა სურთ ჩვენთან ნორმალური დამოკიდებულების განმტკიცება, რაც ასე აუცილებელია პირველ ყოვლისა თვით ინგლისისათვის.

⁂

მაშინ, როცა ჩვენ ყოველნაირად ვცდილობთ საყოველთაო მშვიდობიანობის განმტკიცებას, იმპერიალისტები განუწყვეტლივ ემზადებიან ომისათვის. ამის ერთ-ერთ საუკეთესო ილიუსტრაციას წარმოადგენს საფრანგეთის 1930 წლის ბიუჯეტი, რომელსაც ამჟამად დეპუტატთა პალატა იხილავს. ახლანდელი სამხედრო ხარჯები ორჯერ აღემატება ომის წინადროინდელ ჯამს და 600 მილიონი ფრანკით 1929 წლის ხარჯებს. ეს ხარჯები ახალი ბიუჯეტში 12.207.000.000 ფრანკს აღწევენ, მაშინ, როცა ხარჯები ყველა სხვა საჭიროებებზე ამაზე ნაკლებია—12.098.000.000 ფრანკი. ესაა ოფიციალური ცნობები, ხოლო სინამდვილეში სამხედრო ხარჯები 15 მილიარდ ფრანკს აჭარბებენ. საფრანგეთის არმიის რიცხვობრივი შემადგენლობა 700.000 კაცზე მეტია. გაძლიერებული ტემპით ხდება ასაფეთქებელ ნივთიერებათა მზადება, სტრატეგიულ გზების გაყვანა, საზღვაო ფლოტის მშენებლობა. და ეს იმ დროს, როცა უნდა გაიმართოს საზღვაო კონფერენცია, რომლის მიზანი ვითომ საზღვაო ძალების შემცირებაა; ეს იმ დროს, როცა ბრიანი თვალთმაქცურად აყენებს ევროპის ფედერაციის იდეას, როგორც ვითომდა მშვიდობიანობის საშუალებას. საფრანგეთის ბურჟუაზია ადიდებს სამხედრო ხარჯებს და აძლიერებს საომარ მზადებას, რათა განამტკიცოს თავისი ჰეგემონია დანარჩენ კაპიტალისტურ ევროპაზე, უფრო დაიმონავოს კოლონიები და მოამზადოს ნიადაგი საბჭოთა კავშირთან ომისათვის.

მაგრამ ამ აგრესიული ზრახვების გასატარებლად მისთვის აუცილებელია ზურგის გამაგრება თავისივე ქვეყნის შიგნით, ე. ი. რევოლიუციონურ მოძრაობის აღკვეთა. ეს გამოხატულებას ჰპოულობს ჯარების განაწილებაშიაც. გარდა თვით საფრანგეთის არმიის მრავალრიცხოვანი ნაწილებისა, 24 კოლონიალურ პოლკიდან 16 თავმოყრილია საფრანგეთის უმთავრეს სამრეწველო რაიონებში—„წესრიგის" უზრუნველსაყოფად. კერძოდ ცნობილია, რომ საფრანგეთის გენერალურ შტაბს გამომუშავებული აქვს სტრატეგიული გეგმა პარიზის დასაცავად მასების აჯანყების შემთხვევაში. ამნაირად, ბურჟუაზია არმიას, დამპყრობელ ომების წარმოებასთან ერთად, ამოცანად უყენებს ქვეყნის შიგნით, მუშათა კლასის ალაგმვას.

ამავე დროს ის აძლიერებს პოლიციასაც. შარშანდელთან შედარებით შინაგან საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტი დიდდება 212 მილიონი ფრანკით, ხოლო პოლიციელთა რიცხვი 22 პროცენტით მატულობს. საფრანგეთის მთავრობა აძლიერებს ჯარსა და პოლიციას, რათა მუშათა მოძრაობა სისხლში ჩაახშოს.

მაგრამ პარალელურად ძლიერდება პროლეტარიატის განმანთავისუფლებელი ბრძოლაც. ხშირი მასიური გაფიცვები, ბრწყინვალე კამპანია „ლიუმანიტე"-ს დასახმარებლად და მრავალი სხვ. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა. აგრეთვე დამახასიათებელია ის, რომ თვით საფრანგეთის ჯარშიაც, ბურჟუაზიის ამ მთავარ დასაყრდენში, იშვიათი როდია ანტი-მილიტარისტული დემონსტრაციები და მღელვარება. და ეჭვს გარეშეა, რომ ეს ჯარი, რომელშიაც კომპარტია დიდ მუშაობას ეწევა, არც ისე შორეულ მომავალში აყვება მასების რევოლიუციონურ განწყობილებას და იარაღს სწორედ იმათ წინააღმდეგ მოაბრუნებს, ვისაც დღეს ჯერ კიდევ ემსახურება.

⁂

გერმანიაში კაპიტალის შეტევა მუშათა კლასზე სულ უფრო ძლიერდება. ამან უკანასკნელად გამოხატულება ჰპოვა იმ საგადასახადო კანონპროექტში, რომელიც ფინანსთა მინისტრმა ს.-დ. ჰილფერდინგმა შეიმუშავა და რეიხსტაგმა დაამტკიცა. ეს დაკავშირებულია იუნგის გეგმის მიღებასთან. ამ გეგმით გათვალისწინებულ მილიარდების გადახდა გერმანიის მშრომელთ აწვებათ ზურგზე. იმ თანხას, რომელიც იქმნება სარეპარაციო ვადის შემცირების გამო, მთავრობა მენშევიკების მეთაურობით, რა თქმა უნდა, იყენებს არა მუშების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, არამედ კაპიტალისტების ინტერესების დასაკმაყოფილებლად. მიულერმა თავის დეკლარაციაში პირდაპირ განაცხადა, რომ მთავრობის ცდა იქითკენაა მიმართული, რომ გაძლიერდეს სახალხო მეურნეობის გაფართოების და კაპიტალების ზრდის იმპულსი, ესე იგი შეიქმნას უფრო ხელსაყრელი პირობები ბურჟუაზიის გასამდიდრებლად. ამ მიზნითვე საგრძნობლად მცირდება მრეწველობის დაბეგვრა.

ამავე დროს მნიშვნელოვნად დიდდება ტარიფები პირველ მოთხოვნილების საგნებზე, რაც ნიშნავს მშრომელ მოსახლეობის ცხოვრების პირობების კიდევ უფრო გაუარესებას. ასევე ითქმის მუნიციპალიტეტების (პირველ რიგში ბერლინის) დადგენილებაზე, რომ მოუმატონ ფასებს წყალზე (33 პროც.), ელექტრონზე (25 პროც.), ქალაქის რკინისგზების სამგზავრო ბილეთებზე (25 პროც.) და სხვ. ამას თუ მივუმატებთ სოციალურ დახმარების ძალზე შეკვეცას უმუშევართათვის და სხვა განზრახულ ღონისძიებებს (ავადმყოფობის დროს მუშებისათვის დახმარების დაკლება, ინვალიდებისათვის პენსიების შემცირება და სხ.), ჩვენ მივიღებთ ერთგვარ სურათს, თუ როგორ „ზრუნავენ" მიულერები მუშათა კლასის ინტერესებზე.

მაგრამ, როგორც ეტყობა, მრეწველები და ბანკირები არ კმაყოფილდებიან ჰილფერდინგის ასეთი ძაღლური ერთგულებითაც. ისინი მოითხოვენ გაცილებით მეტ შეღავათებს, რა თქმა უნდა, მშრომელთა ხარჯზე. ამის შედეგად ჰილფერდინგი გადაყენებულ იქნა. მზადდება ბანკირების დიქტატურა, რამაც უკვე ჰპოვა გამოხატულება შახტის ცნობილ მემორანდუმში და თვითმართველობათა ფინანსიურ უფლებების შეზღუდვაში. ახლა „ფორვერტს" უკანა რიცხვით ემიჯნება ჰილფერდინგს მისი წრეს გადასული დათმობებისათვის ბურჟუაზიისადმი, რომ მისი თვალთმაქცური კრიტიკით ცოტათი მაინც ასწიოს მასებში სოციალ-დემოკრატიის სავსებით შერყეული პრესტიჟი. მაგრამ ვინ არ იცის, რომ ჰილფერდინგი მოქმედობდა ამ პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებთან სრული შეთანხმებით, ასე რომ პასუხისმგებლობას შექმნილი მდგომარეობისათვის, ცხადია, მთელ ს.-დემოკრატიას აწვება.

გასაგებია, რომ კაპიტალისტების და სოციალ-ფაშისტების შეტევა პროლეტარიატის მძაფრ წინააღმდეგობას იწვევს. კერძოდ ძლიერდება უმუშევართა მოძრაობა. კომფრაქციები მუნიციპალიტეტებში აყენებენ მოთხოვნებს, რათა უმუშევრებს დაუყოვნებლივ დახმარება აღმოუჩინონ ფულით, სურსათით, სათბობით, ტანსაცმელით და სხ. ამ მოთხოვნებს, ცხადია, მუნიციპალიტეტები მენშევიკების დახმარებით უარჰყოფენ. და ჩვენ ვხედავთ, რომ უმუშევრები მედგრად გამოდიან ხსენებულ მოთხოვნების დასაცავად და ირაზმებიან კომპარტიის გარშემო. ამ მხრივ, სხვათა შორის, საგულისხმოა, ამას წინად ფრანკფურტმაინში გამართული დემონსტრაციები, რომლებიც სისხლისმღვრელი შეტაკებებით დამთავრდნენ: ს.-დ. პოლიცეი-პრეზიდენტმა უმუშევრებს ტყვიები დაუშინა.

ახლო მომავალში გერმანია დიდი სოციალური შეხლა-შემოხლის არენად გადაიქცევა. იუნგის გეგმის გატარება და კაპიტალის გააფთრებული შეტევა მუშათა კლასზე ამას აუცილებელს ხდიან. გერმანიის პროლეტარიატი ამ ბრძოლებისათვის თავის ძალებს კრებს.

გ. კ—ლი.

ა.-კ. საკონტროლო კომისიის პლენუმი

23 დეკემბერს გაიხსნა საკ. კ.პ. (ბ) ა.-კავკასიის საკონტროლო კომისიის მეექვსე პლენუმი.

პლენუმმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ამხ. სტალინს, მისი დაბადებიდან 50 წ. შესრულების გამო.

პირველად პლენუმმა მოისმინა ამხ. **გორჩაკოვის** მოხსენება აზერბეიჯანის ცენტრალურ საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის შესახებ. პლენუმმა მოხსენების მოსმენისა და განხილვის შემდეგ აღნიშნა აზერბეიჯანის ცენტრალური საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის მიღწევები და წინსვლა ამ უკანასკნელი ხნის განმავლობაში. პლენუმმა მოიწონა აზერბეიჯანის ცენტრალური საკონტროლო კომისიის ღონისძიებები განსაკუთრებით მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში მუშათა ფართო მასების მიზიდვისა და ჩაბმის საქმეში. პლენუმმა ა.-კავკასიის საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმს მიანდო საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ საკანტროლო კომისიის პლენუმის დადგენილებათა საფუძველზე დაამუშაოს აზერბეიჯანის ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის შემდგომი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებები.

ამას შემდეგ პლენუმმა მოისმინა ამხ. ვ. **სტურუას** მოხსენება პარტიის წინასწარი წმენდის შედეგებზე ა.-კ. რესპუბლიკებში.

ამხ. ვ. სტურუას მოხსენების გარშემო გამართულ კამათისა და მოხსენებების საბოლოო სიტყვის შემდეგ პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია. რეზოლიუციაში აღნიშნულია პარტწმენდის, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. მაგ. ლენინის პარტიის გაწმენდა კლასიურად უცხო, გადაგვარებულ და გაბიუროკრატებულ ელემენტებისაგან; პარტიის ავტორიტეტის გაძლიერება; ქვედა პარტორგანიზაციების მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება; თვითკრიტიკის ფართოდ გაშლა; გამწმენდ კომისიის ზოგიერთი წევრების საწარმოო უჯრედების წმენდისადმი მექანიკურად მიდგომა, სათანადოთ ვერ ამჟღავნებდნენ ამა თუ იმ პარტორგანიზაციის და უჯრედების ნაკლოვანებებს და სხვა. ამიტომ პლენუმმა რესპუბლიკების კ.პ. (ბ) ცენტრალურ საკანტროლო კომისიებს წინადადება მისცა გამოასწორონ გამწმენდ კომისიების მუშაობა. გარდა ამისა პლენუმმა რესპუბლიკის ცენტრალურ-საკანტროლო კომისიებს წინადადება მისცა, რომ წმენდის ორგანიზაციული ნაწილი დაამთავრონ 1930 წლის პირველ იანვრისათვის (აზერბეიჯანის გამოკლებით, სადაც წმენდა უნდა დამთავრდეს 15 იანვრისათვის), იმ ანგარიშით, რომ გამწმენდ კომისიების გადაწყვეტილებანი და სააპელაციო განცხადებები ცენტრალურ საკანტროლო კომისიებში დამტკიცებულ იქნეს არა უგვიანეს 15 თებერვლისა. რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ მუშების, მუშაქალების, მოჯამაგირეების და ღარიბ გლეხების სააპელაციო განცხადებების გარჩევის დროს საჭიროა მაქსიმალური სიფრთხილე, ადგილი არ უნდა ჰქონდეს საქმისადმი მექანიკურად მიდგომას, 1930 წლის პირველ ნახევარში, პირველ რიგში უნდა მოხდეს პარტორგანიზაციებისადმი გამწმენდ კომისიების მიერ მიცემული პრაქტიკული მითითებების შესრულების შემოწმება.

რეზოლიუციის ტექსტი, რომელიც პლენუმმა მიიღო გამოქვეყნებული იქნება ცალკე.

საშეფო საზოგადოების თბილისის საბჭო

აცხადებს, რომ 1930 წ. 15 იანვარი უკანასკნელი დღეა

იმ მოგებათა მისაღებად რომლებიც ხვდა საშეფო საზოგადოების თბილისის საბჭოს ატრაქციონ

„დაკავშირება"-ს მე-II ტირაჟის კუპონს, რომელთა ღირებულება შეტანილია თბილისის საბჭოს სალაროში. აღნიშნული ვადის შემდეგ კუპონის პატრონი ჰკარგავს მოგების მიღების უფლებას და მისი პრეტენზია უშედეგოდ იქნება დატოვებული.

ამავე დროს ვთხოვთ ყველა ორგანიზაციებს, რომლებზედაც ირიცხება დავალიანება, დაფარონ ზემოთ ნაჩვენებ ვადამდე.

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის მე-2 პლენუმი

კამათი ამხ. კვარაცხელიას მოხსენების გარშემო

21 დეკემბრის დილის სხდომაზე გაიხსნა კამათი ამხ. კვარაცხელიას მოხსენების გარშემო.

ამხ. **ავთანდილოვმა** აღნიშნა: პარტწმენდამ აჭარისტანის ორგანიზაციაში გამოამჟღავნა პარტიის წევრების პოლიტიკური მოუმზადებლობა; ადგილობრივ კომუჯრედების ბიუროების პარტიის ცალკე წევრებზე შედგენილი დახასიათებები არ იყო დამაკმაყოფილებელი. ისინი შედგენილი იყო ზოგადად. გარდა ამისა პარტწმენდამ აჭარისტანში გამოამჟღავნა სხვა ნაკლოვანებები, როგორც დაწესებულებების, ისე საწარმოო და გლეხურ უჯრედებში.

ამხ. **ნიკოლაევმა** სთქვა: სამხედრო პარტორგანიზაციიდან გამორიცხულ იქნა 7,1 პრ. სხვადასხვა სახის პარტ. სასჯელი მიიღო 7,4 პროც. ეს იმას მოწმობს, რომ პარტორგანიზაცია ჩვენთან ჯანსაღია. წმენდის დროს პარტიის თვითეულ წევრს მკაცრად ვეპყრობოდით. საკმარისი იყო უბრალო ბრალდება, რომ ამ ამხანაგს სათანადო სასჯელი მიეღო. შემდეგში ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ თვალყური ვადევნოთ გამოსწორდებიან თუ არა ის ამხანაგები, რომლებიც გამორიცხა გამწმენდ კომისიებმა და აღადგინა საკონტროლო კომისიამ. ამასთან ერთად პარტსასჯელდადებულებს ჩვენ უნდა შეუქმნათ სათანადო პირობები, რომ ისინი გამოსწორდნენ.

ამხ. **შახსუვარიანი** აღნიშნავს, რომ პარტიის მოურიდებელი ხაზი პარტწმენდის საქმეში იყო სწორი, რის გამო პარტწმენდამ ჩვენ სასურველი შედეგები მოგვცა. განათლების მუშაკთა კომუჯრედის წმენდამ დაგვანახა, რომ იდეოლოგიურად ისინი ვერ დგანან სათანადო სიმაღლეზე. კომუნისტ მასწავლებლების პოლიტიკური მომზადების დონე დაბალია. დაწესებულებათა უჯრედებში უჯრედის მდივნებად აღმოჩნდნენ ისეთები, რომლებიც სათანადოთ ვერ ერკვეოდენ პარტიის მიმდინარე ამოცანებში. ზოგიერთ უჯრედებში პარტიის წევრებს კავშირი ჰქონდათ სოციალურად უცხო ელემენტებთან, ახშობდნენ თვითკრიტიკას და სხვა. პარტიის ზოგიერთ წევრებზე დახასიათებები შედგენილი იყო მშრალად. დახასიათებებში ნაკლებად იყო ლაპარაკი იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობდა ესა თუ ის ამხანაგი, როგორ ატარებდა პარტიის ხაზს და სხვა.

ამხ. **ბაინდურაშვილი** შეეხო კახეთის ორგანიზაციის პარტწმენდას და სთქვა, რომ კახეთის პარტ. ორგანიზაციაში პარტწმენდამ გამოამჟღავნა მთელი რიგი ნაკლოვანებები. როგორიცაა მაგ. დაჯგუფებები, თანამდებობების ბოროტად გამოყენება, „ძმა-ბიჭობა" ინტრიგა-კინკლაობა და სხვა.

ამხ. **სააკიანი** უმთავრესად შეჩერდა გამწმენდ კომისიების მუშაობაზე და აღნიშნა, რომ გამწმენდ კომისიებმა ადგილებზე ვერ შესძლეს მემარჯვენე გადახრის კონკრეტული მაგალითების გამომჟღავნება პრაქტიკაში.

ამხ. **ბოკუჩავას** წინადადება შემოაქვს, რომ ჩატარებულ იქნეს გამწმენდ კომისიების მიერ მიცემულ პრაქტიკულ წინადადებების შესრულების შემოწმება, უჯრედებში პარტ. გამწმენდ კომისიებმა, კომუჯრედებს მისცა მომავალი მუშაობის პრაქტიკული მითითებები, რომ გარდაექმნათ პარტიული მუშაობა. ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია და სოციალისტური სექტორის გაძლიერება სოფლად მოითხოვს პარტიული მუშაობის მეთოდების და ფორმების შეცვლას. ამ მიმართულებით მუშაობაში პარტწმენდამ დიდი დახმარება გაუწია ადგილობრივ პარტორგანიზაციებს. ამასთან ერთად მიღებულ უნდა იქნეს ზომები იმ ამხანაგების დასაცავად, რომლებმაც წმენდის დროს მიუდგომლად ამხილეს ზოგიერთ ამხანაგების არაკომუნისტური მოქმედება. საკონტროლო კომისიის რწმუნებულებმა ადგილებზე ასეთ შემთხვევებს სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ.

ამხ. **კუკულდავამ** სთქვა: სოფლის უჯრედების წმენდის დროს უპარტიო გლეხებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს. მაგ. ქ. ხონში (ქუთ. ოლქი) 6 დღის განმავლობაში ყოველდღე წმენდას ესწრებოდა ორ—ორი ათასი კაცი. უნდა ითქვას, რომ კომკავშირის აქტივმა წმენდაში დიდი დახმარება გაგვიწია. ადგილებზე ზოგიერთი ამხანაგი და უპარტიო გლეხი ვერ ბედავდა გამოსვლას ამა თუ იმ ამხანაგის ბოროტმოქმედების მხილებისათვის. სოფლის უჯრედების წევრების პოლიტიკური მომზადების დონე საგრძნობლად დაბალია. საჭიროა სოფლად მოწყობილ იქნეს ერთიანი პოლიტსკოლები. ამასთან ერთად სოფლის კომუნისტები ვერ არიან გარკვეული „მემარცხენე" და მემარჯვენე გადახრებზე. სოფლად უნდა გაიშალოს ბოლშევიკური თვითკრიტიკა პიროვნებების მიუხედავათ.

ამხ. **რამიშვილი**—პარტწმენდის წინასწარი შედეგები ჩვენ გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ დავასკვნათ თუ რა პირობებში და როგორ ჩატარდა პარტწმენდა საქართველოს პარტორგანიზაციაში. მიმდინარე პერიოდში, როდესაც ჩვენს წინაშე გადასაჭრელად სდგას მთელი რიგი მნიშვნელოვანი ამოცანები, როდესაც პარტიის თვითეულ წევრისათვის საჭიროა მტკიცე ნებისყოფა, აუცილებელია პარტიის თვითეული წევრის ზედმიწევნით შესწავლა. ჩვენ გარკვევით უნდა ვიცოდეთ ვინ არის პარტიის წევრი, როგორია მისი პრაქტიკული მუშაობა, როგორია მისი კლასიური სახე და სხვა. წმენდის დროს ზოგიერთ უჯრედებში აღმოჩენილ იქნა,— უპარტიოები იყვნენ ბიუროს წევრები და სხვა. პარტწევრებისა და კანდიდატებს შორის აღმზრდელობითი მუშაობა მოისუსტებდა. ჩვენ სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ უჯრედებში დაჯგუფებასა და ინტრიგებს. მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ პარტკანდიდატების წევრებად გადარიცხვის საქმეს. უნდა აღინიშნოს, რომ დირექტივა პარტიაში მიღების შესახებ წმენდის პერიოდში— მივიწყებულ იქნა, რასაც მომავალში სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

ამხ. **ჯიქიამ** აღნიშნა, რომ სოფლად პარტიის ზოგიერთი წევრები მოითხოვდენ ინდუსტრიალიზაციის განვითარებას გლეხობის ხარჯზე. წმენდის დროს ადგილებზე მჟღავნდებოდა მემარჯვენე გადახრის კონკრეტული მაგალითები.

ამხ. **კარტოზია** შეჩერდა იმ სიძნელეებზე, რომელიც ხელს უშლიდა პარტწმენდის წარმატებით ჩატარებას სენაკში.

ამხ. **მარჯაროვმა** თავის გამოსვლაში აღნიშნა, თუ რა პირობებში იქნა ჩატარებული ხელმეორედ წმენდა სენაკში.

კამათის დამთავრების შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. კვარაცხელიას საბოლოო სიტყვა.

ამხ. კვარაცხელიას საბოლოო სიტყვის შემდეგ პლენუმმა მოისმინა ამხ. გ. დევდარიანის მოხსენება საბჭოთა აპარატის წმენდის პირველ შედეგებზე.

საბჭ. აპარატის წმენდის პირველი შედეგები

(ამხ. გ. დევდარიანის მოხსენება)

დასრულდა საბჭოთა იმ ორგანოების შემოწმება, რომლებიც გათვალისწინებული იყო რესპუბლიკანური კომისიის მიერ. საბჭოთა აპარატის შემოწმებამ ჩვენ საუკეთესო მასალა მოგვცა იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს ესა თუ ის დაწესებულება.

სანამ საბჭოთა აპარატის წმენდა დაიწყებოდა ჩვენ სათანადო მუშაობა ჩავატარეთ იმ მიმართულებით, რომ მოგვემზადებია მასები წმენდისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა აპარატის წმენდის მოსამზადებელი მუშაობა ადგილებზე სუსტად მიმდინარეობდა. ამიტომ საბჭოთა აპარატის წმენდა არ დაწყებულა იმ დროს, რომელიც გათვალისწინებული ჰქონდა რესპუბლიკანურ კომისიას. მიუხედავად ამისა წმენდამ გამოააშკარავა საბჭოთა აპარატის მთელი რიგი მტკივნეული მხარეები. აპარატში მოკალათებული იყვნენ უცხო ელემენტები, ბიუროკრატები, მავნებლები და სხვა. ამ მხრივ აღსანიშნავია ახალციხის და ახალქალაქის მაზრები. მაგ. ახალქალაქის მაზრის საფინანსო განყოფილების გამგის მოადგილედ იყო მსხვილი ვაჭრის შვილი. მან კავშირი ჰქონდა კერძო ვაჭრებთან, არ ბეგრავდა ინდივიდუალურად, ადგენდენ ყალბ მოწმობებს და სხვა.

საადგილმამულო განყოფილების გამგედ აღმოჩნდა ყოფილი ბოქაული საკმაო სტაჟით.

საბჭოთა აპარატის გაწმენდას ბიუროკრატებისა, გამფლანგველებისა და სოციალურად უცხო ელემენტებისაგან უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. საბჭოთა აპარატის მასებისადმი დაახლოება და მისი რაციონალიზაცია შეუძლებელია მანამ, სანამ აპარატში სხედან ჩინოვნიკები, რომლებიც დაკისრებულ მოვალეობას გულგრილად ეპყრობიან. ამიტომ საბჭოთა აპარატის შემოწმება და წმენდა დროულად იყო დასმული ხელმძღვანელ ორგანოების მიერ. უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე საბჭოთა აპარატში მოკალათებულ ბიუროკრატების წინააღმდეგ არ იყო მიღებული ენერგიული ზომები; ისინიც თავისუფლად გრძნობდნენ თავს და ამით სცემდნენ საბჭოთა აპარატის პრესტიჟს მშრომელ მოსახლეობაში, საბჭოთა აპარატის ასეთ მდგომარეობაში გაჩერება შეუძლებელი იყო.

თუ ავიღებთ სამეურნეო ორგანოებს. მუშების პროცენტს საგრძნობლად სჭარბობს თავად-აზნაურების პროცენტი. ამიტომ ჩვენს წინაშე სდგას ამოცანა აპარატის უცხო და შემთხვევითი ელემენტებისაგან გაწმენდის შესახებ, განსაკუთრებით კი ისეთი დაწესებულების, როგორიცაა მაგ. საქართველოს საფინანსო და მიწადმოქმედების კომისარიატები.

საბჭოთა აპარატში კლასიურად უცხო ელემენტების მოკალათების შედეგად ადგილი აქვს კლასიური ხაზის დამახინჯების შემთხვევებს. უმთავრესად ეს ითქმის სასოფ.-სამეურნეო სესხების განაწილების დარგში. სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა სესხს პირველ რიგში კულაკს აძლევდა, შემდეგ კი ღარიბ გლეხს და მოჯამაგირეს. საკრედიტო ამხანაგობების ხელმძღვანელები ამ გარემოებას იმით ასაბუთებენ, რომ კულაკს შეუძლია სესხის თავის დროზე გადახდა, ღარიბს კი არა. მუშაობის ასეთი პოლიტიკა არაფრით არ ვარგა. ასეთი მოქმედება არის აშკარა მემარჯვენე გადახრის მაგალითი პრაქტიკაში.

ყოვლად დაუშვებელ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში, რომლებიც კერძო ვაჭრებს აძლევდნენ სესხებს, მანდატებს და სხვა.

იუსტიციის სახალხო კომისარიატში აპარატის შემოწმების დროს გამომჟღავნებული იქნა კლასიური ხაზის დამახინჯების მთელი რიგი მაგალითები.

ზოგიერთი დაწესებულებები ყურადღებას არ აქცევდენ ზემდგომ ორგანოების დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას. მაგ. მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს საქ. სახკომსაბჭოს გასულ წლის 15 დეკემბრის დავალება ჯერ კიდევ არ შეუსრულებია.

საბჭოთა აპარატის წმენდაში სუსტ მონაწილეობას ღებულობდნენ პროფკავშირები. საკმაო ყურადღება არ ექცევა მუშათა დაწინაურებას და ახალი კადრების მომზადებას, ამასთან ერთად საბჭოები და კომკავშირის ორგანიზაციაც სუსტადაა ჩაბმული საბჭოთა აპარატის წმენდის წარმატებით ჩატარების საქმეში. მუშათა ბრიგადების მუშაობა დამაკმაყოფილებელია.

მომავალში ჩვენ ფართოდ უნდა გავშალოთ მუშაობა იმ მიმართულებით, რომ დაწესებულებები აყვანილ იქნეს წარმოებების შეფად.

ამხ. დევდარიანს წინადადება შემოაქვს, რომ პლენუმმა განიხილოს საკითხი იმის შესახებ, რომ ქალაქის მსგავსად სოფლად მოეწყოს დამკვრელი ბრიგადები მოჯამაგირეებისა, ღარიბი გლეხებისა და კოლმეურნეობათა წევრების შემადგენლობით.

საბჭ. ქვედა აპარ. წმენდა უსათუოდ უნდა დამთავრდეს გაზაფხულის თესვის კამპანიის დაწყებამდე, რათა ეს მნიშვნელოვანი კამპანია ჩატარებულ იქნეს ისე, როგორც საჭიროა.

აპარატის შემოწმებაში მასიურად ჩაბმული უნდა იქნეს მუშათა მასები და მშრომელი მოსახლეობა, რომელთა დახმარებით შესაძლებელი იქნება საბჭოთა აპარატის გაწმენდა უცხო და შემთხვევით ელემენტებისაგან.

კამათი ამხ. დევდარიანის მოხსენების გარშემო

ამხ. **ავთანდილოვმა** აღნიშნა, რომ აჭარისტანის საბჭოთა აპარატში, განსაკუთრებით „აზნავთშენში" და ნავთის სინდიკატში მოკალათებული იყვნენ ანტისაბჭოთა ელემენტები ყოფ. პოლკოვნიკების და „ოკოლოდოჩნიკების" სახით, რომლებიც მავნებლურ მუშაობასაც კი არ ერიდებოდნენ.

ამხ. **სანიკიძემ** ილაპარაკა საბჭოთა აპარატის წმენდის შედეგებზე ახალციხის მაზრაში და აღნიშნა, რომ სამაზრო ფინგანში მომუშავე 17 კაციდან 15 კაცი დასჯილია. მიწადმოქმედების განყოფილებაში იჯდა აგრონომი, რომელიც სრულიად ვერ ერკვეოდა სოფლად მუშაობის ამოცანებში. სატყეო ტრესტის განყოფილება სავსე იყო ყოფ. თავადაზნაურებით, რომლებშიც ერია მენშევიკური ცეკას წევრიც კი. ბიუროკრატიზმთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით ამხ. სანიკიძეს აუცილებლად მიაჩნია საკონტროლო კომისიის რწმუნებულთა განთავისუფლება სხვა მუშაობიდან.

ამხ. **ჩოჩიევი** შეჩერდა პროფკავშირების როლზე საბჭოთა აპარატის წმენდის საქმეში და მუშათა და პარტიული ბირთვის გადიდების საჭიროებაზე დაწესებულებებში.

ამხ. **გოგიჩაიშვილი** აღნიშნავს, რომ მაზრებში „გაწმენდილი" პირები მოემგზავრებიან თბილისში, სამსახურში მოწყობის მიზნით. ამიტომ ამხ. გოგიჩაიშვილი საჭიროდ სთვლის, რომ ამა-თუ იმ პირის სამსახურში მიღების დროს სამეურნეო ორგანოებმა მეტი სიფრთხილე გამოიჩინონ.

ამხ. **შენგელიას** საჭიროდ მიაჩნია პროტექციონიზმთან ბრძოლის გაძლიერება, რომ ამით საბჭოთა აპარატი უზრუნველყოფილი იქნეს შემთხვევითი ელემენტების გაძრომისაგან. შემდეგ ორატორი შეჩერდა კოოპერატიულ ორგანიზაციების აპარატის პირად შემადგენლობაზე და აღნიშნა, რომ გამწმენდ კომისიებს აქ განსაკუთრებით დიდი დაკვირვება მართებთ, რადგანაც აქ მოკალათებული არიან გადაგვარებული და სოციალურად მიუღებელი ელემენტები, კერძო ვაჭრები, რომლებიც კოოპერაციას საკუთარი ინტერესებისათვის იყენებენ.

ამხ. **სურგულაძე** შეეხო საბჭოთა აპარატის წმენდას აჭარისტანში და აღნიშნა, რომ წმენდა წარმატებით მიმდინარეობს.

ამხ. **დემეტრაშვილი** სატყეო ტრესტის ცუდ მუშაობას აწერს აპარატში ყოფ. მესაკუთრეთა და სხვა ჩვენთვის მიუღებელი ელემენტების მოკალათებას. ორატორს საჭიროდ მიაჩნია წმენდის ჩატარება პირველ რიგში იმ დაწესებულებებში, რომლების მუშაობაც სათანადო სიმაღლეზე არ სდგას.

ამხ. **ვარძიელმა** აღნიშნა, რომ დასაწინაურებელ პირთა შერჩევის საქმეში ორგანიზაციები შეცდომას უშვებენ, იმ მხრივ, რომ აწინაურებენ უმთავრესად პარტიულ ამხანაგებს და ამავე დროს უპარტიო მუშათა და ქალთა დაწინაურების საქმეს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. ეს შეცდომა გამოსწორებული უნდა იქნეს. საბჭოთა აპარატის გამწმენდი კომისიების ერთ-ერთ მნიშვნელოვან შეცდომად ჩაითვლება ის, რომ ისინი, დიდ დაკვირვებას იჩენენ რა აპარატის პირად შემადგენლობის შემოწმების საქმეში, სათანადო ყურადღებით ვერ ირკვევენ თვით აპარატის მუშაობის სისტემის ნაკლოვანებებს.

ამხ. **გალუსტოვი** ეხება რა თვითკრიტიკის მნიშვნელობას საბჭოთა აპარატის წმენდის საქმეში, აღნიშნავს, რომ ზოგიერთ ადგილებში თვითკრიტიკა დახშულია, ამიტომ ადგილობრივი პარტორგანიზაციების მნიშვნელოვან ამოცანას შეადგენს თვითკრიტიკის გაშლა, რომ ამით უზრუნველყოფილი იქნეს საბჭოთა აპარატის წმენდის წარმატებით ჩატარება.

ამხ. დევდარიანის საბოლოო სიტყვის შემდეგ პლენუმმა მიიღო რეზოლიუციები მოხსენებების გარშემო. პლენუმმა დაადგინა, რომ გამოყოფილი იქნეს ც. საკ. კომისიის 10 წევრი გაზაფხულის თესვის კამპანიის მოსამზადებელი მუშაობის ჩატარებისათვის.

პლენუმის დახურვისას ამხ. **ივანოვ-კავკასკიმ** მოუწოდა ც. საკ. კომისიის ყველა წევრებს, რათა საერთო ძალით ცხოვრებაში გაატარონ პლენუმის ყველა გადაწყვეტილებანი.

საქ. კომკავშირის ცეკას პლენუმი

22 დეკემბერს, მუშათა ახალ კლუბში გაიხსნა საქ. კომკავშირის ცეკას პლენუმი.

პლენუმის დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: კომკავშირის მონაწილეობა გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიაში და ორგანიზაციული საკითხები.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ს. **იუხანოვმა**.

მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მნიშვნელობაზე და წამოაყენა პრაქტიკული წინადადებები კომკავშირის მონაწილეობაზე გაზაფხულის თესვის კამპანიაში.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ ადგილებზე კომკავშირის მონაწილეობის სისუსტეს თესვის და სხვა მნიშვნელოვან კამპანიებში.

ამხ. იუხანოვის საბოლოო სიტყვის შემდეგ მიღებულ იქნა სათანადო რეზოლიუცია.

ცვლილებები საქ. კომკავშირის ცეკაში

პლენუმმა საქ. კომკავშირის ცეკას მდივნობის მოვალეობისაგან გაანთავისუფლა ამხ. გ. **ჯავახიძე**, მისი საკავშირო კომკავშირის ცეკაში სამუშაოდ გადასვლის გამო. საქ. კომკავშირის ცეკას მდივნად ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. ქ. **ბუჯიაშვილი**. ამხ. ტ. **ნესტეროვი**, საკავშირო პროფსაბჭოში სამუშაოდ გადასვლის გამო, განთავისუფლებულ იქნა საქ. კომკავშირის ცეკას საორგანიზაციო განყოფილების გამგის მოვალეობისაგან; საქ. კომკავშირის ცეკას ორგ. ორგანიზატორად არჩეულ იქნა ამხ. ს. **იუხანოვი**. ცეკას აგიტპროპორგანიზატორად —ამხ. ს. **კარსანიძე**, სოფლად მუშაობის განყოფილების გამგეთ— ამხ. **ნუცუბიძე**, შრომის და განათლების ორგანიზატორად— ამხ. **მაისურაძე**, სამხედრო-სასპორტო განყოფილების გამგედ —ამხ. **დანილევიჩი** და გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტი"-ს რედაქტორად— ამხ. **ალ. მახათაძე**.

პარტიულ და საბჭოთა სამუშაოზე გადასვლის გამო საქ. კომკავშირის ცეკას ბიუროს წევრობის შემადგენლობიდან გამოყვანილ იქნა: ამხ. **ჯავახიძე, ნესტეროვი, ზვიადაძე, ხომასურიძე, აზარაშვილი** და **სააკიანი**. ცეკას ბიუროს კანდიდატობიდან გამოყვანილ იქნა ამხ. **გიორგობიანი, მომცაძე** და **ხაჩიკიანი**.

ცეკას ბიუროს შემადგენლობაში წევრებად შეყვანილ იქნენ: ამხ. ს. **კარსანიძე, დანილევიჩი, ჩუბინიძე** და **ნუცუბიძე**; კანდიდატებათ: ამხ. **ტატანაშვილი** და **შახბაზიანი**.

საქ. კომკავშირის ცეკას შემადგენლობაში კოოპტაციის სახით შეყვანილ იქნა ამხ. **დანილევიჩი, შახბაზიანი, ბუჯიაშვილი ვასო** და **დოლიძე**.

ცეკას სამდივნოში დამტკიცებულ იქნა ამხ. ქ. **ბუჯიაშვილი** და ს. **იუხანოვი**.

ამის შემდეგ პლენუმი დაიხურა.

კოლხელშეკრულებათა დადების კამპანიის შედეგები

საქ. პროფსაბჭოს სატარიფო-ეკონომიური განყოფილებამ ჯამი გაუკეთა ახალ კოლხელშეკრულებათა დადების კამპანიას.

განყოფილებაში მიღებულ ცნობებიდან ირკვევა, რომ სულ საქართველოში დადებულია 591 ხელშეკრულება, რომლებიც ეხება 60.019 მუშა-მოსამსახურეს (ამაში არ შედის აჭარისტანის, აფხაზეთის, ქუთაისის და ფოთის მუშა-მოსამსახურეები, რადგან ამ რაიონებიდან ჯერ არ არის მიღებული საბოლოო ცნობები).

ცალკე კავშირების მიხედვით ახალი კოლხელშეკრულებები დადებულია: მეღვინეთა კავშირში—8 ხელშეკრულება, რომელიც ეხება 2.860 მუშა-მოსამსახურეს, ქიმიკოსთა კავშირში—7 ხელშეკრულება—1.090 მუშა- მოსამსახურე, ხეზე მომუშავეთა კავშირში—4 ხელშეკრულება —2.425 მუშა-მოსამსახურე, მებეჭდავეთა კავშირში 20—1446, სამთამადნო მუშათა კავშირში 11—10.674, გიმო-კვების მუშაკთა კავშირში 10—2.930, განათლების მუშაკთა კავშირში 2—5.202, მკერავთა კავშირში—1—810, მშენებელ მუშათა კავშირში 1—734, მიწა-ტყის და სასოფლო სამეურნეო მუშათა კავშირში 26—15.321, ფეიქართა კავშირში 6—5.097, მეტყავეთა კავშირში 7—1.323, კომუნალურ მუშაკთა კავშირში 9—2.986, საბჭოთა-სავაჭრო მუშაკთა კავშირში 28—4.828, ტრანსპორტელთა კავშირში 17—1.490, ხელოვნების მუშაკთა კავშირში—10—783, აჭარისტანში დადებულია 101 ხელშეკრულება, აფხაზეთში,—160, ქუთაისში—139 და ფოთში—24.

აჭარისტანში ხელმოწერილი არ არის ხელშეკრულება ნავთის გადასაქაჩავ ქარხნის ადმინისტრაციასთან. ხელმოწერილი არ არის აგრეთვე თითო ხელშეკრულება „ზაკტპო"-ში და „ზაკავტოპრომტორგ"-ში.

რკინის გზელთა და ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირებში ხელმოწერილია ერთიანი გენერალური ხელშეკრულებები, რომლებიც დამუშავებული იქნა საერთო კრებებზე ოქტომბერში და ნოემბრის პირველ ნახევარში.

წყალზე მომუშავეთა, სახალხო კვების და მედსანშრომის მუშაკთა კავშირებში კამპანია დამთავრებულია, მაგრამ ცნობები არ არის მიღებული.

საბჭოთა-სავაჭრო მუშაკთა კავშირში ერთი ხელშეკრულება „ზაკსოიუზ"-თან ხელმოუწერელია ადმინისტრაციის მიზეზით.

საქ. სახკომსაბჭო

მუშა-მოსამსახურეთა ინიციატივის გამოყენება წარმოების გაუმჯობესების საქმეში

წინადადება მიეცა საქართველოს ყველა სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციებს სწორად იხელმძღვანელონ საწარმოო თათბირების მუშაობის გაძლიერებულ ღონისძიებათა და წარმოების გაუმჯობესების საქმეში მუშა-მოსამსახურეთა ინიციატივის გამოყენების თაობაზე საკავშირო სახკომსაბჭოს 1929 წ. ივლისის 18-ის თარიღით გამოცემულ დადგენილებით.

მეტრაქტორეთა მოსამზადებელი კურსების ხარჯთაღრიცხვა

მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი მეტრაქტორეთა მოსამზადებელი კურსების ხარჯთაღრიცხვა დამტკიცებულია 108.813 მან. რაოდენობით.

მიწსახკომის 1929—30 წ. საკონტროლო ციფრების გადიდება

წინადადება მიეცა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს შეიტანოს თავის 1929—30 წ. ხარჯთაღრიცხვაში ნიადაგის გამოკვლევისათვის 55.187 მან., სავეგეტაციო სახლის აგებისა და მოწყობისათვის— 44.830 მან. და აგრო-ლაბორატორიების მოწყობის დასამთავრებლად 30.000 მან.

საექიმო პუნქტების მოწყობა მომთაბარეობის ადგილებში

სახკომსაბჭომ დაამტკიცა მიწსახკომის მიერ წარმოდგენილი დებულების პროექტი მომთაბარე მესაქონლეობისათვის ვეტერინალური დახმარების აღმოჩენის შესახებ.

ა.-კ. სახკომსაბჭოს ეთხოვა აღძრას შუამდგომლობა საკავშირო ორგანოების წინაშე საკავშირო სახკომსაბჭოს სპეციალურ სახსრებიდან 48.000 მან. მიცემის შესახებ მიწსახკომისათვის 1929—30 წ. ოთხი სავეტერინარო პუნქტის მოსაწყობად.

წინადადება მიეცა მიწსახკომს შემდეგ წლებში სავეტერინარო პუნქტების მოსაწყობად საჭირო საშუალებანი შეიტანოს სათანადო წლების ხარჯთაღრიცხვაში.

წყალთა მეურნეობის დარგში მომუშავე სპეციალისტების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება

წყალთა მეურნეობის დარგში მომუშავე სპეციალისტების ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად გადადებული 12.000 მან. განაწილდა შემდეგნაირად: ერთდროულ დასახმარებლად —4.500 მან., საცხოვრებელი ბინების გასაუმჯობესებლად 700 მან., სპეციალური ხასიათის ლიტერატურის შესაძენად სპეციალისტებისათვის —2.000 მან., საბჭოთა რესპუბლიკებში მივლინებისათვის 1.800 მან. და საბინაო მშენებლობისათვის —3.000 მან.

დეკემბრის საკასო გეგმა

სახკომსაბჭომ დაამტკიცა დეკემბრის თვის საკასო გეგმა სახელმწიფო ბიუჯეტის ხაზით.

შემოსავალი უდრის 3.992.500 მანეთს. მათ შორის: სასოფლო-სამეურნეო გადასახადი — 500.000მან., საერთო გადასახადი— 2.400.000 მან., საშემოსავლო გადასახადი—600.000 მან, სხვადასხვა ბაჟები —57.500 მ., მოგება სავაჭრო დაწესებულებებიდან —20.000 მან., სატყეო შემოსავალი—200.000 მან., საძოვრების შემოსავალი—20.000 მან., სესხების დაბრუნება—10.000 მან., სახელმწიფო სესხების ანარიცხები—125.000 მან. და შემოსავალი მრეწველობიდან—60.000 მან.

სახელმწიფო ხარჯები უდრის—4.328.800 მანეთს, მათ შორის: ხარჯები სახალხო კომისარიატების ხაზით— 1.800.000 მან., საგზაო ფონდი—150.000 მან., საკურორტო აღმშენებლობა—100.000 მან., ადგილობრივი ბიუჯეტის დოტაცია—500.000 მან., ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯები—1.743.800 მან. და სსრ კავშირის ანარიცხები—36.000 მან.

სახელმწიფო ბიუჯეტის დეკემბრის თვის დეფიციტის დასაფარავად დოტაცია უდრის— 335.300 მან., ხოლო ნოემბრის თვისა კი უდრის —500.000 მან., სულ დოტაცია უდრის— 836.300 მან.

წინადადება მიეცა ფინანსთა სახალხო კომისარიატს დეკემბრის თვის სახელმწიფო შემოსავალი და ხარჯები გაანაწილოს ავტონომიურ რესპუბლიკებსა და უეზდებს შორის.

საქ. ეკონომსაბჭოში

მარცვლეულის კონტრაქტაცია

ეკონომიურმა საბჭომ მიზანშეწონილად სცნო სასოფლო- სამეურნეო კოოპერაციისა და „ცეკავშირი"-ს დაშვება მარცვლეულის კონტრაქტაციაზე დარაიონების საფუძველზე.

ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოს დაევალა წარმოუდგინოს ეკონომიურ საბჭოს მარცვლეულის კონტრაქტაციის დარაიონების გეგმა.

მეფრინველეობის კომბინატი

ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა ეთხოვოს ა.-კ. სახკომსაბჭოს მოახდინოს სათანადო განკარგულება სამტრედიის მეფრინველეობის კომბინატის საქართველოს სას.-სამეურნეო კოოპერაციისათვის გადაცემის შესახებ.

მარცვლეულის კონტრაქტაცია

ეკონომიურმა საბჭომ საჭიროდ სცნო ახალციხის და ბაკურიანის რაიონებში, დამზადებული და დასამზადებელი კარტოფილის მთელი რაოდენობა დატოვოს სას.-სამეურნეო კოოპერაციას სათესლე მასალის საჭიროებისათვის.

ა.-კ. კოოპერატიულ კავშირს წინადადება მიეცა დამატებით შემოიტანოს საქართველოში საუკეთესო კარტოფილი იმ რაოდენობით, რაც „სოფლის კავშირი"-ს მიერ იქნება გაყოფილი სათესლე მასალად.

3.500.000 მანეთი

ენგურის ქაღალდის ფაბრიკის ასაგებად

ენგურის ქაღალდის ფაბრიკის საამშენებლო პროექტის შედგენა უკვე დამთავრებულია და დასამტკიცებლად წარდგენილია საკავშირო ს. მ. უ. საბჭოში. პროექტის დამტკიცების მოლოდინში საქართველოს ს. მ. უ. ს. განკარგულებით უკვე დაწყებულია ფაბრიკისათვის საჭირო საამშენებლო მასალის დამზადება. ე. წ. დეფიციტიანი საამშენებლო მასალები დამზადებულ იქნება ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს საშუალებით.

ფაბრიკის ასაგები ხარჯების დასაფარავათ მიმდინარე საანგარიშო წლისათვის გადადებულია 3.500.000 მანეთი. ამ თანხით გადაწყვეტილია შეძენილ იქნეს 48.000 კასრი ცემენტი. 100 ტონა სხვადასხვა ზომის ლურსმანი და 2.700 ტონა რკინის მასალა.

დანარჩენ საამშენებლო მასალებს, როგორიცაა საფანჯრე შუშეულობა, სატყეო მასალა, სახურავი თუნუქი და სხვ. ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო გადასცემს ფაბრიკის საამშენებლო კომიტეტს 1930 წლის მარტში. ამავე დროისთვის დამთავრებული იქნება საამშენებლო პროექტის განხილვა უმაღლეს საკავშირო ორგანოებში.

ფაბრიკის მშენებლობა დაიწყება პროექტის დამტკიცებისთანავე მომავალი საამშენებლო სეზონიდან. აპრილამდე გადაწყვეტილია დამთავრდეს მიმდინარე წლის განმავლობაში საჭირო საამშენებლო მასალების მომარაგება, რომ შემდეგ შესაძლებელი გახდეს მშენებლობის ინტენსიური ტემპით წარმოება.

დამშეულთა დამხმარე კომიტეტის სხდომა

საექიმო დახმარების გაფართოების საკითხი

21 დეკემბერს შესდგა დამშეულთა დამხმარე მთავრობის კომიტეტის სხდომა, რომელზედაც დამშეულ რაიონების დაავადებულ მოსახლეობისთვის საექიმო დახმარების აღმოჩენის მიზნით ჩატარებული მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის წარმომადგენელმა ექიმმა ნაზარტიანმა.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ზამთრის გამო პელაგრის სნეულება საგრძნობლად შენელებულია, მაგრამ გაზაფხულზე მოსალოდნელია მისი გაძლიერება. ამიტომ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს დაავადებული მოსახლეობის გაძლიერებული კვება, რათა მათმა ორგანიზმმა გაზაფხულზე შესძლოს ავადმყოფობასთან ბრძოლა. გარდა ამისა გაზაფხულზე პელაგრასთან წარმატებით ბრძოლის მიზნით მომხსენებელი საჭიროდ სცნობს საავადმყოფოების ქსელის გაფართოებას და ამ საავადმყოფოების მედიკამენტებითა და საჭირო მოწყობილობით უზრუნველყოფას.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კომიტეტმა დაადგინა პელაგრით დაავადებულთათვის სამკურნალო ქსელი განსაკუთრებით გააფართოვოს იმ რაიონებში, სადაც პელაგრა უფრო გავრცელებულია. ავადმყოფებისათვის ახალი სახლები უმთავრესად მოეწყოს მომქმედ საავადმყოფოებთან. წითელი ჯვრის საზოგადოებას წინადადება მიეცა საწოლების გაფართოების საკითხი ყოველ ცალკე შემთხვევაში შეუთანხმოს დამშეულთა დამხმარე კომიტეტს და ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს.

კომიტეტის მდივნის ამხ. კაჭარავას მოხსენებიდან გამოირკვა, რომ კომიტეტს ადგილობრივ და მოკავშირე რესპუბლიკების სხვადასხვა ორგანიზაციებისაგან შემოწირულების სახით მიღებული აქვს ჯერ-ჯერობით 107.400 მანეთი, გარდა ამისა, ამავე ორგანიზაციებს კომიტეტისთვის გადასაცემად გადადებული აქვთ 150.000 მანეთი. ამ თანხებიდან კომიტეტს დაავადებულთა დახმარების საქმეზე დაუხარჯავს 71.800 მანეთამდე.

პირველ დახმარების საქმის მოსაგვარებლად აუცილებელ პროფილაქტიური ზომების მისაღებად კი აუცილებლად საჭიროა არა ნაკლებ ნახევარ მილიონ მანეთისა. ამიტომ კომიტეტმა საჭიროდ სცნო დამშეულთა და დაავადებულთათვის საზოგადოებრივი დახმარების გაძლიერება.

შემდეგ კომიტეტმა თავის შემადგენლობიდან გამოყო სამკურნალო, სასურსათო და ფინანსიური სექციები.

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მეხუთე ტირაჟის ცხრილი

(გათამაშებულია ბაქოში 20—22 დეკემბერს)

უპროცენტო გამოშვება

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერია	ობლ.	მოგების თანხა	სერია	ობლ.	მოგების თანხა
00183	1—25	100	23571	1—25	100
00243	1—25	100	24057	1—25	100
00381	1—25	100	24280	1—25	100
01796	1—25	100	24411	1—25	100
02329	1—25	100	24782	1—25	100
02370	1—25	250	25131	1—25	100
02662	1—25	100	25290	1—25	100
03010	1—25	100	25554!	21	1000
03065	1—25	100	25678	1—25	100
03226	1—25	100	27130	1—25	100
03836	1—25	100	27437	1—25	100
03892	1—25	100	28540	1—25	100
04197	1—25	100	28140	1—25	100
04265	1—25	100	28827!	09	1000
04307	1—25	100	29382	1—25	100
04913!	16	1000	29666	1—25	100
05235	1—25	100	29743	1—25	100
06568	1—25	100	30147	1—25	100
06746	1—25	100	30332	1—25	100
06823	1—25	100	30677	1—25	100
06930	1—25	100	30929	1—25	100
07119	1—25	100	30936	1—25	100
07797	1—25	100	31361	1—25	100
08059	1—25	100	31909	1—25	100
08190!	16	1000	32800	1—25	100
08644	1—25	100	32920	1—25	100
08827!	4	1000	33823	1—25	100
09051	1—25	100	33826	1—25	100
10302	1—25	100	34421	1—25	100
10834	1—25	100	34506	1—25	100
11085!	2	1000	34673	1—25	100
11414	1—25	100	35883	1—25	100
12980	1—25	100	36519	1—25	100
13367	1—25	100	36643	1—25	100
13377	1—25	100	36797	1—25	100
14178	1—25	100	36952	1—25	100
15358	1—25	100	37518	1—25	100
15598!	21	1000	37624	1—25	100
15926	1—25	100	38271	1—25	100
16018	1—25	100	38851	1—25	100
16612	1—25	100	38943	1—25	100
43287	1—25	100	38961	1—25	100
43949	1—25	100	39339	1—25	100
44776	1—25	100	39449	1—25	100
44982	1—25	100	39505	1—25	100
45271	1—25	100	39983	1—25	100
45299	1—25	100	40142	1—25	100
45538	1—25	100	40169	1—25	100
45561	1—25	100	40400	1—25	100
45631	1—25	100	40894	1—25	100
46173	1—25	100	41311	1—25	100
46704	1—25	100	41902	1—25	100
47647	1—25	100	42069	1—25	100
47787	1—25	100	42317	1—25	100
48306	1—25	100	43204	1—25	100
48951	1—25	100	43315!	16	1000
49971	1—25	100	43363	1—25	100
50064	1—25	100	43404	1—25	100
50077	1—25	100	44218	1—25	100
50235	1—25	100	44820	1—25	100
50749	1—25	100	44930	1—25	100
50833	1—25	100	45558	1—25	100
51245!	09	1000	47909	1—25	100
51788	1—25	100	49368	1—25	100
52305	1—25	100	49853	1—25	100
52769	1—25	100	50306	1—25	100
55416!	06	1000	50737!	19	1000
55938	1—25	100	51358	1—25	100
56230	1—25	100	52010	1—25	100
56452	1—25	100	52340	1—25	100
56824	1—25	100	52349	1—25	100
57464	1—25	100	52999	1—25	100
58061	1—25	100	53745	1—25	100
58691	1—25	100	53969	1—25	100
59137	1—25	100	54012	1—25	100
59264	1—25	100	55087!	12	1000
59442!	12	1000	56083	1—25	100
59813	1—25	100	56401	1—25	100
59909	1—25	100	56383	1—25	100
60779	1—25	100	57195	1—25	100
61224	1—25	100	57843	1—25	100
61372	1—25	100	58596	1—25	100
61655	1—25	100	58891	1—25	100
61904	1—25	250	59542	1—25	100
62392	1—25	100	59598!	20	1000
62516	1—25	100	59963	1—25	100
62548	1—25	100	60045!	14	1000
63730	1—25	100	60162!	22	1000
63811	1—25	100	61716	1—25	100
63832	1—25	100	61786!	20	1000
64063	1—25	100	62104	1—25	100
64563	1—25	100	62312	1—25	100
64897	1—25	100	62454	1—25	100
65158!	14	5000	62551	1—25	100
66610	1—25	100	63113	1—25	100
67667	1—25	100	64583	1—25	100
67798	1—25	250	64814	1—25	100
68109	1—25	100	65204	1—25	100
68371	1—25	100	65409	1—25	100
68397	1—25	100	67227	1—25	100
69861	1—25	100	67417	1—25	100
70421	1—25	100	68064	1—25	100
71146	1—25	100	68088	1—25	100
71384	1—25	100	68115	1—25	100
71499	1—25	250	68138	1—25	100
72965	1—25	100	70118	1—25	100
73492!	01	1000	70383	1—25	100
74276	1—25	100	70672	1—25	100
74814	1—25	100	71475	1—25	100
75061	1—25	100	71482	1—25	100
77273	1—25	100	71502	1—25	100
78074	1—25	100	71671	1—25	100
78137	1—25	100	71695	1—25	100
78690	1—25	100	71961	1—25	100
78931	1—25	100	71883	1—25	100
79077	1—25	100	72390	1—25	100
79232	1—25	100	72555!	07	1000
79245	1—25	250	73199	1—25	100
79256	1—25	100	73328	1—25	100
79972	1—25	100	73762	1—25	100
16546!	09	1000	74339	1—25	100
17293	1—25	100	74778	1—25	100
17797	1—25	100	75373	1—25	100
18172	1—25	100	75860	1—25	250
18225	1—25	100	76025	1—25	100
18736	1—25	100	76093	1—25	100
18901	1—25	100	76329	1—25	100
20032	1—25	100	76346	1—25	100
20563	1—25	100	76388	1—25	100
21521	1—25	100	76549	1—25	100
21753	1—25	100	76562	1—25	100
21926	1—25	100	76809	1—25	100
22135	1—25	100	77227!	11	1000
22343	1—25	100	77464	1—25	250
22370	1—25	100	77487	1—25	100
22455	1—25	100	77843	1—25	100
23142	1—25	100	77857	1—25	100
23564	1—25	100	77969	1—25	100
			78320	1—25	100
			78561	1—25	100
			79763	1—25	100

შენიშვნა: გაკვირვებითი ნიშანი ნიშნავს, რომ ამავე სერიის დანარჩენმა 24 ობლიგაციამ მოიგო 100 მანეთი თვითეულმა.

ბაქო, 21 დეკემბერი. 21 დეკემბერს ბაქოში დაიწყო მე-2-ე ინდუსტრიალიზაციის სესხის მეხუთე ტირაჟი. ტირაჟის პირველ დღეს გათამაშებულ იქნა მხოლოდ სესხის პროცენტიანი ობლიგაციები. სულ გათამაშებულ იქნა 1.500 მოგება.

ას-ას მანეთიანი მოგება ჰხვდა შემდეგი სერიების (1-დან 25 ნომრამდე) 53 ობლიგაციას:

00129	03141	03894	04486	04555	04674
06214	06655	09189	09690	10126	10932
11575	11653	12357	12565	16012	20355
21441	23264	25733	26112	26957	27143
33875	34151	34683	37197	37785	42052
49032	49193	51754	53366	53719	53992
56517	57522	59999	60392	60538	61401
66763	66796	67345	69331	70348	74990
75232	75809	76758	77675	78090.	

250 მანეთიანი მოგება ჰხვდა შემდეგი სერიების (1-დან 25 ნომრამდე) 3 ობლიგაციას: 00708, 06778 და 69648.

ბაქო, 22 დეკემბერი. 21 დეკემბრის საღამოს სხდომაზე უპროცენტო სესხის 1.000 მანეთიანი მოგება ჰხვდა შემდეგ სერიებს და ობლიგაციებს:

სერია 10906, ობლიგაცია 12; სერია 19632, ობლიგაცია 15; სერია 26501, ობლიგაცია 25; სერია 27273, ობლიგაცია 02; სერია 38104, ობლიგაცია 09; სერია 55416, ობლიგაცია 06; სერია 38104, ობლიგაცია 24; სერია 46617, ობლიგაცია 12; სერია 51245, ობლიგაცია 09; სერია 55416, ობლიგაცია 06; სერია 59442, ობლიგაცია 12; სერია 73492, ობლიგაცია 01;

ხუთი ათასი მანეთი მოიგო სერიამ 65158, ობლიგაციამ 01.

ბაქო, 22 დეკემბერი. 22 დეკემბრის დილის სხდომაზე გაგრძელდა სესხის უპროცენტო ნაწილის გათამაშება.

1.000 მანეთიანი მოგება ჰხვდა შემდეგ სერიებს და ობლიგაციებს:

სერია 43315, ობლიგაცია 16; სერია 55087, ობლიგაცია 22; სერია 59598 ობლიგაცია 20; სერია 28827, ობლიგაცია 09; სერია 11085, ობლიგაცია 02; სერია 08190, ობლიგაცია 16; სერია 60045, ობლიგაცია 14; სერია 61786, ობლიგაცია 20; სერია 25554, ობლიგაცია 21; სერია 60162, ობლიგაცია 22; სერია 72555, ობლიგაცია 07; სერია 16546, ობლიგაცია 09; სერია 08827, ობლიგაცია 04; სერია 77227, ობლიგაცია 11; სერია 04913, ობლიგაცია 16; სერია 50737, ობლიგაცია 19; სერია 15598, ობლიგაცია 21.

ბაქო, 23 დეკემბერი. 22 დეკემბერს საღამოთი თურქული კულტურის სახლში, უამრავი ხალხის თანდასწრებით მოხდა ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მეხუთე ტირაჟის ხელმძღვანელი კომისიის უკანასკნელი სხდომა. შესვენებების დროს გამოვიდნენ კასპიის ზღვის წყლის მუშაკთა და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა წარმომადგენელნი, რომელთაც ერთხმად მოითხოვეს, რომ მთავრობამ ინდუსტრიალიზაციის მეოთხე სესხი გამოსცეს. სომხეთის დელეგატმა განაცხადა, რომ რესპუბლიკის მშრომელმა გლეხობამ მესამე სესხზე უკვე მოაწერა ხელი 800.000 მანეთის რაოდენობით და დეკემბრის განმავლობაში გვპირდება მთელი საკონტროლო ციფრის დაფარვას. აფხაზეთის წარმომადგენელმა ბაქოს მუშებს გაიწვია შეჯიბრებაში ობლიგაციების შესანარჩუნებლად.

უკანასკნელ სხდომაზე უპროცენტო სესხის ათას მანეთიანი მოგება ხვდა შემდეგ ობლიგაციებს: სერია № 15.594, № 20; სერია 30139 № 21; სერია 41149, № 12; სერია 56974 — № 03; სერია 40.736, № 22; სერია 27.464, — № 21; სერია 71393, № 22; სერია 58760 — № 05; სერია 20776, № 12; სერია 60303 № 17; სერია 59533 № 10; სერია 13268 № 07; სერია 26172, № 14. 500 მანეთიანი მოგება ჰხვდა ობლიგაციას № 20, სერია 60.241.

ტირაჟის დამთავრების შემდეგ სხდომის დახურვის წინ მოხდა ათი პირველი 100 და 250 მანეთიანი მოგების საჯარო გაცემა. მშრომელთა უმრავლესობამ, რომელთაც მოგება მიიღეს, იქვე შეიძინეს მესამე სესხის ობლიგაციები (ადს).

მხატვრული მწერლობის რეკონსტრუქციის საკითხები

(საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გამგეობის მესამე გაფართოებული პლენუმის ძირითადი შედეგები)

რეკონსტრუქციის პერიოდი იწვევს ძირიფად ცვლილებებს ყველა სფეროებში. კლასიური ბრძოლის გამწვავება, როგორც საერთოდ, ისე იდეოლოგიურ ფრონტზედაც მძაფრად იჩენს თავს. იდეოლოგიური ფრონტის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნაწილი—მხატვრული მწერლობა,—გამოხატავს კლასიური ბრძოლის ყველა მხარეებს. ანტი-პროლეტარული ფენები, განსაკუთრებით დღეს, იდეოლოგიის სფეროში სცდილობენ თავის რეაქციონურ პოზიციების გამაგრებას. მწერლობის სხვადასხვა რაზმები, საზოგადოების სათანადო ფენების განწყობილებების და იმედების სახეს იძლევიან. ქართული მწერლობის სინამდვილე. სავსებით ამჟღავნებს იდეოლოგიურ ფრონტზე ბრძოლის გამწვავებას.

უკანასკნელ წლებში, მწერლობაში ძალზე თვალსაჩინო გადაჯგუფება მოხდა. წამოიჭრა ახალი საკითხები. შეიცვალა მწერლობის სხვადასხვა რაზმების განწყობილებანი და პოზიციები. მეტი სისასტიკით, სიმკვეთრით და შედარებით მეტი გარკვეულობით ჩამოყალიბდა სხვადასხვა ფენების სოციალურ-იდეოლოგიური სახე და ბოლოს შეიცვალა, გამრავალფეროვანდა და გაღრმავდა მწერლობის ამოცანები.

რეკონსტრუქციის პერიოდი ახალ მოთხოვნილებებს უყენებს მწერლობას.

მწერლობას ეს ახალი მდგომარეობა, თავის მხრივ აუცილებლად ხდის პარტიის სახელოვნო პოლიტიკის შეფარდებას ახალ მდგომარეობასთან, ახალ პირობებთან. პარტიის საკავშირო ცეკას 1925 წლის ცნობილი რეზოლიუციის ძირითადი დებულებანი ცხოვრების მიერ სავსებით გამართლებული აღმოჩნდა. მათი ზუსტი სისწორე დამტკიცდა მთელი რიგი წლების განმავლობაში. ეხლა პარტიის სადირექტივო დოკუმენტი—მხატვრულ მწერლობის ახალ მდგომარეობასთან შეფარდებით,—სათანადო შეცვლას ითხოვს. საჭირო ხდება ახალი რეზოლიუციის გამომუშავება, რისთვისაც მაქსიმალური სისწორით აღნუსხულ უნდა იქნეს მწერლობის თავისებურებანი რეკონსტრუქციის პერიოდში.

ამ მხრივ სანიმუშო იყო ეხლა-ხან ჩატარებული საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გამგეობის მესამე გაფართოებული პლენუმი. ქართული მწერლობის ძალთა დანაწილება, სხვადასხვა ფენების განწყობილებანი, თანამგზავრობის საკითხი, პროლეტარულ მწერლობის დღევანდელი მდგომარეობა, —ყოველმხრივათ გამომჟღავნდა და გაშუქდა პროლეტარულ მწერლობის პლენუმზე. პლენუმმა კონკრეტულად გაარკვია მუშაობის მეთოდების შეცვლის აუცილებლობა. ახალი მეთოდების გამომუშავების საჭიროება. მან ჯამი გაუკეთა პროლეტ. მწერლობის ასოციაციის მთელი წლის მოქმედებას. დაამუშავა პროლეტარულ მწერლობის საკითხები, გაარკვია მისი ამოცანები რეკონსტრუქციის პერიოდში.

პლენუმმა სავსებით დაადასტურა და შეაჯამა ასოციაციის ხელმძღვანელობის სასტიკი ბრძოლა რეაქციონურ-მემარჯვენე მწერლობის წინააღმდეგ. პლენუმმა მთელი თავისი მუშაობით, მწერლობის სხვადასხვა ფენების წარმომადგენელთა გამოსვლების გარკვევით, ხაზი გაუსვა გაზეთ „5 მაისის" მოწინავეში მოცემულ ქართული მწერლობის შეფასებას, როგორც სავსებით სამართლიანს და სწორს ებლანდელი მდგომარეობისათვისაც.

მწერლობის უკანასკნელი წელი ხასიათდება ძირითადი პროცესების ჩამოყალიბებით. მემარჯვენე მწერლები უფრო აქტიური შეიქნენ. პროლეტარული მწერლობა გაიზარდა და ყოველმხრივ დაუპირდაპირდა მემარჯვენე ფრთას. რთულ მოვლენებს ჰქონდა ადგილი თანამგზავრობაში. მათი ნაწილი აშკარად გამემარჯვენდა, მნიშვნელოვანი ნაწილი კი გადამუშავდა რევოლიუციის მიმართულებით.

თანამედროვეობასთან აქტიურად დაპირდაპირებული მემარჯვენე მწერლობა არ არის ერთსახოვანი. მის წარმომადგენელთა უმთავრესი ნაწილი დღეს სცდილობს გამოიყენოს საფარად „სმენავეხოველობა", რაც გარკვეულად რეაქციონური ხასიათისაა. ზოგი მათგანი გამოდის რა „ეროვნულ მთლიანობის" პრინციპიდან, სცდილობს დაამტკიცოს, რომ კლასიური დანაწილება თანამედროვე საზოგადოებაში უკვე აღარ არის; რომ ყველა ე. ი. ისინიც და ჩვენც ვმუშაობთ „მშრომელი ხალხის" საკეთილდღეოდ. ეს სასაცილო გულუბრყვილობა, ფაქტიურად მიზნად ისახავს საბჭოთა საზოგადოებრივობის მამოძრავებელ ძალების თვალის ახვევას. მოტყუების ასეთი კურიოზული ცდას. მხოლოდ ვულგარული თავხედობა უნდა უწოდოთ. მაშინ როდესაც კლასიური ბრძოლა გამწვავების უმაღლეს წერტილს აღწევს, როდესაც სოფლად და ქალაქად, გაძლიერებული სოციალისტური შეტევას საპასუხოდ, გაბოროტებული ბურჟუაზია კონტრ. ზომებს მიმართავს—მაშინ ამავე ბურჟუაზიის იდეოლოგიური აგენტები მწერლობაში სცდილობენ დაგვარწმუნონ, რომ დღეს არავითარი კლასიური ბრძოლა არ არის და ყველანი ერთი მიზნებისათვის მომუშავენი ვართ. ამ მხრივ ფრიად დამახასიათებელი იყო კ. გამსახურდიას მხიარული გამოსვლა პლენუმზე.

„ჩოხოსანთა" ორდენის უკანასკნელ ჭირისუფალს, თავის გასაწყლებით და გაუბრალოებით უნდოდა რეაქციონური „სმენავეხოველობის" დაკანონება. ის გამოვიდა თავის გმირებისათვის „პასპორტის" ასაღებათ. აქ საინტერესოა არა მისი მჩატე, უბადრუკი და ერთის მხრივ უმეცრების და მეორეს მხრივ, ვიწრო ყალთაბანდობის დამადასტურებელი არგუმენტები, არამედ ის თუ რა მიზნის მიღწევას სცდილობდა ამით. ძაღლების, მიმინოების, სამრეკლოების და მეფეების მწერლებმა, ლიტონი განცხადებითაც კი ხაზი გაუსვა თავის სიყვარულს არქაიულ და ფეოდალურ თემატიკისადმი; შეეცადა დაემტკიცებია, რომ ამ გარემოებას ფეოდალურ იდეოლოგიასთან არავითარი კავშირი არა აქვსო; ერთი სიტყვით გამოდიოდა ის, რომ ძაღლების, მიმინოების, „ჩოხის" იდეოლოგია, ეს ზოგად- ადამიანური იდეოლოგიაა. კ. გამსახურდია ამტკიცებდა, რომ მას წისქვილი ჰქონდა, რომელიც დღეს წართმეული აქვს, და მაშასადამე ამით ფეოდალობასთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა; გამოდის რომ ვითომცდა მთლიანად მისი კლასი უკვე აღარ არსებობს, რადგან: „საქართველოში ყვითლოფერი წაართვით თავად-აზნაურობას. ის არის ეხლა საცოდავი ჩამოცვეთილი წოდება"-ო... შემდეგ გადადის ბურჟუაზიაზე. „ეხლა ბურჟუაზიის შესახებ. ჩვენ სად გვყავს ბურჟუაზია ერთ-ნახევარი სპეკულიანტი თუ ბურჟუა იყო. თქვენ აიღეთ მათი ქონება. ზოგი მუშათა სასახლეთ გავხადეთ, ზოგი ხელოვნების სასახლეთ. მათი ნაწილი სამარეში არის, ნაწილი გაიქცა აქედან. ვის უნდა ვიცავდეთ ჩვენ, ან სად ხედავთ ამ დაცვას". (პლენუმის სტენოგრაფიულ ანგარიშიდან).

აი ასეთი კურიოზული, უმეცარი და თავხედური არგუმენტებით სცდილობს დღეს ფეოდალების და ბურჟუაზიის იდეოლოგია, დაფაროს თავისი ანტი-რევოლიუციონური ბუნება, მოღვაწეობა. მას—თავისდასაუბედუროთ ავიწყდება, რომ დღეს ოქტომბრელსაც კი ვერ დააჯერებს იმაში, რომ, რადგანაც ფეოდალებს და ბურჟუებს მატერიალური დოვლათი, სასახლეები და ხელისუფლება წართმეული აქვთ, ამით ისინი უკვე სავსებით, როგორც კლასი, განადგურებული არიან და მით უმეტეს აღმოფხვრილია მათი იდეოლოგია, —რომელთანაც, როგორც არ არსებულთან, ბრძოლა ვითომც და საჭირო აღარ იყოს; და ასეთი ლაპარაკი სწარმოებს მაშინ, როდესაც რეკონსტრუქციის პერიოდში კლასიური ბრძოლა გამწვავების უმაღლეს წერტილს აღწევს.

რეაქციონერი მწერალი თავის მუშაობის თეორიული დასაბუთებასაც კი იწყებს. კ. გამსახურდიამ სიტყვა-სიტყვით განაცხადა შემდეგი: „ყოველი მწერალი გამოსთქვამს გარდაცვლილი თაობის ტკივილებს. ეს არის უტყუარის დებულება"-ო.

კლასიური მტერის ასეთი აშკარა და დასრულებული პროგრამით გამოსვლის შემდეგ, ერთხელ კიდევ ნათელი ხდება დღევანდელი „სმენავეხოველობის", მათი „საბჭოთა პლატფორმების" რეაქციონურობა. ამ შემთხვევაში არ არის საჭირო, დიდი ანალიზი, არამედ აუცილებელია სასტიკი და შეუბრალებელი ბრძოლის გაღრმავება.

პლენუმზე მემარჯვენე ფრთამ მიიღო საკადრისი პასუხი პროლეტარულ მწერლობისაგან. საჭიროა ამ ბრძოლის იმავე სისასტიკით გაგრძელება. აუცილებელია ასეთ ხალხს თავი დაანებებინოთ წითელი დროშაზე გარეგნულ ფიცს, ხელებზე დაკვრათ იმ რედაქტორებს, ვინც გულუბრყვილობას იჩენს და „ვიზა"-ს აძლევს ასეთ „გარდაცვლილ თაობათა" მოციქულებს. საჭიროა წესრიგისაკენ მოუწოდოთ მათ, ვინაც კ. გამსახურდიას „ზაგეხებს" ბეჭდავს და ასეთ ნაწარმოებებს თანამგზავრულ მწერლობათ აცხადებს.

ამით რეაქციონერი მწერალი საბჭოთა „პასპორტს" ეძებს, მისი მიღება უნდა. გამსახურდია როგორც ამ ლექსით ისე სიტყვების შესავლითაც, აცხადებს რომ ვითომცდა მან საბჭოთა ორიენტაცია ჰქონდეს, მაგრამ ეს, მას არ უშლის ხელს თავის კლასისათვის სასარგებლო საქმეების კეთებას. ასეთი „პასპორტის" მაძიებელი არა მარტო ეს აშკარად რეაქციონერი მწერალია, არამედ მთელი რიგი პატარა თუ დიდი მწერლებისა.

ამ აქტიურ მემარჯვენე მწერლობის გვერდით არსებობს ჭაობის მწერლობა, ობივატელობის სულისკვეთების გამომხატველი, ასეთი მწერლებისათვის მთავარია მყუდროდ „ცხოვრება. ავიღოთ პოეტი აბაშელის ერთი ლექსი, სადაც ასეთი „მყუდროების" პროგრამაა მოცემული:

„მე ვფიქრობ ეხლა არ დავეძებ დიდრონ საქმეებს,
იქნება სჯობდეს ჩამოვწიო ქუდი ყურებზე
ხანდახან ჩუმად ნაკვერჩხალზე დავყრი საკმეველს,
რომ ვიოცნებო ზღაპრულ კოშკის საფეხურებზე.
რა საჭიროა გადავაკვდე ურჩ მოკამათეს
მჭამოს ათასმა თეორიამ და დებულებამ,
როცა მზე ჩემთვის მხოლოდ ერთი წუთით ანათებს,
და სხვა სიცოცხლე მიწის გარეთ არ მეგულება.
რად ჩავიმწარო დარჩენილი წელი ორიოდ
ვიდრე მიხმობდეს ცხონებული ჩემი ბებია.
ოთხმოცი წელი გაატარა უთეორიოდ,
და მისი ბედი, ვიტყვი, ბევრჯერ შემხარბებია".

როგორც ამ ლექსიდან ჩანს არის მწერლები, რომლებიც დღეს (ეს ლექსი დაწერილია 1929 წელში), რევოლიუციონურ ენტუზიაზმის ხანაში, 80 წლის ბებიათა ბედს შენატრიან.

ამასთან ერთად, განსაკუთრებით უკანასკნელ წელს, გაძლიერდა ეგრედწოდებული მიტმასნების ტალღა, „წითელი ხალტურა", გამრავლდა „მრავალ-ჟამიერის" პოეტები, რომელთაც რევოლიუცია გაშლილი სუფრა ჰგონიათ. ფიცულობენ წითელ დროშას, საბჭოებს და სხვ. უკიდურეს მემარჯვენეებსა და ამ წვრილ-ბურჟუაზიულ „ხალტურჩიკებს" შორის არც ისეთი დიდი განსხვავებაა. აქ საჭიროა მეტი კლასიური სიფრთხილე და ალღო და არა გულუბრყვილობის გამომჟღავნება. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ზემოხსენებული „მიტმასნებისა" და „მშვიდი ცხოვრების" მეთოდები. პლენუმზე მოყვანილ იქნა ერთი ფრიად დამახასიათებელი ისტორიული მაგალითი ყინულ-მჭრელი „კრასინი"-ს შესახებ. ბურჟუაზიული გერმანიის გემი „მონტესარვანტესი" ჩრდილოეთ-ყინულოვან ზღვაში იღუპებოდა. ამ დროს გამოჩნდა საბჭოთა გმირული ყინულის-მჭრელი „კრასინი". „მონტესერვანტესის" დაღუპვის შიშით სასოწარკვეთილმა, ბაქანზე გამოფენილმა, ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ, დაინახა რა ერთად-ერთი მხსნელი საბჭოთა გემი. საჩქაროდ გადმოკიდა წითელი დროშა და ინტერნაციონალის მღერა დაიწყო. ყველასათვის ცხადია, თუ რამ გადმოაკიდია წითელი დროშა ამ დამფრთხალ ბურჟუებს და რამ ამღერა მათ ინტერნაციონალი. ჩვენი მწერლობის ერთი ნაწილის საბჭოთა პასპორტის ძიების განწყობილებანი, საბჭოებისადმი ფიცი ძალზე წააგავს ამ გემის „დროშას" და „ინტერნაციონალს". ეს ცხადია არ შეეხება გულწრფელ და პატიოსან მომუშავეთა, საბჭოთა მწერლობის ფენას.

ამ ახლო-ხანში გამოსული ა. აბაშელის წიგნი „გაბზარული სარკე" გამოირჩევა თავის მემარჯვენეობით და რეაქციონური განწყობილებებით, მაგრამ „დროშები" მასზედაც არის გადმოკიდებული. წიგნის უკანასკნელი სტრიქონები ბოლოვდება ორჭოფული, სათუო დაპირებებით.

„მოხსენი თვალებს სარკე ცივი და გაბზარული,
რომ დაინახო კლდე და ველი გადასაფრენი,
და სთქვი სიმღერა ეპოქისათვის თანამგზავრული".

თავის-თავისადმი ასეთი მიმართვით იქმნება შთაბეჭდილება, რომ პოეტი საბჭოთა შეგნებით იმსჭვალება. მაგრამ იმავე გვერდზე, იმავე წელს (1929) დაწერილ ლექსში ჩვენ ვხედავთ ნამდვილ აბაშელს, სადაც ის უკვე მიმართავს თავის თვალებს (გაბზარული სარკე):

„...გუშინ მქონდა აღბეჭდილი ერთხელ ნანახი,
წითელი დროშის უეცარი აფრიალება"
ხაზი ჩვენია ბ. ბ.).
მაგრამ როდესაც რკინის რაშმა სივრცე დალეწა,
თქვენ ნახეთ ერთად თავგანწირვაც და სიმხთალეცა"..

ამ სტრიქონებს დიდი განმარტება არ სჭირდება. „უეცრად აფრიალდა" წვრილ-ბურჟუაზიის-მენშევიზმის ყვითელი დროშა, რომელიც „გაბზარული სარკის" პატრონს წითლად ეჩვენება და შემდეგ „რკინის რაშმა", ე. ი. პროლეტარულმა რევოლ. „სივრცე დალეწა" და ამ სივრცეში ცხადია წალეკა ყველა ის საუნჯენი, რომელზედაც ლოცულობს პოეტი. ეს არის ნამდვილი იდეოლოგია აბაშელის და თანამგზავრობაზე სხვადასხვა დროს ლაპარაკი, „ცივი და გაბზარული" სარკის შენარჩუნების მიზნითაა გამოწვეული. ვის არ ახსოვს „არიფიონი"-ს „ინტერნაციონალის" სიმღერა მოწინავე დეკლარაციაში და აქტიურად კი კულაკური იდეოლოგია? ამგვარ ხალხზე, მოსკოვში ეხლახან გამოსულ ერთ-ერთ კრებულში მეტად მახვილი ეპიგრამაა მოთავსებული. სწერენ ამ უკანასკნელ ხანებში რეაქციონურ მოღვაწეობით სახელგანთქმულ პილნიაკზე:

Мудро лукавствует,
Пакостный, злой.
Кричит:
«Да здравствует»
Пишет:
«Долой».

მიხ. ჯავახიშვილი, აღნიშნავს რა დღეს ქართული მწერლობის კრიზისს, აცხადებს რომ „ფორმალურად (?) ეს კრიზისი მაშინ დაიწყო, როცა გამოგვიცხადეს, რომ ქართველი მწერალი ან პროლეტარიატის პროპაგანდისტათ უნდა გადაიქცეს ან კალამი უნდა გააგდოსო"... ამას ლაპარაკობს ისეთი ადამიანი, რომელიც, როგორც მწერალი, ცნობილია მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს. პროლეტარიატის პროპაგანდაზე ლაპარაკობს ის კაცი, რომელსაც რევოლიუციონურ სინამდვილეში ჩვენი გამომცემლობის საშუალებით, ყოფილი ადამიანების, „ნაკაცარების", თავად-აზნაურობის, კულაკების, ნაძირალების პროპაგანდისტობის მეტი არაფერი არ გაუკეთებია. ამის შემდეგ ლოიალური ლაპარაკი შემოქმედებითი პლატფორმის საკითხებზე და ფიცი პოლიტიკურ ერთგულებაში არის, თვალის ახვევის უბადრუკი ცდა, გარდაცვლილ თაობათა „აგიტპროპებმა" გააზიარეს ლაპარაკი „დისტანციების" შესახებ. ისინი გულმოდგინეთ ამტკიცებენ,—თანამედროვეობის ათვისება არ შეიძლება იმიტომ, რომ მწერალმა რაიმე დასწეროს, შორს უნდა იდგეს იმ დროსაგან, რომელზედაც სწერსო. კი მაგრამ, თუ მაგალითად ჯავახიშვილს—რევოლიუციის, მუშის, ღარიბი გლეხის, კოლექტივის, კომუნისტის დანახვისათვის სჭირდება დრო, მაშინ როგორ ხედავს იგი ამავე ღარიბი გლეხის, მუშის, კომუნისტის, კოლექტივის გვერდით მყოფთ და ამავე დროში მომქმედ — თავადს, კულაკს, კერძო მესაკუთრეს; **მაშასადამე აქ საქმე დროში, „დისტანციებში" კი არ ყოფილა, არამედ თვალსაზრისში, იდეოლოგიაში, კლასიურ ინტერესებში.** მომაკვდავი კლასების იდეოლოგები, თავის კლასის წარმომადგენლებს ყოველი მხრივ თავიანთი ინტერესების თვალსაზრისით გვიხატავენ და ჩვენს მშენებლობას კი ამახინჯებენ, ან სულ არ უნდათ დაინახონ ის.

ლ. ქიაჩელს, რომელსაც თანამგზავრულ მწერლის პრეტენზიები აქვს, ყოვლად დაუშვებლად მიაჩნია თანამედროვეობის შემოქმედებითი ათვისების მოთხოვა თანამგზავრებისაგან. მას თანამგზავრობა შესაძლებლად მიაჩნია მაშინაც თუ მწერალი სწერს მეჩვიდმეტე საუკუნეზე და ამ შემთხვევაშიაც ივიწყებს ჩვენი კლასიური მსოფლმხედველობის მნიშვნელობას. „დისტანციების" თეორიას—(რომელიც საბოლოო ანგარიშში ეგრედწოდებული „ეროვნული მთლიანობის" ლოზუნგის გამართლების ცდას ნიშნავს) ასე შორს მიჰყავს ეს მწერლები. ლ. ქიაჩელმა უკვე მოითხოვა თვით პროლეტარული მწერლობის ძირითადი პრინციპების რევიზია და გვირჩია შეგვეცვალა ჩვენი დამოკიდებულება ქართული მწერლობის ტრადიციებისადმი. მისი აზრით პროლეტარულმა მწერლობამ უნდა გადასინჯოს თავის „უარყოფის ტენდენციები და გაეროვნდეს". პროლეტარული მწერლობა „თითონ უნდა გახდეს ეროვნულ მწერლობათ, სხვანაირი პერსპექტივა ამ მწერლობის მე ვერ წარმომიდგენია"-ო. ეს ძველი სიმღერაა, ნაციონალიზმის შხამით გამოხრული ქართული მწერლობისა.

„ქართული მწერლობასა" და პროლეტარული მწერლობას შორის ქიაჩელის მიერ მომრიგებელ შუამავლის როლში გამოსვლა ამაო და დონ-კიხოტური ცდაა. პლენუმმა ქიაჩელის მოციქულობა არამც თუ მიიღო, არამედ ის უკან დააბრუნა ფრიად გაწბილებული. მოციქულს დაავალეს, მოახსენოს მის ეგრედწოდებულ „ქართულ მწერლობას", რომ რევოლიუციამ ერთხელ და საბოლოოდ დაანგრია მამა-შვილური მთლიანობა ქართულ მწერლობაში, განადგურა „ოჯახური იდილია", რომ ყოველგვარი ცდა რეაქციონური იდეებით გამსჭვალულ ნაციონალისტურ მწერლობისა რათა მოაშინაურონ და თავის შემავალ ნაკადათ გაიხადონ პროლეტარული მწერლობა—რომ ასეთი ცდა მიიღებს სასტიკ პასუხს, ასეთი ცდების დროს რეაქციონური საქართველოს მოციქულებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდებათ.

(დასასრული იქნება)

ბ. ბუაჩიძე.

ქრონიკა

ქალაქის რაიონის უღმერთო ქალების 1-ლი კონფერენცია

21 დეკემბერს, მუშათა ახალ კლუბის დარბაზში გაიხსნა ქალაქის რაიონის უღმერთო ქალების პირველი კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 500-დე ქალი.

კონფერენციაზე დამსწრე ქალების თხოვნის თანახმად ამხ. ს. თოდრიამ გააცნო მათ თავისი მოგონებები ამხ. სტალინის რევოლუციონური მოღვაწეობის შესახებ. კონფერენციამ მიიღო წინადადება უღმერთო ქალების სახელით მისასალმებელი დეპეშის გაგზავნის შესახებ ამხ. სტალინისათვის.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე ანტირელიგიური პროპაგანდის ამოცანების შესახებ—მოსმენილი იქნა საქ. განსახკომის მოადგილის ამხ. მარ. ორახელაშვილის ვრცელი მოხსენება.

შემდეგ კონფერენციამ მოისმინა უღმერთოთა რაიონულ საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ბოკერიას მოხსენება ქალთა შორის ანტირელიგიური მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა უმთავრესად იმ გარემოებას, რომ ქალები ნაკლებად არიან ჩაბმული უღმერთოთა კავშირის რიგებში. მან საჭიროდ სცნო ყოველ წარმოებასთან შეიქმნას უღმერთო ქალთა ცალკე უჯრედები.

მოხსენებების ირგვლივ მოკლე სიტყვებით გამოვიდნენ მუშა-ქალები, რომლებიც ჰგმობდნენ რელიგიას და იძლეოდნენ პირობას, რომ 25 დეკემბერს გადაქცევენ ინდუსტრიალიზაციის [illegible] დღეთ.

კამათის დამთავრების შემდეგ კონფერენციამ მიიღო პრაქტიკული წინადადებები ანტირელიგიური მუშაობის გასაჩაღებლად ქალთა შორის.

ხელოვნების მუშაკები ფაბრიკა-ქარხნებში

ხელოვნების მუშაკთა კავშირის ინიციატივით, 25 დეკემბერს თბილისის ყველა ფაბრიკა-ქარხნებში და წარმოებებში ეწყობა ხელოვნების მუშაკების გამოსვლები. შუადღის შესვენების დროს ფაბრიკა-ქარხნების მუშებისათვის მოეწყობა უფასო კონცერტები საესტრადო ნომრებით და დეკლამაციით. მსახიობების თვითეული ჯგუფი მიმაგრებული იქნება რამოდენიმე ფაბრიკა-ქარხანაზე. ფაბრიკებში მსახიობების გასვლას უხელმძღვანელებს პროფსაბჭოს კულტგანყოფილება.

დანიშვნა

ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით, ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშნულია ამხ. ვლადიმერ ივანეს ძე პარუშინი.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ გამოცემულ დეკრეტის 10 წლის თავი

26 დეკემბერს 10 წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც გამოიცა დეკრეტი წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ.

ამ დღესთან დაკავშირებით პროფკავშირთა კულტგანყოფილებამ გადასწყვიტა მოახდინოს წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის შემოწმება. შემოწმების ჩასატარებლად გამოყოფილია მუშათა ბრიგადები.

ახალ მიწებზე მოწყობა

1929—30 წელში ამიერ-კავკასიაში ახალი არხების საშუალებით მოირწყვება 35.650 ჰექტარი მიწა.

ახალ მიწებზე დასახლებული იქნებიან უმიწაწყლო ულარიბესი გლეხები.

უმიწაწყლო და მცირემიწის მქონე გლეხების ახალ მიწებზე დასასახლებლად საქართველოში დაიხარჯება 414.370 მანეთი.

აქედან გადასახლებულთა სახლების ასაგებათ და სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შესაძენად გადადებულია 192.000 მანეთი, სასმელ წყლის გასაყვანად—30.090 მ.

სატრაქტორო კურსები

ტრაქტორზე მომუშავეთა მოსამზადებლად გაიხსნა სპეციალური კურსები, რომელსაც პრაქტიკული მუშაობისათვის გადაეცა 11 ტრაქტორი.

ტრაქტორზე მეცადინეობის დასრულების შემდეგ, ტრაქტორები გადაეგზავნებათ რაიონებს.

განუწყვეტელი კვირა სკოლებში

განათლების კომისარიატის კოლეგიამ ბავშთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, თავის უკანასკნელ სხდომაზე მიზანშეწონილად სცნო ოთხწლიან შრომის სკოლების გადაყვანა განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე.

კოლეგიამ დაადგინა ოთხწლიანი შრომის სკოლები გადაყვანილ იქნენ 5 დღიან სამუშაო კვირაზე იმ ვარაუდით, რომ მეხუთე დღეს ყველა ჯგუფმა ერთად დაისვენოს.

ჟურ. „ახალი სკოლისაკენ"

ჟურ. „ახალი სკოლისაკენ" რედაქტორად დაინიშნა ამხ. მარიამ ორახელაშვილი.

„განათლების სახ. კომისარიატის უწყება"

განათლების სახ. კომისარიატმა დაადგინა გამოსცეს ათდღიური ჟურნალი „განათლების სახ. კომისარიატის უწყება", რომლის რედაქტორად დაინიშნა ამხ. პ. მეგრელიშვილი.

სახ. განათლების მუშაკთა პირველი რესპუბლიკანური ყრილობა

განათლების კომისარიატმა დაადგინა, 1930 წლის 25 თებერვლისათვის მოიწვიოს სახ. განათლების მუშაკთა პირველი რესპუბლიკანური ყრილობა.

ყრილობა განიხილავს შემდეგ საკითხებს: 1) მთავრობის მოხსენება, 2) კულტურულ მშენებლობის 5 წლიანი გეგმა, 3) 1929—30 წლის ბიუჯეტის შესრულება და 30—31 წლის ბიუჯეტი. 4) საყოველთაო-სავალდებულო სწავლება, 5) კადრების მომზადება და სხ.

სახ. მუზეუმი

გადაწყდა დაჩქარდეს სახ. მუზეუმის მოწყობა იმ ვარაუდით, რომ მისი გახსნა შესაძლებელი იქნეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 9 წლის თავზე—1930 წ. 25 თებერვალს.

კოლმეურნეობის მშენებლობის ტეხნიკუმი

25 დეკემბრიდან თბილისში იხსნება კოლმეურნეობის მშენებლობის ტეხნიკუმი.

ტეხნიკუმი იქნება 3 ნახ. წლის კურსით. სწავლა იწარმოებს ქართულ ენაზე.

ტეხნიკუმი მოთავსებულია მე-15 შრ. სკოლაში (პეტრიაშვილის ქ. № 3).

საგამოცდო სესიები სახ. უნივერსიტეტში

სახ. უნივერსიტეტის გამგეობის დადგენილებით, 1930 წლის პირველ იანვრიდან შეწყდება ლექციების კითხვა და ამავე დღიდან დაიწყება საგამოცდო სესიები ყველა ფაკულტეტზე.

საგამოცდო სესიები გაგრძელდება 1930 წლის პირველ თებერვლამდე.

სხვადასხვა

◆ **დღეს, 24 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე** სამეც. აგრ. წრის ზოოტეხნიკურ სექციაში მოხსენებას აკეთებს შ. ბზულაძე შემდეგ თემაზე: „მეცხვარეობა საქართველოში და მისი განვითარების გზები". მოხსენების გარშემო გაიმართება კამათი.

◆ **განათლების მუშაკთა სახლში.** სამშაბათს, 24 დეკემბერს საღ. 8 საათზე ნაჩვენები იქნება ანტირელიგიური სურათი, ოთხშაბათს, 25 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე შესდგება მ. გოგუაძის მოხსენება: „ანტირელიგიური აღზრდის მნიშვნელობა და მისი დაყენება სკოლაში".

◆ **ქუთაისის ოლქში მომუშავე დამცველთა** კოლეგიის წევრთა წმენდა დაიწყება დღეს 24 დეკემბერს.

◆ **ახალი წიგნი.** გამოვიდა ამხ. ბ. ბუაჩიძის ახალი წიგნი (რუსულ ენაზე) „თანამედროვე ქართული მწერლობის გზები", ფასი—1 მ. 50 კაპ. გვ. 150, გამოცემა „ზაკკნიგა"-სი.

—:—

ჟურ. „დროშა" № 23

გამოვიდა ჟურ. „დროშა" № 23. შინაარსი: **ფართო—ეგნატე ნინოშვილი; ნარკანი-კურდღელაშვილი**—ჩემი შეხვედრა ე. ნინოშვილთან; **დ. კ—ძინოშვილი** (ფრაგმენტი); **რადისტი**—ფართე გზა რადიოს; **ევ. წულაძე**—მრისხანე გაფრთხილება იმპერიალისტებს; **ნ. რ—ძე** — განხორციელებული ფანტაზია; **მ—ლი**—აფხაზეთი იზრდება; **ე. ხუციშვილი**—თბილისის ისტორია; **ბ. გ.**—კლუბის თეატრებში; **დ. ლომთაძე**—ფოლადის სამეთოს წითელ ჯარისკაცებში; **ელ. შმერლინგი**—ბათომი—სამრეწველო ქალაქი; უცხოეთის ქრონიკა; ჟურნალში მოთავსებულია 60-ზე სურათი.

სასამართლო

უზენაეს სასამართლოს სესია ახალციხის მაზრაში

4 იანვარს ახალციხის მაზრაში მიემგზავრება საქართველოს უზენაეს სასამართლოს სესია ამხ. როდონაიას თავმჯდომარეობით.

სესია გაარჩევს 8 საქმეს. საქმეების მეტი ნაწილი შეეხება ბანდიტიზმს და კონტრაბანდას.

—:—

სოციალურად საშიში ელემენტი

ვანის უბნის სახალხო სასამართლომ ამხ. **ნემსიწვერიძის** თავმჯდომარეობით საჯაროდ გაასამართლა ამაღლების თემის მცხოვრები ქურდ-ბაცაცა, მშვიდობიან მცხოვრებლების ამწიოკებელი **შალიკო ტყეშელაშვილი.**

ტყეშელაშვილი ერთი უსაქმური, ბანქოს მოთამაშე, თავხედი და უზნეო პიროვნება იყო. ბოლო ხანებში, როცა ბანქოდან შემოსავალი შეუმცირდა ტყეშელაშვილმა ქურდობას მიჰყო ხელი. ადგილობრივი გლეხობა ზიზღის თვალით უყურებდა ტყეშელაშვილს. ყველას დაეკარგა მისი გამოსწორების იმედი.

ა.-წ. ივნისში შალიკო ტყეშელაშვილმა ჩაიდინა საზიზღარი მკვლელობა, რომელმაც აღაშფოთა მთელი გლეხობა. შალიკო ტყეშელაშვილმა გაიტყუა მიყრუებულ ადგილას გლეხი **ალფეზ ტყეშელაშვილი** და დანით დაჩხა.

ალფეზ ტყეშელაშვილი რამდენიმე ხნის შემდეგ ნახეს მოკლული. მას მიყენებული ჰქონდა 25 ჭრილობა. შალიკო ტყეშელაშვილმა მკვლელობა ჩაიდინა შურისძიების ნიადაგზე.

ტყეშელაშვილს, როგორც სოციალურად საშიშ ელემენტს მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით, სამოქალაქო უფლებების აყრა 5 წლის ვადით და სასჯელის მოხდის შემდეგ გადასახლება საქართველოს ფარგლებიდან.

—:—

ზნედაცემული „იურისტი"

ჩვენი გაზეთის 120 ნომერში მკითხველები გაეცნობოდნენ იმ საზიზღრობას, რომელიც ჩაიდინა ს. სხვავას (ქუთაისის ოლქი) მცხოვრებმა, დამცველთა კოლეგიის ყოფილმა წევრმა **ივანე სიმონის ძე ბაქრაძემ.**

ა.-წ. მაისის 26 დაინახა მინდორში გლეხის მცირეწლოვანი (9 წლის) ქალი, რომელიც წიგნს კითხულობდა და თან ცხვარს აძოვებდა. ბაქრაძემ დაიმარტოხელა ბავში და სცადა მისი გაუპატიურება. ბავშის წივილ-კივილი გაიგონა თემსაბჭოს თავმჯდომარემ ი. არჩვაძემ, რომელმაც ბავში გაანთავისუფლა და დააპატიმრებია ბაქრაძე.

ბაქრაძე გასამართლებულ იქნა ადგილობრივ, საჯაროდ. მას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით სასტიკი იზოლიაციით და სასჯელის მოხდის შემდეგ რაიონიდან გაძევება 3 წლის ვადით.

ზერ.

—:—

ინჟ. გაუსმანისა და შენგელიძის საქმე

ქუთაისი, 22 დეკემბერი. დასრულდა ბრალდებულთა—ინჟ. შენგელიძის, იურისკონსულტ **ნაზაროვის, ტეხნიკოს ფიზანის** და მოლარე **სიმონ ნიჟარაძის** დაკითხვა. არც ერთი მათგანი თავს არ სცნობს დამნაშავედ. ისინი ამავე დროს სცდილობენ გაამართლონ აგრეთვე თავიანთი უფროსი—მთავარი ბრალდებული ინჟ. **გაუსმანი.**

გაუსმანის მოადგილე ინჟ. **შენგელიძე** სცდილობდა დაემტკიცებია სასამართლოსათვის, რომ ის გაუსმანის მოადგილე იყო მხოლოდ ბარიტის ქარხნისა და აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკის მშენებლობაში და ისიც მხოლოდ და მხოლოდ ტეხნიკურ ნაწილში. ადმინისტრატიულ-სამეურნეო და ფინანსიურ საქმიანობაში კი არ ერეოდა.

სასამართლომ ერთმანეთს შეახვედრა **ნაზაროვი** და **შენგელიძე.** უკანასკნელი იძულებული ხდება აღიაროს, რომ გაუსმანის ხშირი მივლინებების დროს მის მაგიერობას ეწეოდა ყველა საქმეების შესრულებისა და აგრეთვე საფინანსო დარგშიც.

შემდეგ შენგელიძე მოუთხრობს სასამართლოს, თუ როგორ მუშაობდნენ მუშები—10—12 საათს დღეში და თვიურად 300—350 მანეთს აკეთებდნენ, ტაბელებში კი ინიშნებოდა მხოლოდ 8 საათის მუშაობა. პასუხისმგებლობას იმ ზიანისათვის, რომელიც მუშაობის ასეთმა წესმა მიაყენა სახელმწიფოს, შავგულიძე აკისრებს ცენტრს, რადგან უკანასკნელი, შავგულიძის სიტყვით, სხვადასხვა მითითებებს იძლეოდა.

ბრალდებული **ნაზაროვი, ყოფ. იურისკონსულტი** და ამავე დროს მატერიალური ნაწილის გამგე, არ უარჰყოფს თავის დანაშაულს რაც იმაში გამოიხატა, რომ თავისთვის და სხვა თანამშრომლებისათვის ბინის ქირას მივლინების დროს 5 მანეთის ნაცვლად 7 მანეთის რაოდენობით იწერდა.

სასამართლო შეუდგა მოწმეების დაკითხვას (ადს).

შემთხვევები

სიკვდილი ალკაგოლისაგან

გუშინწინ ღამის 12 საათზე პირველ სამილიციო უბანში დააპატიმრეს მთვრალი უცნობი პირი, რომელიც გამოსაფხიზლებლად მოათავსეს მილიციის საპატიმროში. უცნობი მოქალაქე დილის 5 საათზე გარდაიცვალა. საექიმო შემოწმებით გამოირკვა, რომ სიკვდილი გამოიწვია ალკაგოლმა.

შეპყრობა

დაპატიმრებულია იზრაილ ბერკისძე ციაკინი (მცხ. ბარონოვის ქ. № 23); სერგო ნიკოლოზის ძე დინკოვი (უბინაო) და ფ. ვ. ივანოვი, რომელთაც ბრალდებათ ქურდობა.

თავის მოწამვლა

გუშინ იოდით თავი მოიწამლა ოლღა ვლადიმერის ასულმა ოდმალაშვილმა (მცხ. გოგოლის ქუჩა № 48), რომელიც გადაარჩინეს.

მკვლელობა

მიშა ქურდაშვილმა (მცხ. სპარტაკის შეს. № 26) ნაგანის რევოლვერით მოჰკლა კარაპეტა სააკის ძე ალიხანოვი. მკვლელი მიიმალა. მკვლელობაში მონაწილე—მაქრო იოსების ძე ხუბაშვილი დაპატიმრებულია.

ჯაგრის ქურდები

დაპატიმრებულია ფილო ილარიონის ძე ჯავახიშვილი (მცხ. სომხეთის ქ. № 15), გოლა დავითის ძე ფრუიძე (მცხ. სომხეთის ქ. № 8) და კირილე ანდრიას ძე გამჯიაშვილი, რომლებმაც ქალაქის სასაკლაოდან მოიპარეს ჯაგარი.

ქურდობა

ევგენია პატარაძის ბინიდან (ალმასკომის ქ. № 8) მოიპარეს 200 მანეთის ნივთები,—გაქურდეს ველა ბზვანელის ბინა (გრიბოედოვის ქ. №13),—წაიღეს 300 მანეთის ნივთები,—მარიამ მაღრაძის ბინა (საბურთალო) გაქურდა მასთან სტუმრათ მისულმა აკაკი ზაქარიაშვილმა, რომელიც მიიმალა;—შალვა გრიგოლის ძე ჭუმბურიძეს ტრამვაის ვაგონში ჯიბიდან ამოაცალეს 200 მანეთი.

ხულიგანი

ქუჩაში დებოშის მოხდენისათვის დააპატიმრეს იზმაილ-გაჯიევი (მცხ. კომუნალური ქ. № 37).

დაჭრა

ვახტანგ გეგეჭკორმა (მცხ. მესამე სამილიციო უბანში) დანით დასჭრა სედრაკ არშაკის ძე გუგულოვი (მცხ. ბარონოვის ქ. № 27).

მალე
კაცი პანოპტიკუმიდან
და
მოანა
ნ. 3585

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ხელოვნების სახალხო და დამსახურებულ მოღვაწეთა და სახალხო და დამსახურებულ არტისტთა შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ხელოვნების ყველა დარგის განსავითარებლად და წარსამატებლად ხელოვნების წარჩინებულ მოღვაწეთათვის დაწესებულია ქვემოაღნიშნული წოდებანი და ასეთი წოდების მქონე პირს მიენიჭება ქვემომდევნო მუხლებში აღნიშნული შეღავათები და უპირატესობანი.

ა) ხელოვნების სახალხო მოღვაწის ან სახალხო არტისტის წოდება;

ბ) ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ან დამსახურებული არტისტის წოდება.

2. ხელოვნების სახალხო ან დამსახურებული მოღვაწისა თუ სახალხო ან დამსახურებული არტისტის წოდება შეიძლება მიენიჭოს ისეთ პირს, რომელსაც უაღრესი დამსახურება მიუძღვის ხელოვნების დარგში, აგრეთვე ისეთ პირს, რომელსაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში, რაც დაკავშირებულია ხელოვნების სფეროში მოღვაწეობასთან.

3. საკითხს წინა მუხლში აღნიშნულ წოდებათა მინიჭების შესახებ განიხილავს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი— საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის წარდგენით, რაც შეთანხმებულ უნდა იქნეს ხელოვნების მუშაკთა კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან.

4. ხელოვნების მოღვაწისათვის ამა დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად მინიჭებული წოდების ჩამორთმევა მოხდება იმავე წესით, როგორც წოდების მინიჭება, და მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც დადასტურებულ იქნება ისეთი რამ გარემოება, რაც შეუძლებლად ხდის ამ წოდების მისთვის შენარჩუნებას.

5. ხელოვნების სახალხო ან დამსახურებულ მოღვაწეებს და აგრეთვე სახალხო და დამსახურებულ არტისტებს დაენიშნებათ პენსია პერსონალური პენსიის დებულების წესით (საქ. სსრ. კან. კრ. 1929 წ. მე-3 №-რი, მუხ. 26).

6. ხელოვნების სახალხო ან დამსახურებული მოღვაწეები და აგრეთვე სახალხო და დამსახურებული არტისტები, რომელნიც სახელმწიფო ან საზოგადოებრივ სამსახურში არ ირიცხებიან, უფლებრივ სფეროში გაეთანაბრებიან სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა მომუშავეებს

7. ხელოვნების სახალხო და დამსახურებული მოღვაწეებისა და სახალხო და დამსახურებული არტისტების შვილებს საქართველოს სსრ სასწავლებლებში შესვლისათვის იგივე უფლებები აქვთ, რაც მუშათა შვილებს.

8. ხელოვნების იმ მომუშავეს, რომელსაც ამა დადგენილების გამოცემის დღისათვის აქვს 1-ლ მუხლში აღნიშნული წოდება, შეენარჩუნება იგი და ასეთ მომუშავეზე გავრცელდება ამ დადგენილებით გათვალისწინებული ყველა შეღავათი და უპირატესობა.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომ. მაგიერ
ყ. ბოლქვაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებ. კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1929 წ. დეკემბრის 15.
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, სამშაბათს, დღის 11 საათზე ც. კ. აგიტპროპბეჭდ. განყოფილებაში, ამხ. [illegible] კაბინეტში შესდგება რედაქტორების თათბირი, რომელსაც დაუგვიანებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: კიკნაძე („კომუნისტი"), საყვარელიძე („ახ. სოფელი"), ფილია („მუშა"), რასულ-ზადე („ენკენდი"), ვართანიანი („პროლეტარი"), მახათაძე („ახ. კომუნისტი" და „მოლოდ. ლენინეცი"), ვ. სიხარულიძე („მოჯამ. ხმა"), ხომერიკი („ჩვენი კოოპერაცია"), აროშიძე („წითელი არმიელი") და გოდაბრელიძე (პროფკავშირები).

— —

საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას აგიტპროპბეჭდვითი განყოფილება იუწყება, რომ დღეს, სამშაბათს ნაშუადღევის 2 საათზე (ოთახი № 17) შესდგება თათბირი ბიბლიოთეკებში მომუშავეთა კადრების მდგომარეობის საკითხზე. ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს ევალებათ გამოცხადდნენ დაუგვიანებლივ:

ჩხარტიშვილი (პოლიტგანათლების მთავარი მმართველობა), დავითიანი (პოლიტგანათლების მთავარი მმართველობა), ბახტაძე (ა. ლ. კ. კ. ცეკა), კანდელაკი (პროფსაბჭო), კალინინი (პროფსაბჭოს კულტგანყოფილება) და მინასიანი (თბილისის პოლიტგანი).

—:—

საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის საღრიცხვო და განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდნენ ამხ. ქადაგიშვილთან (ოთახი № 66):

მელქისედ ალექსანდრესძე ლაბარტყავა, გიორგი აფანასისძე ფილიპენკო, იოსებ ანდრიასძე მეტრეველი, კონსტანტინე მიხეილისძე მერაბიშვილი, კაპიტონ როსტომისძე მუშკუდიანი, ირაკლი ივანესძე ლაბაძე, ნიკოლოზ ისაკისძე ბასილაშვილი, სოლომონ მიხეილისძე თაყაშვილი, ილია დიომიდესძე ფანცხავა, ნინა ქიტესას ასული ჯერენაშვილი.

დღეს, 24 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის პარტმუშაობის ცენტრალურ კაბინეტში (რუსთაველის პროსპ. № 21) შესდგება გაფართოებული თათბირი კაბინეტის მუშაობის საკითხებზე. თათბირზე საჭიროა შემდეგი ამხანაგების დასწრება: კიკნაძე (ლენრაიკომი), როსტიაშვილი (26-ის რაიკომი), ვართანოვი (ქალაქის რაიკომი), ნანუაშვილი (წითელ-არმიელთა სახლი), გოლდბაუმი (სახ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტი), სას.-სამ. ინსტიტუტის საზოგადოებათ მეცნიერების კაბინეტის გამგე, ა.-კ. კომუნისტური უნივერსიტეტის პარტმუშაობის კაბინეტის გამგე, ქმონძერი (პროფსაბჭოს კულტგანყოფილება), სკოლის გარეშე მუშაკთა სახლის გამგე, განათლების განყოფილების საზოგადოებათმეცნიერების კაბინეტის გამგე, ამხ. ვანციანი (ა.-კ. სოფლის კავშირი), ამხ. ნ. მახარაძე (ცენტრ. პარტ. სკოლა), სანოვიჩი, ს. არუთინოვი, კნიაზევი, გ. ადამიანი, ხომერიკი (თბ. საოლქო კომიტეტის აგიტპროპბეჭდვითი განყოფილება), გარე უბნის რაიკომის აგიტპროპბეჭდვითი განყოფილების გამგე გაზ. „კომუნისტი"-ს „ზარია ვოსტოკა"-ს, „რაბოჩაია პრავდა"-ს, „მუშა"-ს და „პროლეტარი"-ს პარტიული ცხოვრების განყოფილებათა გამგეები, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი"-ს და „მოლოდოი ლენინეც"-ის რედაქტორები, ტრამვაის, სახელმწიფო პოლიტსამმართველოსი, დეპოს, 26 კომუნ. სახ. ქარხნის და ტყავის ქარხნის უჯრედთა აგიტპროპორგანიზატორები.

— : —

საქ. კომპარტიის (ბ) ლენინის რაიკომი იუწყება, რომ 25 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე პლეხანოვის სახელობის კლუბში გაიხსნება რაიკომისა და კომუჯრედთა ბიუროს წევრების მეთერთმეტე გაფართოებული პლენუმი.

ა. ლ. კ. კ. სახ. უნივერსიტეტის ბიურო-კოლექტივი აცხადებს რომ დღეს, 24 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე შესდგება კომკავშირის სოც. ეკონომიური ფაკულტეტის პირველი და მეორე უჯრედების გაერთიანებული კრება. წევრ-კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

—:—

დღეს, 24 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე რკინის გზ. მე-8 სკოლაში შესდგება ლენრაიონის განათლების მუშაკთა-კომკავშირელთა უჯრედის სხდომა წევრ-კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

—:—

ს. ს. პ. ი. ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივი აცხადებს, რომ სამშაბათს, 24 დეკ. საღამოს 8 საათზე, ჰიდრავლიკის კაბინეტში შესდგება № 4 (ელ-მექ. 2, 3, 4, 5 კურსის) უჯრედის საერთო კრება.

ს. ს. პ. ი. ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივი აცხადებს, რომ დღეს, 24 დეკემბერს, საღამოს სრულ 8 საათზე დიდ სამხაზველო დარბაზში მოწვეულია [illegible] № 5 უჯრედის ღია კრება. დღის წესრიგი: „ახალი [illegible]".

ს. ა. ლ. კ. კ. თბ. სახ. უნ-ტის ბიურო-კოლექტივი დღეს, 24 დეკემბერს, სრულ 1 საათზე იწვევს აგიტ-პროპ-თათბირს. დასწრება ცალკე უჯრედების ბიუროების აგიტ-პროპორგანიზატორების სავალდებულოა.

—:—

სამკ. ფაკ. ა. ლ. კ. კ. მეშვიდე უჯრედის ბიურო აცხადებს, რომ დღეს საღამოს 7 საათზე შესდგება უჯრედის კრება ას მეათე აუდიტორიაში. მეორე, მესამე და მეოთხე კურსის ა. კ. წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

მშობლები გიორგი და ეკატერინე, ძმა ერმილე, და მარო, რძალი ალექსანდრა, სიძე ყორჯი და ნათესავები აცნობებენ ნაცნობთ და მეგობართ, რომ შაბათს 28 დეკემბერს ქ. ბათომში შესდგება სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარ

გრიშა გრძელიძის

ხსოვნის აღსანიშნავად. ნ. 3586

მეუღლე მარო, სიმამრი დავით მდივანი ოჯახით აცნობებს საზოგადოებას, რომ შაბათს, 28 დეკემბერს, ქ. ბათომში შესდგება სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარ

გრიშა გრძელიძის

ხსოვნის აღსანიშნავად. ნ. 3586

ღრმად დამწუხრებული დედა მაგდალინა, მეუღლე ნადია, ძმები: პავლუშა და სევერიანი, დები: ნადია კობაძისა და ეკატერინე უზნაძისა, სიძე სოლომონ უზნაძე, რძლები: ბაბულია და ნანა და ძმისწულები: ოთარი და კატუშა მგალობლიშვილები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 23 დეკემბერს გარდაიცვალა მათი საყვარელი

კოლია თეოფილეს ძე მგალობლიშვილი

სამოქალაქო პანაშვიდი 24 დეკემბერს საღამოს 6 საათზე, მერკვილაძის (რეუტოვის ქ.) 20 შესავალი ეზოდან. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (ს)

დამწუხრებულნი ძმა სანდრო ნინიძე, დები: გოგოლია და ლეო, სიძეები: აპოლონ ვასაძე და ლონტი, ბიძები: საველი და დომენტი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

მარო ივანეს ასული ნინიძე

დაკრძალვა მოხდება 24 დეკემბერს, სოფ. ზვაბრათში. 4846

ღრმად დამწუხრებული შვილები: იონა, ბესარიონი, ბაგრატი, ვლადიმერი, რაჟდენი, მიშა, დადული და ძმისშვილები: სარდიონ, გერასიმე, მიხეილ და გიორგი თავიანთი ცოლშვილით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა დაუვიწყარი

კიმოთე დავითის-ძე ღვაბერიძე

სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 6 საათზე, ბინაზე -ყიფიანის ქ. № 8. გამოსვენება ხუთშაბათს, 26 დეკემბერს, 3 საათზე დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 4853

ღრმად დამწუხრებული მეუღლე მიშა, ქალიშვილი მედეია, ძმამთილი გიორგი, დედამთილი მარიამ, მული ელენე, მაზლი ნიკო შეილ ძეები, და ოლღა, სიძე ვასო ბუმბიაშვილები, ძმა დათიკო ჯალაღანია აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობით უდროოდ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი

თამარ ალექსანდრეს ასული შუბლაძისა

სამოქალაქო პანაშვიდი 24 დეკემბერს კობის ქ. № 11, 6 საათზე, დასაფლავება 25 დეკემბერს, 4 საათზე, ვერის სასაფლაოზე. 855 2 1

ღრმად დამწუხრებული დედა ანეტა, ძმა გიორგი, დები—ლუბა, მარგალიტა, ოლღა, შურა, რძალი მერი, ძმები ბეჟანი და მიშა შარაშიძეები, სიძე პეტრე კალანდაძე და კლემენტი აბუსერიძე აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ 23 დეკემბერს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ოლია გიორგის ასული შარაშიძე

გამოსვენება ყოფ. არამიანცის საავადმყოფოდან ხუთშაბათს, 26 დეკემბერს, დღის პირველ საათზე დასაფლავება ვერის სასაფლაოზე. (3 1)

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები:

პ. ს. ფონ-ირტელი პლეხანოვის პროსპ. № 10 - სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, კანის და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი). ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფი მამაკაცები და ქალების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და საღამოს 4-დან 8 საათამდე. 13—1

ი. პ. მჭედლიშვილი შინაგანი სნეულებანი. სპეციალ. კუჭის და ნაწლავების დაავადებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ავადმყოფ. ღებულობს 5—7 ს. სანაპირო ქ. (ყოფ. ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ელსმენი № 15—02. 25—1

ი. გაგიჩვაძე ავადმყოფების მიღება სიფილისი, ვენერიული, კანის და საშარდე-სასქესო ორგანოების სნეულებანი. ქალის გონორეა. მიღება 8 საათიდან 10-მდე და საღ. 6-დან 8 საათამდე. პლეხანოვის პრ. 65. 25—4

დ. ს. რიჟინაშვილი კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა, პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 ს. და 5—7 საათ. საღ. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთაველის პრ. კუთხე. ტელ. 10—14. 25—1

ი. ი. ზერიშვილი ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით [illegible]—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოე"-ს პირდაპირ, ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25 1

გ. გ. შახნაზაროვი სპეციალურად სიფილისი, „914" შეშხაპუნება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ნაშუადღევის 4-დან 8 საათამდე. ქალების 4—5 საათამდე. ვასერის ქ. (ყოფ. კრასხოგორის) № 33 (ყოფ. თუმანოვის ქუჩის კუთხე). 25—1

ლოგოპედი ა. ა. პაიშაური ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა. ასწორებს ლოგოპათებს: ბორძიკებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს. იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26—01. 25—1

პ. ი. ჯალალოვი ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914" ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება 1—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90 552,

გ. ნ. ონანოვი სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი: სქესობრივი უძლურების წამლობა. ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9-დან 11 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. კ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) სახ. № 3. 13 6

ტერ-ოვაკიმოვი სპეციალურად ექიმობს სქესობრივ ფუნქციონალურ მოშლილობას სქესობრივი ინფანტილიზმი, პსიქოტერაპია. მიღება დილით 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე. ა.-კ. ფედერაციის ქ. (ყოფ. ველიამინოვის) № 22. 25—1

ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულათ.

— პურის წიგნაკი № 1224 - მიხეილ კანდელაკის სახელზე. 4843
— პურის წიგნაკი № 2279—თენგიზ კანდელაკის სახელზე. 4844
— არტელ „გლარჯი"-ს ურთიერთ დამხმარე სალაროს წიგნაკი № 94—ალექსანდრე გვერდწითელის სახელზე. 4845
— მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 78784 - აბესალომ ტროფიმეს-ძე მახარაძეს სახელზე. 4847
— კავშირის წიგნაკი № 26520—სევერიან (იგივე შალვა) ს ნაის სახ. 4848
— სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი —დიმიტრი მიხეილის-ძე გარსევანიშვილის სახელზე. 4849
— საანგარიშო წიგნაკი № 416 და მუშკოოპის წიგნაკი № 17544 - იროდიონ ბოჭორიშვილის სახელზე. 4786
— „ზაკტპო"-ს საწევრო წიგნაკი № 31150—ნიკიფორე გილავას სახ. 4851
— პურის წიგნაკი № 1489—ლიუბა გოგლიჩიძის სახელზე. 4852
— მეტრიკული ამონაწ.—ტასო იაკობის ასული ფარესაშვილის სახ. 4854
— მეტრიკული ამონაწერი—გივი გიორგის-ძე ბაქრაძეს სახელზე. 4857
— სამეანო ინსტიტუტის მოწმობა გაცემული 1924 წ. მედტეხნიკუმის მოწმობა გაც. 1926 ბებია ფერშლის წოდების შესახებ და დაქორწინების ამონაწერი მარიამ ვასილის ას. ბლუაშვილი ბაქრაძის სახ. 4856

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი 1929 - 30 წ. სეზონი

სამშაბათი, 24 დეკ., მე-4 აბონემ. მე-6 წარმ. ალ. პიროგოვის მონაწილეობით
ფაუსტი და ვალპურგიის ღამე.

ოთხშაბათი, 25 დეკემბ., მე-8 აბონემ. მე-3 წარ. ვ. რ. ხლივინსკის მონაწილეობით
ბალ-მასკარადი

ხუთშაბათი 26 დეკემბერი, აბონემენტის გარეშე, ალექს. პიროგოვის მონაწ. შეფქეთ ხანუმ-მამედოვას პირველი გამოსვლა ლაკმე ბილეთები იყიდება.

ყველა საბონემ. წარმოდგენაზე ბილეთების ნაწ. დატოვებულია ხელზე გასასყიდად.

ნ. 3587

აპოლო	მხატვრული ფილმი **2 ქალი** იაკოვლევას და სოლნცევას მონაწილეობით	პალასი	დადგმის მეორე კვირა განსაკუთრებული წარმატება **რღვევა** ბ. ლავრენევის ცნობილი პიესის მიხედვით
სოლეი	დადგმის მე-2 კვირა **ნიუ-იორკის დოკებში**	მინიონი	
არფასტო	**მულენ-რუჟ** პიერ ბენუას რომან „ალბერტინა"-ს მიხედვით	დარბაზი	ბერნარდ გეტცკე სურათში **დამნაშავეა** ძმ. ლავროვების გასტროლები, ახალი პროგრამა

მალე: „ძველი და ახალი", „მოანა" 0 23

სახალხო მეურნეობის მუშაკთა კლუბი (რუსთაველის პრ. 21)

დღეს, სამშაბათს, 24 დეკემბერს

რაციონალიზაციისა და ტეხნიკური მოწესრიგების სექცია აწყობს ინჟ. ზ. ხ. ხოკოლოვის მოხსენებას შემდეგ თემაზე:

„სოციალისტური შეჯიბრება მრეწველობაში და მისი დაკავშირება სარაციონალიზაციო მუშაობაში"

მოწვეულნი არიან რაციონალიზაციისა და ტეხნიკური მოწესრიგების სექციების ყველა წევრები, მრეწველობის მუშაკები, ფაბქარხადგილკომების წევრები, დამკვრელი ბრიგადების წევრები, კავშირების ცენტრალურ გამგეობათა წევრები. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ნ. 3584

კინო-აპოლო

დღეს და ყოველდღე

პრემიერა

2 ქალი

(ქალი სარკეში, ჩვენი დროის ქალი)

დადგმა გ. როშალის

მთავარ როლებში;

ი. იაკოვლევა, ი. სოლნცევა, ს. სვალენკო. ნ. 3585

მალე

კინო-არფასტოში

მხატვრული ფილმი

მე-16

დადგმა ა. ბარხუდაროვის

ოპერატორი გაროში

სომხეთის კინოს ნაწარმოები. ნ. 3585

საქ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება სახლების და სოფლ.-მეურნეობის მავნებლებთან მებრძოლი

პროფილაქტიური ბიურო

ქ. თბილისი, კომინტერნის ქ. № 5, ეზოში

ბიურო აწარმოებს დერატიზაციასა და დეზინსექციას (მღრღნელებისა და მწერების მოსპობას) სახლებში, მაღაზიებში, საწყობებში, სახელოსნოებში, ფაბრიკებსა და ქარხნებში, რესტორანებში, სასადილოებში, ბაღებში, მინდვრებში, ბოსტნებში და სხვ.

ბიურო ამზადებს აგრეთვე ნაცად საშუალებებს: „ბარიუმის პასტას მღრღნელების—მოსასპობად და „ესკას" მწერების მოსასპობად.

ხსენებული საშუალებები იყიდება აფთიაქებში, სააფთიაქო და კოოპერატიულ მაღაზიებში.

საქ. თავდაცვა-ავიაქიმის სახ. პროფილაქტიური ბიურო.

2 2 ნ. 3558

რუსთაველის თეატრი

სეზონი 1929-1930 წ.

ნ. 3588

სამშაბათს, 24 დეკემბერს,

სერია ა 1-ლი აბონემენტის მე-4 წარმოდგენა

ჰეზენკლევერი **საქმის კაცი?!**

კომ. 8 სურ. თარგმანი ტ. ტაბიძის

დადგმა—შ. აღსაბაძის
მხატვარი—ირ. გამრეკელი.
მუსიკა—გრ. კილაძის. დასაწყისი სრულ 8 საათზე

თეატრის დირექტორი, სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი — ალ. ახმეტელი.

ა ნ ო ნ ს ი: 4 იანვარს განათლების მუშაკთა კავშირის წარმოდგენა „საქმის კაცი?!" ბილეთები წევრთათვის 50 პროც. დაკლებით იყიდება განათლების კავშირის კლუბში.

თბილისის ცირკი

სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატთან არსებული სრ. საქ. ინვალიდთა დამხმარე კომიტეტ. ტელეფონი 8—94.

სამშაბათი, 24 დეკემბერი

3-2 ნ. 3561

დიდი ექსტრა წარმოდგენა

3 განყოფილებად

ნათელას პირველი გასტროლი

სხვისი აზრების მიხვედრა

გრძელდება თათართა დასის 12 ალი ჩანიშევის დებიუტები ცხენების მწვრთნელი ა. ვ. ლაპიადოს და ცირკის შემადგენლობის კიდევ 12 საუკეთესო ნომერი. დირექცია.

[illegible] საოჯახო ნივთები:

1) ერთი ნოხი, 2) ლეკური შალის შალვარი, 3) ლეკური შალის ახალოხი, 4) ბრინჯაოს ქამარი და 5) ალვირი. პატრონს შეუძლია მოიკითხოს შემდეგი მისამართით: სოფ. საგარეჯო.

უფ. კოტე ქლივიძე.

საქ. ფინსახკომის სააუქციონო კამერა

ა. წ. 26 დეკემბერს

საჯარო ვაჭრობით

გაჰყიდის შემდეგ პირების ქვემოთ ჩამოთვლილ ნივთებს, მათზე რიცხულ დავალიანების ასანაზღაურებლად.

1. ვანეციანცი გარეგინ კარაპეტის-ძე—3 სული ჯიშიანი მეწველი ძროხა. საჯარო ვაჭრობა იწარმოებს დილის 10 საათიდან კომუნალურ ქ. № 133 ალმასკომის ფერმაში.
2. ავეტისოვი ისაკ ზურაბის-ძე—ბაკმაზი 25 ფუთი, საჯარო ვაჭრობა იწარმოებს დილის 1 საათიდან კახეთის ქ. № 10 მისივე ბაკმაზი 24 ფუთი, ვაჭრობა იწარმოებს შუადღის 2 საათზე ღვინის აღმართზე № 19 მისივე ბაკმაზი 20 ფუთი ვაჭრობა იწარმოებს ნაშუადღევის 4 საათიდან ბზის მოედანი № 3.
3. მარტიროზოვი ოგანეზ—ღვინო კახური 770 ვედრო და ღვინის სარდაფის ინვენტარი ვაჭრობა იწარმოებს დილის 10 საათიდან როყის ქ. № 69.
4. კოოპ. არტელი „თრიმლი"—500 ფ. თრიმლი ვაჭრობა იწარმოებს 2 საათიდან კომუნალური ქ. № 68.
5. ხაჩატუროვი აბრამ ბაგრატის-ძე—ღვინო კახური 35 ვედრო და ღვინის სარდაფის ინვენტარი ვაჭრობა იწარმოებს დილის 10 საათიდან გოგოლევის ქ. № 40.
6. რუხაძე სილოვან სიმონის-ძე—ღვინო კახური 274 ვედრო კასრები და სხვა ღვინის სარდაფის ინვენტარი ვაჭრობა იწარმოებს 2 საათიდან ვარდის ციხის ქ. № 6.
7. კოოპერატ. ინვალიდთა არტელი „ბრძოლა"—ღვინო კახური 72 ვედრო, ვაჭრობა იწარმოებს დილის 10 საათიდან პლეხანოვის პროსპ. № 75.
8. კოოპ. ინვალიდთა არტელი „აგუნა" სასადილოს ინვენტარი ვაჭრობა იწარმოებს 2 საათიდან [illegible] მოედ. № 2.

ყოველ გვარი ცნობების მიღება მსურველებს შეუძლიანთ სააუქციონო კამერაში ხაზინის ქ. № 1 (ყოფ. ხაზინის შენობაში). ნ. 3582

ეგნატე ნინოშვილის

დაბადებიდან 70 წ. შესრულების თავზე

სოფ. ჩანჩეთში (გურია) ეგნატე ნინოშვილის სასაფლაოზე 25 დეკემბერს (12 საათზე)

გაიმართება მიტინგი

ყველა ორგანიზაციებს და დაინტერესებულ ამხანაგებს სთხოვენ მიიღონ აქტიური მონაწილეობა, როგორც უშუალო მონაწილეობით აგრეთვე ეგნ. ნინოშვილის სასაფლაოზე ძეგლის აგებისათვის სათანადო ფონდის გაძლიერების საქმეში. აღნიშნული ფონდის შეგროვების საქმეში მონაწილეობის მიღება მსურველ ყველა ორგანიზაციებს სთხოვენ კავშირი იქონიონ გურიის სამაზრო კომიტეტთან არსებულ ეგნ. ნინოშვილისათვის ძეგლის ამგებ კომისიასთან,

6 3590 კომისია.

გაზ. კომუნისტი-ს

გამომცემლობა

აცხადებს, რომ

1930 წლისთვის

გაზეთზე ხელისმოწერის მიღებას

მთელ ოზურგეთის მაზრაში აწარმოებს

ბ ა თ ო მ ი ს

ფოსტის საგაზეთო განყოფილება.

საქართველოს

სატყეო ტრესტი

ყველა დაწესებულება, ორგანიზაციებისა და პირების საყურადღებოთ **აცხადებს,** რომ რწმუნებულობათა ახალი წესის შემოღების გამო დღეიდგან გაუქმებულად ითვლება ტრესტის სამმართველოს და ადგილობრივი ერთეულების მიერ თავის ფინაგენტებისა, ინკასატორებისა, მოლარეებისა, ექსპედიტორებისა და მინდობილებათა აგენტებისათვის მიცემული მუდმივი რწმუნებები, რომლებითაც მათ დავალებული ჰქონდათ სატყეო ტრესტის კუთვნილი თანხების მიღება სხვა და სხვა დაწესებულებებიდან, ორგანიზაციებიდან და პირებისგან

მმართველი: იორამაშვილი
საქ. მმართველი: თოდუა

3—1 ნ. 3589

გამოცემის მე-2 წელი | გამოცემის მე-2 წელი

სურათებიანი ჟურნალი

=დროშა=

გაზ. „კომუნისტი"-ს გამოცემა

გამოდის თვეში ორჯერ

მიიღება ხელისმოწერა
1930 წლისათვის.

ჟურნალი ღირს: 1 თვით —30 კაპ.
3 თვით —90 კაპ.
6 თვით —1 მ. 80 კ.
1 წლით—3 მ. 60 კ.

ხელისმოწერა მიიღება: გაზ. „კომუნისტი"-ს გამომცემლობის მთავარ კანტორაში (თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 34), ფოსტა-ტელეგრაფის ყველა დაწესებულებებში, გამომცემლობის რწმუნებულებთან და აგენტებთან, რომელთაც აქვთ სათანადო მოწმობები.

0—4 „კომუნისტის" გამომცემლობა.

ყველა საამშენებლო-ფაკულტეტის სტუდენტები, რომლებიც აქამდის არ გატარდნენ სოციალურ-მდგომარეობის გამომრკვევ კომისიაში, უნდა გამოცხადდნენ ს.ს.პ.ი-ის საამშენებლო ფროფკომში, სამუშაო საათებში სათანადო საბუთებით 27 დეკემბრამდე.

ალმასბიუროს სამშ. პროფკომი. უფ.

საშემოსავლო გადასახადი

საქართველოს ფინსახკომი აცხადებს საშემოსავლო გადასახადის განაკვეთთა მესამე განრიგების გადამხდელთა-კერძო სექტორის სავაჭრო-სამრეწველო საწარმოოთა მფლობელების-საყურადღებოდ, რომ საკავშირო სახკომსაბჭოს 1929 წ. 17 ნოემბრის დადგენილებით, 1929/30 წლის საშემოსავლო გადასახადის შენაწერის ანგარიშში მესამე ავანსის შემოტანის ვადა 15 თებერვლის მაგიერ გადმოტანილია 1930 წლის 5 იანვრისათვის, განსხვავება კი 1929 30 წლის გადასახადის შენაწერის და გადახდილ ავანსების შორის უნდა შეტანილი იქნეს ერთდროულად ორი კვირის განმავლობაში გადასახადთა ინსპექტორის უწყების მიღებისთანავე.

აღნიშნულ ვადის გასვლის შემდეგ მიღებული იქნება გადახდევინების იძულებითი ზომები ვიდრე ქონების აღწერა-გაყიდვამდე საურავის დარიცხვით.

საქართველოს ფინანსთა სახ. ლხ ი
კომისარი—ვაშაძე.

საგადასახადო სამმართველოს
უფროსი ბეზირგანიშვილი.

ნ. 3581

ტირაჟი—43.385 | პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩ. № 68. | მთავლიტი № 904